1958/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3

1958

ლიტერატურული კრებული

ლიტერატურული-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

ალმა

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის აჭარის განყოფილების
ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7600

შინაარსი

ნ. მალაზონია—მადლობა (ლექსი) . . . 3
ნ. გვარიშვილი—დედა-საქართველოს, თქვენ, მშობლიური ველებო! დედის გული, გზად გვიღიმიან, ჩანჩქერები (ლექსები) 4
ი. ფალავა—პირველი სასმისი (მოთხრობა) 7
ნ. ჯალაღონია—ასე იცავდნენ (ლექსი) 9
ალ. სამსონია—დაბრუნება (მოთხრობა) 11
თ. ჭილაძე—წიგნიდან „ლია სარკმელი“ (ლექსები) 18
გ. სანადირაძე—ზღვის მხატვარი (მოთხრობა) 20
ქ. მუავია—მოგონება (ლექსები) 23
რ. გოლქვაძე—მეგობრები (მოთხრობა) . 25
გ. სალუქვაძე—ჩემი გაზაფხული (ლექსი) 27
რ. ლორია—მე არ გეხვეწები (ლექსი) . 28
დ. კომახიძე—სისხლიანი ხალიჩა (მოთხრობა) 29
რ. ჩხარტიშვილი—მთების მოლოდინი (ლექსი) 41
მულკ რაჯ ანანდი—ხმა დაირხა (მოთხრობა) ინგლისურიდან თარგმნა ფრ. ფანჯავიძემ 42

დღეები და ადამიანები

ალ. ჩხაიძე—პირველად ფართო ჩვენებით 50
ი. ცერცვაძე—ისინი იცავდნენ სამშობლოს 55

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ქ. გოლქვაძე—კარლ მარქსი სინამდვილესთან ხელოვნების დამოკიდებულების შესახებ 59

3
1958
მაისი
ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. დუმბაძე — ხალხის სახე მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში“ 63
გ. ხუხაშვილი — თანამედროვე პოეზიის ზოგიერთი თავისებურების შესახებ...70
ნ. ნიჟარაძე — ბუნების საუნჯე და ჩვენ...80

აჭარის წარსულიდან

ი. სიხარულიძე — თურქ-სელჩუკთა შემოსევები აჭარაში 84

ლიტერატურული კალენდარი

დ. ნაცვალაძე — ქართული ისტორიული რომანის მამამთავარი 88
მ. ხინიკაძე — მოკრძალებული მწერალი და მგზნებარე პატრიოტი 90

წიგნის თარო

ნ. ნოღაიდელი — ნანა გვარიშვილის საბავშვო წიგნები 92
ნ. ჯეიშვილი, ვ. სიჯინავა — ნაშრომი სახალხო - განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან 93

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:
ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პასგ მდივანი), ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გორკის ქ. № 1, ტელ. № 6-20

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნესტორ მაღაზონია

მ ა დ ლ ო ბ ა

მე აღტაცებას ვერა, ვერ ვფარავ,
ეს რა სიხარულს ახვავებს გული!
ლექსს აჯილდოებს ჩემი ქვეყანა,
ლექსს აჯილდოებს ჩემი მამული!

ლექსი — ეს მერცხლის ლაღი ფრენაა
და ჭიკჭიკია გულში შემტევი,
ლექსი ჩანჩქერის უხვი დენაა
და ჟრიამული დაუშრეტელი.
ლექსი სამშობლოს გულის ძგერაა
და სიხარულის კამკამა ცრემლი,
ლექსი სამშობლოს მძლე სიმღერაა
და შიგ
ორიოდ სტრიქონი ჩემი.

მიკვირს,
ვინ ნახა ეს წვეთი ზღვაში,
ვისი თვალია, ყველგან რომ წვდება!
თურმე უჩინარ ფიქრსა და ხმაშიც
შვილს ყველა გუმანს გაუგებს დედა!

გმადლობ!
სხვა სიტყვა აღარც მეგულვის,
გულისწილ თითქოს ცეცხლია მკერდში...
ჩემო ქვეყანავ,
შენ შემოგევლოს
ჩემი წრფელი და პატარა ლექსი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა გვარიშვილი

დედა-საქართველოს

შენ ჩემზე ფიქრით და ჩემი დარდით
კავკასიონი გაგიჭაღარდა.
მოგწყვიტეს შვილი, შეხვედრის წყურვილს
ჩუმად იკლავდი ცრემლიან ღართან.

ახლა, დედაო, შენი ღიმილი
გადავიხურე თავზე მანდილად
და შენს უბეში მიყუჩული ვარ,
ერთად შეგვყარა ნანატრმა დილამ.

ამომიკოცნე წამწამ-თვალები,
გუგებში ჩანდეს შენი ჭაღარა.
არსად დამირჩეს ტუტა-ნაცარი, —
დედინაცვალმა ბევრი მაყარა.
დედაო, ჩემო ტკბილო დედაო,
შემოგევლები შენი აჭარა.

ოცნებად მყავდი, მეგულებოდი
ახლოს, სულ ახლოს დედა ქებული.
წამით უბიდან ნუ მომიშორებ,
შენს ძუძუებს ვარ დანატრებული.

სიხარულის და შეხვედრის თრთოლვა
გამიძნელდება უცრემლოდ, აბა.
ჩადრის ქვეშ როგორ შემომინახავს
შენი ნაკერი ქართული კაბა.

დაგბრუნებივართ შენი შვილები,
ჩვენს წინაპრობას ჩასძახე ყველას,
რომ შეემატა ცეცხლი და კვამლი
ძველი ოჯახის ანთებულ კერას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენ, მშობლიურო ველებო!

ჩინარის ჩრდილში ჩავჯდები,
ვარსკვლავებს დავემალები.
მოვლენ მაღალ მთის ნისლები,
ჩაიქროლებენ მალები.
საით მიდენით ამ ნისლებს,
ფიქრების დასადარებო,
მაღალი მთების კორდიდან
ჩამორბენილო ქარებო.
როცა აქოჩრავთ ველ-მინდვრებს,
მუდამ ოცნებას ვუნდები.
რა გზითაც უნდა წავიდე,
თქვენი გზით დაგიბრუნდებით.
ჩემი ხართ, რა ვქნა, რომ მიყვარს
თქვენი მზე, იაგუნდები.
თქვენ, მშობლიურო ველებო,
გზებო, დიდო თუ პატარავ,
წყურვილის მომყუჩებელო,
გზისპირის წყარო ანკარავ,
ამ გულზე გადამიარე,
აქეთ მოიწი ახლოსო.
ცაზე ვარსკვლავი ბევრია,
ყველამ რომ დაგინახოსო.

დედის გული

ლანგრით ეჭირა დედის გულ-ღვიძლი,
ასე ბრძანებდა სატრფო მზაკვარი.
ძლივსღა გადადგა ვაჟმა ნაბიჯი
და აერია უცებ გზა-კვალი.
თვალთ ჩაუღამდა, ქვითინად იქცა,
ლოყებს უშვერდა მოსაფერებლად.
უცებ, უკუნი გზა გაუნათდა
ლანგარს დაენთო გული კელეპტრად.
„ — აჰა, სიცოცხლევ, ფრთხილად იარე, —
უჩურჩულებდა გულისთქმა დედის.
წაბარბაცდა და დაეცა იქვე,
დედის გულ-ღვიძლზე გაყინულ მკერდით.
„— ხომ არ იტკინე, სიცოცხლევ, რამე?“
ლანგარზე თრთოდა მშობელის გული.
კვნესოდა ისევ, „ბიჭო ხმა გამეც!“
ეხვიათ ირგვლივ სიჩუმე სრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, ეს თქმულება ძველია, შვილო,
და რარიგ მწველი, ჩემო სინათლევ.
დედას ნურასდროს ნუ გაიმეტებ!
შემოგევლები... ოღონდ მინატრე.

გზად გვილიმიან

გზად გვიღიმიან შინდები.
სიყვარულს შევუშინდებით?
არა, არასდროს, არაო...
წყარო სად გაიპარაო?
ხევს იქით დაგვრჩა კისკისა,
ბუჩქში ჩამალვა იცისა.
აუ, ამდენი ასკილი
ბუჩქს ვინ დაჰკიდა საყურედ,
გიყვარვარ? იქნებ სულ ცოტა,
მეტი ვერ დავიმსახურე.
შენა ხარ ჩემი ფიქრების
ნაკვერჩხალი და ნაცარი,
გულს ვაპატიოთ, ძვირფასო,
ჰეი, რაც არის, რაც არის.
ვიაროთ, შემოვიაროთ
ჩვენი ნანატრი ველები,
აგერ, გვირილა გვიცინის,
მივალ და მივეფერები.

ჩ ა ნ ჩ ქ ე რ ე ბ ი

მაღალ მთიდან ჩამოცვივდნენ
ჟრიამულით ჩანჩქერები.
აღარავის უჯერებენ
ველი-ველად ნაფერებნი.
გარბიან და გამორბიან,
ახტებიან მაღალ კორდებს,
აწყაწინა ქვებიც აჰყვნენ,
ძირს თამაშით ჩამოგორდნენ.
ასე სისხამ ვინ ხმაურობს,
ნეტავი რა ამბავია?
გამოხედა კორდის გოგომ,
თვალლაჟვარდა იაიამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იუსუფ ფალავა

პირველი სასმისი

მოხუცმა ხუსეინმა კრიალოსანი ჯიბეში ჩაიდო და დასავლეთისაკენ გაიხედა. ღამდებოდა. მზე ციცაბო მთების ახლად დათოვლილ მწვერვალებს ეთხოვებოდა. შემოდგომის მიწურულის გრილი ქარი ნახევრად გაშიშვლებულ ხეებს ატოკებდა. ფერდობზე შეფენილი სოფლის შარაგზაზე პირუტყვი ზანტად მოიზლაზნებოდა.

მოულოდნელად მოხუცის ყურადღება ავტოს გუგუნმა მიიპყრო. მალე ეზოში კარტოფილით დატვირთული მანქანა შემოსრიალდა. მანქანის კაბინიდან შუახნის კაცი გადმოვიდა და, აივანზე გადმომდგარი მოხუცი რომ დაინახა, თავაზიანად გაეხუმრა:

— მამაჩემო, ხომ არ მოიწყინე უჩვენოდ?!. — და თავმომწონედ დასძინა: — კოლექტივიდან ბლომად მივიღეთ კარტოფილი, მაგრამ სათავსოზე გასაჭირი გვაქვს. აბა სად შეინახავ ამდენს?!

ახალგაზრდა კოლმეურნეებიც მიესალმნენ მოხუცს.

— კარგია, შვილო, — უპასუხა მოხუცმა. — ჭირნახულისათვის ადგილი როგორ არ მოინახება ამოდენა ოჯახში?!. ჯერჯერობით აივნის ქვეშ დავყაროთ, შემდეგ კი ახალი ორმოების გათხრა მოგვიწევს.

— ეგრე აჯობებს. — დაეთანხმა ალი მამის რჩევას.

— გაიხარეთ, შვილებო, გაიხარეთ, წინათ შრომას მადლი და ბარაქა აკლდა. — გაესიტყვა ახალგაზრდებს მოხუცი. — ახლა, თუ ადამიანს ჯანი ერჩის, შრომას სასწაულები შეუძლია მოახდინოს... ბედს აღარ ვემდურით, ღმერთმა დოვლათისა და სიუხვის კალთები დაიბერტყა. შენ კი რა გააკეთე დღეს? — მიმართა მოხუცმა შვილიშვილს და გამომცდელი თვალები მიაპყრო. — რეზო, როგორც გატყობ, კვლავ მოგისწრია გაყღენთვა, ღვინის სუნი მცემს.

— ქართველმა კაცმა ღვინო დალიოს, ბაბუ, განა ეს სათაკილოა? ჩვენ ხომ ქართველები ვართ, ჩვენი წინაპრებიც ქართველები იყვნენ, ამ მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ და თურქმა დამპყრობლებმა ძალით გაამუსლიმანეს.

— ეს ზღაპარი მეც გამიგონია, შვილიშვილო, — შეუბღვირა მოხუცმა, —

მაგრამ იგი არა მჯერა, არც თქვენ უნდა დაიჯეროთ. მოწმედ საიქიოდან ვერავის გამოიწვევ, ლოთობას და ბოროტმოქმედებას კი მთავრობა ეკონონიც ებრძვის და შარიათიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

— ბაბუ, კარტოფილის ორმოს ვთხრიდით და განძი ვიპოვეთ, განძი! — სიხარულით შესძახა რეზომ საყვარელ ბაბუას.

— კაცი ამ ეზოში დავბერდი და მე ვერა ვიპოვე რა, თქვენ რას ნახავდით?

— ქვევრი, მამაჩემო, ქვევრი! — ხმა მიაშველა ალიმ.

მზე დასავლეთისაკენ გადახრილიყო, როცა რეზომ მეზობლების დახმარებით საკმაოდ მოზრდილი ქვევრი ორმოდან ამოიღო.

— გასაოცარია, — თქვა ჭაღარაშერეულმა მეზობელმა ელიასმა.—ნეტავ საიდან გაჩნდა ეს უშველებელი ქვევრი ამ ადგილას?!.

— სამოცი წელია ამ მიწაზე ვცხოვრობ, — გაკვირვებით წამოიწყო ხუსეინმა, — და წარმოდგენაც არ შემეძლო, თუ სასიმინდის ქვეშ ქვევრი იქნებოდა.

— ჩვენი წინაპრების ნასახლარია, — ჩაერია საუბარში მასწავლებელი ნინო.

— ეგრეა, შვილო!—უპასუხა მოხუცმა. — ეს ქვევრი დიდი ხნის წინათ უნდა დაემარხათ. საინტერესოა, რა არის შიგ.

— რა უნდა იყოს, ღვინოა, — თქვა მეორე მეზობელმა. — ჩვენს მიწაწყალზე ვენახი საუცხოოდ ხარობს. მართალია, ჩვენ მისი მოშენება ახლახან დავიწყეთ, მაგრამ იგი, ალბათ, დიდი ხნის წინათაც ამშვენებდა ჩვენს ველ-მინდვრებს.

— აკი გეუბნებოდი, ბაბუა, — ნიშნისგებით მიმართა მოხუცს რეზომ, — ჩვენი წინაპრები ქართველები იყვნენ-მეთქი! მაინც არ დარწმუნდი?

— შვილებო, — დაიწყო მოხუცმა მღელვარე ხმით. — დღემდე გულს ვერ ვაჯერებდი ჩემს ქართველობაში. მთელი ცხოვრება ღმერთის სამსახურში გავატარე და თექვსმეტი წლიდან დღეში ხუთჯერ ლოცვით ღმერთს შვილების სიცოცხლეს და ჯენეთში ადგილს ვემუდარებოდი. ჩემი მამა-პაპაც მუსლიმანებად დაიხოცნენ. ამ ქვევრმა კი დამარწმუნა, რომ ჩემი წინაპრები ქრისტიანი ქართველები ყოფილან.

მოხუცი მძიმედ სუნთქავდა. ცოტა ხნის შემდეგ მან კვლავ განაგრძო:

— მარადიული სასუფეველი იმ ქართველს, რომლის მარჯვენამაც ამ ქვევრში ღვინო ჩაასხა და ასობით წლის შემდეგ ჩვენი ქართველობა მოგვაგონა, — მღელვარებით წარმოთქვა მან. და როცა ღვინით სავსე ჭიქა პირველად თავის სიცოცხლეში სულმოუთქმელად გამოსცალა, მის ირგვლივ მოღიმარ სახეებს ანთებული თვალებით გადახედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ჯაღაღონია

ასე იცავდნენ...

თუმც ბევრი მოყმის ულვაში ბუდე გამხდარა ორბების,
თუმც ბევრჯერ დაუსეტყვიათ ციხე ოშკის და ორბელის.
თუმც ბევრჯერ სისხლად ქცეულა ტალღა მტკვრისა და ალაზნის,
თუმც ბევრი დედა გაშავდა, დაქვრივდა ბევრი ლამაზი.
თუმცა ნეკს ჩაჟანგებია ბევრი ალმასის ბეჭედი,
თუმც მიწას შეუჭამია ბევრი ლაღი ყმის ბეჭები.
უღელი გვქონდა მარჯვენა, გული — როგორც ზღვის მორევი.
არც გვიცხოვრია უმტროდ და... არც მტერი გვყავდა მომრევი.
თუმც ბევრჯერ გაწითლებულა ბევრი თეთრონის ფაფარი,
მტერს მარტო ოქრო კი არა, მიჰქონდა ჩვენი ზღაპარიც.
ლამაზ ქალივით მოგვტაცეს ბევრი ლამაზი არაკიც,
თუმცა მომხვდურთა სისხლ-ლეშით ბევრჯერ გამძღარა არაგვიც.
თუმც ყეფა ჩვენი მშვილდისა ცაზე ვარსკვლავებს წვდებოდა,
თუმც ბევრი ომში წასული შავ სასთუმალზე წვებოდა,
ვერ აკავებდათ საფლავიც, მიწა და კუბოს ფიცარი,
ტუჩზე ღიმილი ეხატათ, ძუძუს თავს ერჭოთ ისარი,
მკლავგასხეპილი ქართველი ხმალს კბილით ეკიდებოდა,
ასი მომხდურის დამწვენი საფლავში ვეღარ წვებოდა,
უნდოდა ისევ დაეცვა მიწა სისხლ-ოფლით ნაშენი.
ჭოროხს მიჰქონდა ისრები ქართველთა ბეჭზე ნაფშვენი.
ასე იცავდნენ სამშობლოს გალაღებული პაპანი,
სამშობლოს რუსთაველისას, გამთლელს თამარის აკვანის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„დაბრუნება“ ნახატი შ. ხოლუაშვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სამსონია

ყოყმანობა

ბოლოს, როგორც იქნა, თბილისიც გამოჩნდა.

მგზავრობაში დრო თითქოს შეუმჩნევლად გადის. ჩახვალ და მხოლოდ მაშინ მიხვდები, რა უზომოდ გრძელი ყოფილა გზა და რარიგ ტკბილი — დაბრუნების სიხარული.

მთელი ვაგონი ფანჯარაში გადაეკიდა. მათ შორის მეც — ზღვა ხალხში იქნებ ნაცნობისათვის მომეკრა თვალი. თუმცა ვინ უნდა მენახა, ვინ მელოდებოდა?! მაინც გული დამწყდა. აბა ამ კაცმა რაღა უნდა ქნას, გზიდან რომ ორი დეპეშა გაუგზავნა ცოლს, მოვდივარო, მაგრამ მეუღლე სადგურში არ დახვედრია...

ხალხის ტალღამ ტაქსების გაჩერებასთან მიმიყვანა. იმხელა რიგია, ალბათ, კარგახანს მომიწევს ცდა.

როგორ გაუფართოებიათ სადგურის მოედანი, მაგრამ ამ ტრამვაებსა და ტროლეიბუსებს, ამ მანქანებს, ამდენ ხალხს მაინც არ ყოფნით ადგილი.

ყველას სადღაც მიეჩქარება.

ყველა ერთმანეთს ხელს უშლის.

მოედანზე კი მაინც წესრიგია.

და არის რაღაც ტკბილი, ენით უთქმელი ამ ხმაურსა და ფუსფუსში, რაღაც უჩვეულო გრძნობა ეუფლება კაცს, დიდი ხნით უნახავ ადგილს რომ უბრუნდება. უყურებ ქუჩებს, სახლებს და გიხარია, გიხარია, რომ ასე გამოცვლილა ქალაქი, მაგრამ ჩუმი სევდაც გაწვება გულზე, რომ ყველაფერი ეს გაკეთდა შენს გარეშე.

ვისაც მშობლიური მხარის დაშორებით არ უცხოვრია, ის, ალბათ, ვერც დაბრუნების სიტკბოს გაიგებს.

გამვლელ მოხუც ქალს ოცნებიდან გამოვყავარ:

— შვილო, ჩემოდანს მიხედე.

რა ნაცნობი სახეა! ნუთუ ის არის, ხმაც თითქოს მისია. დავუძახებ, თუ არ იქნა, ბოდიშს მოვუხდი.

გაკვირვებული მიყურებს. შემდეგ სათვალე მოიხსნა და ისე დამაცქერდა.

ის არის ნამდვილად, ბებო ელენე, ჩემი ძველი დიასახლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დაბლა ვიხრები, ის კი ფეხის წვერებზე დგება, რომ საკოცნელად შემწვდეს.

ბებო ელენე აქვე ცხოვრობს, სადგურთან. რომ გაიგო, სასტუმროში ვაპირებ-მეთქი, ჩემოდანს ხელი დაავლო.

— არც კი გრცხვენია. დიდი კაცი სანამ გახდებოდი, არ გეთაკილებოდა ჩემთან მოსვლა.

უარის თქმა არ მიცდია. მინდა მხოლოდ ჩემოდანი გამოვართვა, მაგრამ არ მანებებს.

— არა უშავს, მძიმე არ არის.

— მაშ ორივემ წავიღოთ.

კი არ მიგვაქვს, ერთმანეთს ხელს ვუშლით. ალბათ, სასაცილოები ვართ, გამვლელები ღიმილით რომ გვიყურებენ.

მივდივართ.

წინ ბებო ელენე, უკან მე.

— კარგი ახლა, ხელი გაუშვი, კიბეებზე მე ავიტან, — მეუბნება მოხუცი.

— ჩემი ნუ გერიდება, ბებო, გინდა შევეჯიბროთ, ვინ აასწრებს?

— ვახტანგ, ნუ სულელობ, ღმერთო, რამ გადარია ეს კაცი!

— ეხ, ბებო, კიბეებზე ასვლა რაა, შენ ნახე, ლამის ფეხბურთი ვითამაშო.

ბებო ელენეს ოროთახიანი ბინა აქვს. ერთში, მე და თენგიზმა სტუდენტობის წლები რომ გავატარეთ, ახალი მდგმურები ცხოვრობენ. დიასახლისმა თავისთან შემიყვანა.

—აქა მშვიდობა! სტუდენტი კაცი ვარ, ხომ მიმიღებთ?

— მიგიღებთ, მაგრამ ბინის ქირა წინდაწინ უნდა შემოიტანო, — იცინის ბებო ელენე.

მოხუცს ყველაფრის გაგება სურს, რაც ამ შვიდი წლის მანძილზე გადამხდა. არ ვიცი, რომელ ერთ კითხვაზე ვუპასუხო.

— ბებო, საყვარელო, სულის დათქმა მაცალე.

— შენ ისეთი ხარ, მარწუხით თუ ამოგგლეჯს კაცი პირიდან სიტყვას. ეს მაინც მითხარი, ცოლი თუ მოიყვანე.

არა-მეთქი რომ ვუპასუხე, თავი გაიქნია.

— შენ და თენგიზი ტოლები არა ხართ?

— ვართ. მერე თენგიზი რა შუაშია?

— რა შუაშია და მოსწრებული შვილი ჰყავს უკვე. ყველაფერში როგორ უნდა გაჯობოს.

— არა უშავს, ბებო, მთავარია მტერმა არ მაჯობოს, თორემ ძმისა და მეგობრის კარგი შენი კარგიცაა.

— მაგის იმედი გქონდეს. ჯიუტი იყავი თავიდან. თბილისში გტოვებდნენ და ციმბირში გაიქეცი. თენგიზი შენზე ჭკვიანი გამოდგა. ნახე, სანამდე გაიწია.

ბებო ელენეს ხასიათი რომ ვიცი, თუ მოჰყვა, საღამომდე აღარ გაათავებს წუწუნს. ამიტომ პირიქით ვაძლევ შეკითხვებს: როგორ გრძნობს თავს, რევმატიზმები რომ აწუხებდა, თუ გაუარა, როგორ ცხოვრობენ მისიანები კახეთში, საერთოდ რა არის ახალი ქალაქში.

ვეკითხები და მოხუციც დაუზარებლად მაძლევს პასუხს. ტკივილებმა გაუარა. კახეთში ყველანი კარგად არიან, მის ძმას, აი ფერმაში რომ მუშაობს

იმას, შვილიშვილი შეეძინა. ერთი წლის რომ გახდა, დღეობა გადაუხადეს და თვითონაც ჩავიდა. რა უყიდა? ისეთი არაფერი, თეთრი ფაჩუჩებიანი ბავშვებს ფულის მოცემა დაუგვიანდათ, თორემ კარგად იცის რასაც ჩაუტანდა, ქალაქში ახალი ბევრი რამაა, აბა რომელი ერთი მოჰყვეს...

ლაპარაკში შეუმჩნევლად გადის დრო.

ხვალ დღესასწაულია. დიასახლისი ბაზარში უნდა წავიდეს.

— ბებო, შენი ჭირიმე, ერთი ჩვენებური საცივი გააკეთე. ეს ფული აიღერაო, სტუდენტი ხომ აღარა ვარ, რომ არ მართმევ?

უთო ვთხოვე. მალე დავბრუნდები და მე გაგიუთოებო, მაგრამ დავარწმუნე, ამ საქმის გაკეთება მასზე უკეთ შემეძლო. მარტოხელა კაცი ასეთ რამეებში ისე ოსტატდება, რომ მისი ნამუშევარი ბევრ დიასახლისს შეშურდება.

ჯიბეები გადმოვქექე. უბის წიგნაკში გაყვითლებულ პატარა ქაღალდს წავაწყდი. ტრამვაის ბილეთია. ქეთინომ მიყიდა შვიდი წლის წინათ და მას შემდეგ ვინახავ, ბედნიერება უნდა მომიტანოს.

რა ხნის ისტორია აქვს ამ გაყვითლებულ პატარა ქაღალდს!

შვიდი წლის წინათ იყო.

დიდი დრო ყოფილა ეს შვიდი წელი. ქეთინოსა და თენგიზს ახლა ხუთი წლის შვილი ჰყავთ.

მოსახვევში ტრამვაი დაამუხრუჭეს. ალბათ, დიდი სისწრაფით მოდიოდა და უცებ გაჩერდა. ვიღაც გადაურბენდა წინ, ან იქნებ ბავშვი გაექცა დედას და...

აი ახლა ისევ დაიძრება.

ჭრ... ჭრ... აჭრიალდნენ ბორბლები. მერე ჭრიალი თანაბარ გუგუნში გადავიდა და ტრამვაი თვალს მიეფარა, ბორბლების ხჭრიალი კი მაინც ყურში დარჩა...

შვიდი წლის წინათ მოხდა ეს როსტოვში.

მე და თენგიზი სტადიონზე მივდივართ. ჩვენი ინსტიტუტის გუნდი ფინალურ შეხვედრას ატარებს.

იქვე, ქუჩის კუთხეში, ახალგაზრდა ქალს ხელი ჩაუკიდია გოგონასათვის და ტრამვაის გადასწრებას აპირებს, მაგრამ ყოყმანობს და ადგილზე რჩება. ბავშვი კი წინ გარბის.

ყველაფერი წამში მოხდა.

დედის კივილი ბორბლების ხმაურს აყრუებს.

არ ვიცი, როგორ მოვასწარი ბავშვთან გაჩენა. ქვაფენილზე ვისვრი. ალბათ, მეც გადავასწრებდი, მაგრამ ფეხი დამიცდა. არა, ჩემით არ დავცემულვარ. ტრამვაის ბიძგმა თუ გამომიყვანა წონასწორობიდან.

ყველაფერი დაბნელდა.

საავადმყოფოს თეთრი კედლები. პალატაში უხვად იღვრება სინათლე. ჩვენი ბიჭები მოსულან, უხმოდ იცრემლებიან. თენგიზი კი დედაკაცივით ტირის. ის უცნობი ქალიც აქაა. პატარა გოგოს, ალბათ, სიცილი ურჩევნია, მაგრამ რადგან დედა ტირის, მასაც ცრემლებით დაუსველებია ფუნჩულა ლოყები.

რა კარგი გოგონაა, ნეტავ რა ქვია? ქეთინო? — რა სულელი ვარ, აბა საიდან ერქმევა ქეთინო, ალბათ, სვეტლანა ან ნატაშა.

კარგი სახელია ნატაშა, მაგრამ ქეთინოს მაინც ვერ ჯობს.

ქეთინო!

ქეთინომ არაფერი იცის. როცა როსტოვში მოვდიოდი, ქეთინომ ბედნიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ბილეთი მიყიდა. ქეთინო ძალიან მიყვარს. თენგიზსაც უყვარს, მაგრამ წამოსვლის წინ ქეთინომ მარტო მე გამაცილა და ბედნიერი ბილეთ[illegible]ჰო, როგორ იყო? — ავედით ტრამვაიში და... არა, მანამდე?

მანამდე მთელი საღამო ვიარეთ. მაისი ახალშემოსული იყო და პარკში გვერდს ვერ აუვლიდი ხალხს. ნელა მივდივართ და ვხედავ, როგორ ცნობისმოყვარეობით გვაკვირდებიან. უფრო სწორად, ქეთინოს მისჩერებიან. ის კი ვითომც ვერ ამჩნევს. მომყვება გვერდით და მელაპარაკება. მელაპარაკება ათას რამეზე. მე კი ვუსმენ და უზომოდ ბედნიერი ვარ. მიხარია, რომ ქეთინო ჩემს გვერდითაა, რომ მაისის საღამო დგას და ქუჩაში ზღვა ხალხი დადის, რომ ეს ხალხი ჩვენ ცნობისმოყვარეობით შემოგვცქერის.

შემდეგ ჩემი წასვლის დროც მოვიდა და ჩვენ ტრამვაიში ჩავჯექით. ქეთინომ ფულის გადაწოდება დამასწრო.

— მომეცით ორი ბილეთი. ერთი აუცილებლად ბედნიერი უნდა იყოს.

და მართლაც ბედნიერი ბილეთი შეგვხვდა.

ეს როსტოვში წამოსვლის წინ იყო. ქეთინო ახლა თბილისშია. არა, უკვე გაგრაში იქნება, ამ ზაფხულს იქ უნდა დაისვენოს...

მე ხეიბარი დავბრუნდი. ნაცნობებს თვალს ვარიდებ. ნუთუ საცოდავი ვარ, ასე რომ მიყურებენ? სახელმწიფო გამოცდებიც მალე მოვიდა. გაგვანაწილეს.

ქეთინო?

იმ ზაფხულს გაგრაში ისვენებდა.

შემდეგ გზები, დაუსრულებელი გზები.

მუშაობას ვიწყებ.

ქეთინოს წერილს ვუგზავნი, დაწვრილებით ვწერ როგორ იყო, ვწერ, რომ ძალიან მიყვარდა, ძალიან მიყვარდა, მაგრამ ახლა ყველაფერი დასრულდა.

პასუხს არ დაუგვიანებია. ჯერ მამხნევებს, შემდეგ მესაყვედურება, ასე რომ გამოვიქეცი. ბოლოს მპირდება, ზაფხულში მე და თენგიზი ჩამოვალთ სანახავად. ლოდინში გავიდა ის ზაფხული.

შემოდგომაზე კი გავიგე, რომ ხელი მოაწერეს. ბებო ელენე ყოფილა ქორწილში.

ერთხელ კიდევ გადავიკითხე წერილი. მინდა თვალებს არ დავუჯერო, მაგრამ გული მეუბნება, რომ ასეა.

ფანჯარას ქარი თოვლის ფანტელებს აყრის. ჩვენში კი ახლა ოქტომბერია. ჰაერებს ფოთლები ცვივა და, როცა მიდიხარ, გგონია ყვითელ ხალიჩაზე ადგამ ფეხს.

გავიდა წლები.

ბიჭი შეეძინათ, ვახტანგი დაურქმევიათ...

მოგონების ძაფი წყდება. დიასახლისი ბაზრიდან დაბრუნდა. მე კი უთოობა არ დამიწყია.

ნასადილევს ქალაქში გავდივარ. ვიცი, დავიღლები საშინლად, მაგრამ მაინც ფეხით უნდა ვიარო. აი თუნდაც აქედან ახალ ქუჩას შევუყვები.

ალბათ, დიდი დრო გავიდა სიარულში. აკი მოედანზე მინდოდა წასვლა, მაგრამ აქ სად მოვსულვარ? „22 ნომერი. მესამე სართული. აივანი ქუჩის მხარეს...“ მაშ აქ ცხოვრობენ? ლამაზი სახლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას გავჩერდი ამდენ ხანს? რომ დამინახონ, უხერხულია... საჩქაროდ უნდა წავიდე. აი თავისუფალი ტაქსი გამოივლის და ჩავჯდები.

ეზოდან პატარა ბიჭი გამორბის. მეორე მხარეს უნდა გადასვლა. შევაჩერე.

— ამ ეზოში ცხოვრობ, ბიჭიკო?

თავი დამიქნია და გასაქცევად მოემზადა.

ხელში ამყავს.

— გამიშვი!

— სახელს თუ მეტყვი, გაგიშვებ.

— ვახო.

— შენს მამიკოს რა ქვია?

—მამიკოს თენგიზი.

ვკოცნი, თმებს ვუწეწავ. ეტყობა, არ სიამოვნებს ჩემი ალერსი.

— დამსვი. გიასთან მივდივარ, ბურთი უნდა გავბერო.

— სახლში წამოდი. მე გაგიბერავ.

ბიჭი ეჭვის თვალით მიყურებს, მაგრამ ბოლოს მეთანხმება და ხელჩაკიდებული ავდივართ კიბეებზე.

დაიცა, სად მივდივარ? როგორ თუ სად — ჩემს მეგობართან მივდივარ, შვიდი წელია არ გვინახავს ერთმანეთი. მერე ვინ მიგიპატიჟა? — არავინ. მე მხოლოდ ვახოს ავიყვან, მშობლებს ჩავაბარებ და ვეტყვი, რომ ბავშვის ქუჩაში მარტო გაშვება არ შეიძლება, როცა ამდენი მანქანა და ტრამვაი დადის. ვეტყვი და წამოვალ.

მოაჯირზე ქალი გადმოდგარა და ვახტანგს ეძახის. ქეთინოს დედაა.

— აქა ვარ, დიდედ, ძია მოვიყვანე, ბურთი უნდა გამიბეროს.

ქალი გაკვირვებით მიყურებს.

— თქვენ, ალბათ, თენგიზის ნახვა გინდათ! სახლში არ არის.

— დეიდა ვარდო, ნუთუ ვერ მიცანით?

— ღმერთო ჩემო, ვერ მომიგონებია, — და ნამძინარევ თვალებს იფშვნეტს.

— ვახტანგი ვარ.

— ვახტანგი?.. აა, ის... — და ფეხზე მიყურებს. — კარებში რას გაჩერებულხართ, შემოდით.

ვახო ბურთს მოარბენინებს.

— მომკლა ამ ბავშვმა. ერთი წუთით არ მოგასვენებს. ისედაც ამდენი საქმეა. ვეუბნები, მოსამსახურე ავიყვანოთ-მეთქი, ვინ დაგიჯერა!

— დეიდა ვარდო, შემდეგ შემოვივლი...

— როგორც გენებოთ. ისე კი მალე უნდა დაბრუნდნენ. ნაშუადღევს წავიდნენ.

შვიდი საათია. დეიდა ვარდოს ვახტანგი სავახშმოდ გაჰყავს და ოთახში მარტო ვრჩები.

კედელზე სურათებს ვათვალიერებ.

ჩვენი გუნდი. მე და თენგიზი, თენგიზი და ქეთინო. ქეთინო და ვახტანგი. „ვახო ხუთი წლისაა“.

ზარი დარეკეს. ხმაზე ვიცანი, ქეთინო და თენგიზი არიან.

თითქოს სურათიდან გადმოვიდნენ და კარის ზღურბლზე გაჩერდნენ. სულ არ შეცვლილან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამით დაბნეულები შევცქერით ერთმანეთს.

— ვახტანგ?

ეს ქეთინოა.

აი ჩემს წინ დგას. ისევ მხრებამდე მწვდება. წინათ რომ ვაბრაზებდი, შენზე ერთი თავით მაღალი ვარ-მეთქი. ძველებურად ლამაზია, ოღონდ თმები შეუჭრია და მგონი არ უხდება...

თენგიზის გამოწვდილ ხელს თითქოს ვერ ვამჩნევ. ვეხვევი. რაღაცას მეუბნება, მაგრამ არ მესმის.

ქეთინომ პალტო გაიხადა. შავი კაბა აცვია. ძალიან უყვარს შავი ფერი. ერთხელ გამებუტა კიდევაც, რომ არ დავუჯერე და ყავისფერი კოსტიუმი შევიკერე.

— როგორ ხარ, რატომ არაფერს იწერებოდი?

მინდა ვუთხრა, რომ ეს საყვედური მათ ეკუთვნით, მაგრამ არ ღირს.

თენგიზი პაპიროსს მაწვდის.

— სულ ჩამოდი?

— არა, შვებულებით მხოლოდ.

— რომელ სასტუმროში გაჩერდი?

— ბებო ელენესთან ვარ.

— სადგურთან, გოგოლის ქუჩაზე, არა? — იგონებს ქეთინო.

მეც ვუდასტურებ, რომ ნამდვილად გოგოლის ქუჩაზე, იმ სახლში, სადაც წინათ მე და თენგიზი ვცხოვრობდით.

ქეთინო მიყურებს, მაგრამ ისეთი დაბნეული მზერა აქვს, ნამდვილად არ მისმენს.

თენგიზს პაპიროსი ჩაუქრა და ხელახლა მოუკიდა.

მეც პაპიროსს ვაბოლებ.

ვდუმვართ.

— რას გაჩუმდი, მოჰყევი როგორ ცხოვრობ, — მეუბნება ქეთინო.

— ვცხოვრობ ისე, რა...

ოთახში თამბაქოს ბოლი დგება. ქეთინო ფანჯარას აღებს.

ისევ დუმილი და მე ვგრძნობ, რომ აღარ შემიძლია ამ ოთახში დარჩენა. ალბათ, ქეთინოც ამასვე გრძნობს, თენგიზიც...

ოთახში დეიდა ვარდო შემოდის.

— ქეთინო, რვის ნახევარია უკვე.

— ღმერთო, როგორ გარბის ეს დრო, ვერაფერს მოასწრებ.

წამოვდექი.

— ხვალისათვის რომ გადაგვედო, ქეთინო?

— ვიცი, უხერხულია, მაგრამ.....

მასპინძლებს ვამშვიდებ.

— ჩემი ნუ მოგერიდებათ. მეც გადაუდებელი საქმე მაქვს ამაღამ.

— ვახტანგ, როგორი ბოდიში შენთან!

— ადრე რომ გვცოდნოდა... — უმატებს თენგიზი.

სახლიდან ერთად გამოვდივართ. ტრამვაი იქვე ჩერდება. ბევრი ხალხია.

— შენ წინიდან ადი, ვახტანგ.

მე მაინც უკანა ბაქნიდან ავდივარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილეთები ქეთინომ აიღო.

— ვახტანგ, ნახე, ბედნიერი ბილეთი შეგხვდა.

მომიხია.

ბედნიერი ბილეთი!

ერთი ბედნიერი ბილეთი უკვე მაქვს. ისიც ქეთინომ მიყიდა შვიდი წლის წინათ და მას შემდეგ ვინახავ, ბედნიერება უნდა მომიტანოს.

ვერის ბაზართან ჩვენი გზები იყრება. ვემშვიდობები და ტრამვაიდან ჩავდივარ.

ქუჩის კუთხეში ბოშა ქალები ფერად ბურთებს ყიდიან. პატარა ბიჭი დედას ჩაფრენია და არ ეშვება.

— დედიკო, მიყიდე!

— ერთი ხომ გიყიდე.

— წითელი მინდა, თინიკოს რომ აქვს, ისეთი.

— ხვალ გიყიდი.

ბიჭი არ უთმობს.

— დღეს მინდა!

ბოშა ქალთან მივდივარ.

— რა ღირს შენი ბურთი?

— ორი მანეთი.

7600

გამოვართვი. ბიჭი თვალებში მიყურებს.

— ეს შენი საჩუქარი იყოს, ვაჟკაცო.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, — შეწუხდა ქალი.

— არა უშავს, არა უშავს!

— მადლობა მაინც უთხარი ძიას.

ხელში ამყავს და მიხარია, მის ბედნიერ სახეს რომ ვუყურებ.

დღესასწაულის წინ თბილისი განსაკუთრებით ლამაზია.

მაინც სად იყო ამდენი დროშები, ამდენი ყვავილები, ან ამდენი ხალხი სად იყო.

არის რაღაც ტკბილი, ენით უთქმელი ამ ხმაურსა და ფუსფუსში, რაღაც უჩვეულო გრძნობა ეუფლება კაცს, დიდი ხნით უნახავ ადგილს რომ უბრუნდები.

ვისაც მშობლიური მხარის მოშორებით არ უცხოვრია, ის, ალბათ, ვერც დაბრუნების სიტკბოს გაიგებს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჭიღაძე

წიგნიდან „ლია სარკმელი“

* * *

მე მეზღვაურის იღბალს დავნატრი:
ქარი, გრიგალი და ზღვა მარადი...
და ისიც ვიცი—ზღვის სიყვარული
არ შეიძლება ძალის ძალათი.
ზღვა მწვავდა ხელებს, როგორც კოცონი,
თუმცა მიყვარდა, თუმცა მომწონდა,
თუმცა მავსებდა დიდი სიამით,
როგორც ზამთარში წოლა კოცონთან.
მე მეზღვაურის იღბალს დავნატრი:
დააქანავებს ჩრდილებს სანათი,
მარილში ელავს ბადე, ღუზები,
თოკი და თევზით სავსე კალათი.
მიწის ზოლს, როგორც სინათლეს ხედავ,
—მიწა!—იძახი, ჩურჩულებ:
—დედა...
და გიხარია—ზღვასთან იმარჯვე,
რა გიფიქრია, რა გაგიბედავს.
და შენს სიცოცხლეს არა აქვს თითქო
არც დასაწყისი, არც დასასრული,
ცას, ზღვას და მიწას ერთი აქვთ სითბო,
ოღონდ უდგიათ სხვადასხვა სული.
მე მეზღვაურის იღბალს დავნატრი:
ქარი, გრიგალი და ზღვა მარადი
და ისიც ვიცი—ზღვის სიყვარული
არ შეიძლება ძალის ძალათი.

* * *

ბავშვი თამაშობს ქაღალდის გემით,
ზღვაზე ნამდვილი ხომალდი ბოლავს,
ბავშვს უთრთის სუსტი და თეთრი ხელი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფოლადის ხელით მართავენ ხომალდს.
ბავშვი უბერავს მოგონილ აფრებს,
ხომალდი ზეცას ბზარავს საყვირით,
ადამიანის სურვილით, სწრაფვით
განათებულა ზღვა და ნაპირი...

* * *

დედა გვაფენდა წითელ აბრეშუმს,
ჩვენ ვუღიმოდით წითელ ყვავილებს...
და სიცხიანნი მზეში, მთვარეში
ჩვენ ვუღიმოდით წითელ ყვავილებს.
ღია სარკმელში ჩანდა ზღვისფერი
და ჩვენ ვიძახდით:
—დედა, ზღვა გვინდა!
დაყვავებით და წყნარი სიმღერით
დედა ქვეყანას და ზღვას დაგვპირდა.
ჩვენ ვუღიმოდით წითელ ყვავილებს
განათებულებს დედის ზღაპრითა.

* * *

ბათუმის პორტში დგანან გემები,
დაუჭერიათ ანძებით მთვარე...
და თითქო ფიქრებს გადასდებია
ტალღების თრთოლვა და სიფერმკრთალე.
წევს მშვიდ ყურეში დაღლილი გემი,
ეკრობა მიწას, ვით კრავი დედას...
ამ ვარსკვლავებით, ვით საკრავებით
შენთვის უმწეო სიმღერას ვბედავ.
შენ კი სადა ხარ... გულგრილი... შორი...
შენს ფიქრებს ვფიქრობ,
შენს სიზმრებს ვხედავ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი სანაძირაძე

ზღვის მხატვარი

— რამდენი წლისა ხარ, ბიჭი? — ჰკითხეს მეზღვაურებმა.

— ექვსის, — გაიღიმა ყმაწვილმა და სწორედ ამ ღიმილის დროს შეეტყო, რომ წინა კბილები აკლდა.

— ეჰეი, ექვსის კი არა, დაბერებულხარ, ძმაო. პენსია გეძლევა თუ?

გოჩამ თვალები მოჭუტა, მერე სახელოთი ცხვირი მოიწმინდა და ნელი ნაბიჯით გაუყვა სახლისკენ.

„რა ხუმარა ძიებია ეს მეზღვაურები!“

* * *

კუნძული, რომლის შუაგულში შუქურაა აღმართული, რატომღაც „მწვანე სავანედ“ იწოდება, ზედ კი, წამლადაც რომ გინდოდეს, ორიოდე პალმის მეტს ვერას იპოვი. პალმები გოჩას სახლთან დგანან და მუდამ, როცა ყმაწვილი იძინებს, ჩუმი შრიალით იავნანას ეუბნებიან. მერე სავსე მთვარე ბოშას საყურესავით დაეკიდება ცის ტატნობს და ქარვისფერ მძივებს მოჰფანტავს სარკმელში.

ექვსი წლისაა გოჩა. მამამისი შუქურის უფროსად მუშაობს და იშვიათადაა, რომ ყმაწვილს ქალაქში უწევდეს წასვლა. მათი სახლი, იქვე, კლდეებით ალყაშემორტყმულ ფერდობზე მდებარეობს და პატარა, ქერათმიანი ბიჭუნა თავს ბედნიერად გრძნობს. დარბის, აგროვებს კენჭებს, იჭერს კიბორჩხლებს...

მაგრამ ყველაზე უფრო გოჩას ხატვა უყვარს. როცა ხატავს, მისთვის არ არსებობს სხვა გართობა. ამ დროს იგი თითქოს ბურანშია. ხატავს ყველაფერს, რასაც ხედავს, და წარმოიდგინეთ, კარგადაც. მაგრამ ცუდი ესაა, რომ ქაღალდი უთავდება და ფანქარიც არა აქვს ხშირად. ამ მხრივ მას ოდნავ მაინც ეხარბება ქალაქელ თანატოლთა ბედი — იქ ხომ ყველაფერს სწრაფად იშოვი, ჩაირბენ და ყოველ კუთხეში შეიძენ ქაღალდს, საღებავს... აქ კი რას იყიდი — ირგვლივ მხოლოდ წყალია და წყალი, რუხი ბორცვები და პალმები...

ხანდახან, როცა უანძო, ბრტყელცხვირა კარჭაპი შემოივლის და სანოვაგეს მოიტანს, გოჩა დიდხანს ზის ნავმისადგომთან და ფიქრობს შორეული ლაშ-

ქრობის შესახებ, ხოლო მერე, როცა კარჭაპი რამდენჯერმე გულისწამღებად დაიღმუვლებს და თუხთუხით გაუდგება გზას, გოჩა ბორცვზე არ ადგა ნამდე უქნევს ხელს, სანამ თვალთ არ მიეფარება.

ჰოო! ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენს მეგობარს ქაღალდი რომ არ ჰქონდა, ამას მამის სააღრიცხვო რვეულიდან ამოხეულ ფურცელზე დახატული შუქურაც მოწმობს.

დედას ეგონა, ოჯახის უფროსს ეს სასტიკად გააბრაზებდა, მაგრამ პირიქით მოხდა. მამამ მოწონებით მხარზე დაჰკრა ხელი და რამდენიმე საალერსო სიტყვაც კი უთხრა. დიახ, ეს სახეგარუჯული და ფართომხრებიანი მეზღვაური აშკარად მიეფერა პირმშოს. კიდევ მეტი — მან გოჩას ნამუშევარი თავისი მაგიდის ზემოთ, აივაზოვსკის სურათის გვერდით დაჰკიდა.

— სამაგიეროდ კი აი, ეს გქონდეს, — უთხრა მან სიხარულისაგან თვალებგაბრწყინებულ ბიჭს და ახალთახალი ფანქარი აჩუქა. ფანქარს რბილი გული ჰქონდა, იმით ხატვა კარგიც იყო და სასიამოვნოც.

მაგრამ ყველაზე უფრო გოჩას ხომალდები გამოსდიოდა, თოლიები კი ცუდად. დაინახავდა თუ არა თოლიას, შეუდგებოდა ხატვას, კვლავ გაიხედავდა და... თოლია უკვე გაფრენილა, სხვა მდგომარეობა მიუღია. მართლაც რა უცნაური ფრინველია ეს თოლია! რამდენიმე წუთით ჰაერში გაქვავდება, მერე ისარივით მოწყდება და ჩაეშვება ტალღებში. მაგრამ გოჩა ამასაც შეძლებს. მაშ, რა ზღვის მხატვარია, თუ ზღვის პეპელასაც ვერ დახატავს?

ქარიშხლის დღეებში გოჩას არასდროს არ ეძინება. როცა გამძვინვარებული ტალღა აფთარივით დაეცემა კლდეებს, მას ჰგონია, რომ ზღვამ ამოისუნთქა, ხოლო, როცა ტალღა ქვევით, გულისკენ მიიწევს კენჭებისა და ქვების შიშინით, „ჩაისუნთქა“,—ბუტბუტებს იგი და იმ მეზღვაურებზე ფიქრობს, რომელთა ხომალდს ზღვა ნაფოტივით ათამაშებს, გემბანს წარამარა ტალღებით ფარავს და საფრთხეს უქადის. რამდენი მრისხანება და მუქარაა ამ დროს ქარიშხლის ხმაში, რა ძალაა და შფოთვა! მაგრამ გოჩას სულ არ აკრთობს იგი. პირიქით, რომ დაანებებდნენ, მამას სამორიგეოდ წაყვებოდა, აანთებდა და ჩააქრობდა შუქურას, ნიშანს მისცემდა ბოღაზში მიმავალ გემებს...

დილით კი ქარიშხალი იკლებს და ისევ შეიძლება სილაზე სირბილი, ტალღებისა და გემების ხატვა.

აი, ახლაც, გოჩა ქვაზე წამომჯდარა და რვეულში მოწდომებით გამოჰყავს ზღვის პეიზაჟი. ზღვა წყნარზე წყნარია, მის ზემოთ კი ზანტად მისცურავენ ვეებერთელა, თოვლისფერი ღრუბლები. დახატა გოჩამ ერთი მათგანი, ყველაზე დიდი, აქლემის კუზს რომ გავს, და აი შეუდგა მეორის გადატანას... მაგრამ სდექ!.. არ გამოუვიდა, და ყმაწვილმა საშლელისათვის ჯიბეში ჩაიყო ხელი. ამასობაში მამის ნაჩუქარი ფანქარი რვეულიდან დასრიალდა და ქვებს შორის გაქრა.

— უჰ, — გაბრაზდა ბიჭი, რვეული განზე გადადო და ქვევით ჩაიხედა, ფანქარი ქვებს შორის გაჩხირულა, მერე და როგორ ახალია! უუ, რამდენს დახატავდა კიდევ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელო აიკეცა, დაიხარა, სიჩქარეში მკლავი გაიკაწრა, საშინლად ეწვის, მაგრამ ქვევით ფანქარია და ხელი მაშინალურად მიიწევს მისკენ. ა[illegible] თით შეეხო, საცაა მეორეთიც მისწვდება, ამოიღებს და ისევ ექნება ფანქარი. მაგრამ ცოტა კიდევ უნდა ჩაიჩოჩოს. და გოჩა უფრო იზნიქება, ცოტაც და... სილა დააცვივდა ფანქარს, მერე რაღაცამ დიდი ხმა გაიღო, და ბავშვმა ძლივს შეიკავა თავი. სიმწრის ოფლმა დაასხა, მუხლებმა თრთოლვა დაუწყეს. გაბრაზებულმა ერთხელ კიდევ შეხედა ფანქარს, უიმედოდ ჩაიქნია ხელი და გაშორდა.

— რა ჩამოგტირის, ბიჭო, სახე, წუხელ ქარავანი რომ დაიღუპა, შენი იყო თუ, — გაეხუმრა მამა. მაგრამ გოჩას განა ეხუმრებოდა? ერთადერთი ფანქარი ჰქონდა და ისიც დაჰკარგა. თვალები დაეცრემლა. ლოყები დაბერვოდა.

დედამ სიცხე გაუზომა, მერე უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა რაღაც და უბრძანა დაწექიო.

როცა გოჩამ ტანზე გაიხადა, მამა ახლოს მიუჯდა და ჩუმი, ხავერდოვანი ხმით უთხრა:

— გქონდეს სამახსოვროდ, და ავტომატური ფანქარი გაუწოდა. — წათლა არ სჭირდება, მოატრიალებ და წვერი გამოჩნდება. დამატებითი გრიფელებიც აქვს. აი ნახე!

გოჩამ მადლობის ნიშნად ოდნავ გაიღიმა.

... ტალღები ხმაურით ასკდებოდნენ კლდეებს. და ღრუბელი, სწორედ ისეთი, გოჩას რომ სურდა დაეხატა, სარკმლიდან ჯერ ნახევრად, ხოლო შემდეგ სრულად გამოჩნდა და ისევ მიიმალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქსენია მჟავია

მ ო გ ო ნ ე ბ ა

ამ ღელის პირს,
    დღეს რომ სევდით გადავცქერი,
        ვით ტკბილ-მწარე მოსაგონარს,
მახსოვს, შარშან არაყს ხდიდა მამაჩემი
და ლოცავდა კალათსავსე შემოდგომას.

უკეთესს რას ინატრებდა გლეხიკაცი,
უფრო მეტის რისღა იყო მსურველი—
ახარებდა ტაროები თვალწარმტაცი
და მარანში ტკბილი ღვინის სურნელი.

სტუმრისათვის ფართოდ გახსნის სახლის კარებს,
ვინ ახსენებს პურძვირად და ღარიბად,
ღიღინებდა კმაყოფილი, შუბლმღიმარე,
ცეცხლს ხმელ ფიჩხებს უმატებდა მალიმალ.

...კვლავ გვეწვია შემოდგომა უხვ მოსავლით,
ისევ ვისმენ ორღობებში ურმის ჭრიალს,
ვაშლი მოჩანს ლოყაწითელ გოგოსავით,
მსხალს ტოტები დაუხრია,

შენ კი სად ხარ, მამაჩემო,
სად წახველი,
ვაზებს თითქოს უშენობა ეძნელებათ,
შუბლშეკრული შემომყურებს საწნახელი
და ქვევრებიც იცრემლება.

მე კი შენზე ოცნებები მაღონებენ,
შენს განვლილ გზას სასოებით გადავცქერი,
და დამრჩება, როგორც ტკბილი მოგონება
ღვინობისთვე შარშანდელი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოდგომა ულრუბლო და უქარწვიმო,
სხივთა კრთომა,
მზის ნათება ალმაცერი,
არაყს ხდიდა
და გაფრენილ სიყმაწვილეს
შესცინოდა მამაჩემი.

* * *

შენ რომ მიცქერი, თვალებით
უკვდავებას რომ მპირდები,
შემომცინებენ ფოთლები,
შემომხარიან კვირტები.

წახვალ და მებუტებიან,
იაც, ნარგიზიც მემდურის,
მომიშივდება თვალები,
მზის ხილვას დანატრებული.

ნუღარსად დამემალები,
ნუღარსად დამეკარგები,
არ დამიღონო კვირტები,
არ ამიცრემლო ვარდები.

* * *

მე გაზაფხულის მიყვარს ფერები,
მკვირცხლი დილა და წყნარი საღამო,
გაზაფხულივით ამღერებული
მინდა სიცოცხლე დაუსაბამო.

ხარბად ვისუნთქავ ვარდების სურნელს,
სხივების ალერსს გულით ვიფერებ,
—მენდე,—ნიავი ყურს ჩამჩურჩულებს,—
არ დაგაჭკნობ და არ დაგაბერებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ბოღქვაძე

მეგობარი

მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა. შემდეგ, თითქოს ზღვაში ჩაიძირაო, ჩაეშვა და სხივებიც ჩაიწურა. თბილი და ნესტიანი საღამო იდგა.

მინდვრიდან გუგუნი მოისმოდა. „არ ძინავს სოფელს, მუშაობა ღამითაც არ წყდება“, — წარმოთქვა ძილგატეხილმა მოხუცმა და წამოდგა, ისე გახედა გაფაჭიმულ მინდვრებს, თითქოს პირველად ხედავსო. ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. შუქურები ღამის ბინდბუნდს სერავდა. სინათლე იღვრებოდა მიწაზე. ტრაქტორისტები ღამითაც მუშაობდნენ მოჩახჩახე შუქზე.

— ესეც მეოცე ხნული, — ხმამაღლა წამოიძახა ენვერმა და კომბინეზონზე ხელი შეიმშრალა, შემდეგ მოახლოებულ ტრაქტორს გახედა და გაიფიქრა:

„ვლადიკი თავგამოდებით ცდილობს გამითანასწორდეს, მას ჯერ მეთვრამეტე ხნული მიაქვს“.

ტრაქტორისტი მანქანიდან გადმოხტა, მიწის ბელტი აიღო და მუჭში მოფშვნა, შემდეგ ხნულის სიღრმე მოსინჯა და სახეზე სიამოვნება დაეტყო, ტრაქტორს სიყვარულით გახედა და მოაგონდა...

მეხუთე კლასში იყო, როდესაც კოლმეურნეობის ეზოში პირველად დაინახა ტრაქტორი. მუდამ გარს უტრიალებდა, ხელით ეხებოდა, ეალერსებოდა. როდესაც ტრაქტორი მინდორში გაიყვანეს და ვეებერთელა ბელტები ბელტებზე მიაწყეს, იმ წუთშივე აღეკრა სურვილი, გამხდარიყო ტრაქტორისტი. მართლაც, დააბოლოვა თუ არა ათწლედი, სატრაქტორო სკოლაში შევიდა. დღეს კი მას სოფელში ყველა იცნობს. ენვერი ამაყობს თავისი პროფესიით, თანაც ეჯიბრება ვლადიკს... ეჯიბრება, ხვალ ლიანა მოვა რედაქციიდან, კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანებზე ნარკვევი უნდა დაწეროს...

შუაღამე გადასულიყო. გულსავსე მთვარე ქათქათებდა. ენვერს გაუკვირდა, როდესაც ვლადიკის ტრაქტორი შეჩერებული დაინახა. „ისედაც ჩამორჩებოდა ვლადიკი და ნეტავ რა მოუვიდა“, — გაიფიქრა და ტრაქტორს მიუახლოვდა.

— რა ამბავია, ვლადიკ, რად დადექ?

— გამიფუჭდა, — მოიღუშა ვლადიკი და კეფა მოიქექა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ ცუდი რამ დაგმართია, მეგობარო, მაგრამ არაფერია, ვუშველიდ-ი რამეს.

მთელ ღამეს ობლად დარჩა ვლადიკის ტრაქტორი. ჭაბუკი საკოლმეურნეო კანტორაში წავიდა გაფუჭებული ნაწილის გამოსაცვლელად, დაღონებულს კრიჭა შეჰკროდა.

„დილით ლიანა ჩამოვა, — ენვერს არ ასვენებდა ფიქრი. — თუ ნარკვევის დაწერა უნდა, ჩვენზე დაწერს... მზის ამოსვლას დავასწრებ. მაგრამ ვლადიკი? მეცოდება, მისთვის ისიც კმარა, რომ ლიანას ოთახში მისი სურათია. მოსწონს, მოსწონს ლიანა... მაგრამ მეც რომ მომწონს? ვლადიკს რომ ვაჯობო მუშაობაში, ნამდვილად ჩემზე დაწერს ნარკვევს," — გაიფიქრა ენვერმა და მეგუთნეს მიუბრუნდა:

— ახლა გვმართებს ვაჟკაცობა! — მეგუთნემ ენვერს გაუღიმა. ენვერმა ტრაქტორი გადაიყვანა ვლადიკის ნაპირში და თავის ნაპირს ნახნავი გაუთანაბრა. შემდეგ ისევ თავის ნაპირს დაუბრუნდა.

ლიანა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცისფერი „პობედით" ჯერ კიდევ მზის ამოწვერამდე გამოვიდა და ძველ მეგობრებთან შეხვედრას მოუთმენლად ელოდა. ენვერი და ვლადიკი ერთნაირად გატაცებული იყვნენ ლიანათი...

— რა კარგია, რომ ორი ბრიგადის შეჯიბრების ფინალს მოვუსწრებ, — ამბობდა ლიანა, — ნარკვევიც შესანიშნავი დაიწერება.

— გულახდილად თქვით, ლიანა, უფრო რომელი გსურთ იხილოთ გამარჯვებული, ენვერი თუ ვლადიკი? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— ჩემთვის სულ ერთია, ისე კი ორივე გამარჯვებული იქნება, არ ჩამორჩებოდნენ ერთმანეთს.

ავტომობილი ველზე გაიჭრა. ენვერი გაფუჭებულ ტრაქტორთან იდგა. ტრაქტორისტმა მოღიმარ ლიანას მოკრძალებით ჩამოართვა ხელი, ამბავი გამოჰკითხა. მალულად თვალს ადევნებდა ქალიშვილის კელაპტარივით ჩამოსხმულ ტანს. თხელ კაბაში ნიავი ნაკვთებს აჩენდა.

— ვლადიკი სად არის? — იკითხა ლიანამ.

— ვლადიკი? — გაიმეორა და დადუმდა. შემდეგ თვალი მოავლო მოხნულ მიწას და კმაყოფილებით თქვა:

— ეს ჩვენ ერთად მოვხანით. ერთმანეთს არ ჩამოვრჩენილვართ, თუმცა...

— თუმცა რა?

— ის, რომ მთლიანად ვერ შეევასრულეთ გეგმა, რაკი ვლადიკი ავად გახდა...

— შენც მიატოვე მუშაობა, არა? ტრაქტორიც აქვე დაგიტოვებიათ.

— ადამიანი ყველაზე ძვირფასია, ლიანა... — მორცხვად თქვა ენვერმა და ქალიშვილს თვალები გაუსწორა. ის ლიანასთან საუბრით ტკბებოდა, მაგრამ ტყუილის გამო იტანჯებოდა.

ლიანას უნდოდა საკოლმეურნეო ცხოვრებაზე დაეწერა ნარკვევი და... მან ნარკვევს სათაურად დააწერა „მეგობრები".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გული საღუქვაძე

ჩემი გაზაფხული

ბაღში ვარდების ფეთქვა რომ გესმით
ვარდი კი არა, ჩემი გულია,
გაზაფხულივით აფეთქდა ლექსიც,
დღეს ხომ მეოცე გაზაფხულია.

ტყეში ჩიტებმა შებერტყეს ფრთები,
თევზებმა შხეფთა წვიმა აწვიმეს,
ესმით, მეოცე გაზაფხულს ვხვდები
და სიხარული გაინაწილეს.

კლდეც აღარ დარჩა დაზაფრულივით,
გადაყინულ შუბლს ილხობს და ითბობს,
მიწას დავხედავ—ფეთქავს გულივით,
ცას ავხედავ და მიღიმის თითქოს.

ბაღში ვარდების ფეთქვა რომ გესმით,
ვარდი კი არა, ჩემი გულია.
— გაზაფხულია! — გაჰკივის ლექსი,
ჩემი პირველი გაზაფხულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ღორია

მე არ გეხვეწები

შგონია დალალი აგდია ხვეულად,
ისეთი ღამეა...
ჩვენს შორის დარჩეს.
და როგორც პატარას ფუნთუშა ხელები,
ტოტებს უთათუნებს ტყემლის ხე ფანჯრებს.

შენ ისმენ და ფიქრობ: მთიდან მე დავეშვი,
ეს მე მივატოვე გაშლილი ფარა,
მე ვარ, რომ გეძახი ამ შუაღამეში
და კარებს არ აღებ,
არ აღებ,
არა.

გააღე კარები, ალვისტანიანო,
შენ წყრომა კი არა ღიმილი გშვენის,
მე არ გეხვეწები, ტყემალი შრიალებს—
გარეთ დარჩენილი ბავშვობა შენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით კომახიძე

სისხლიანი ხალიჩა

ბნელოდა. შოფერი ხალიჩების სახელოსნოს ფართო ალაყაფს მიადგა, მანქანის ფარები ჩააქრო და კარზე დააკაკუნა. რკინის კარი გაიღო. მანქანიდან ბავშვები გადმოსხეს და ვეებერთელა ეზოში ცხვრებივით შერეკეს.

მანქანა ისევ აგუგუნდა, ადგილიდან დაიძრა და ვებერბაუერის სატრანსპორტო კანტორის წინ შეჩერდა.

მანქანის ხმაურზე ფანჯარაში მორგვივით დიდი თავი გამოჩნდა და მაშინვე მიიმალა. შოფერმა დაინახა, რომ ფანჯრიდან ბარათი გადმოაგდეს. აიღო და ბრდღვიალა ფარნის შუქზე წაიკითხა, კაბინის კარები დაკეტა. ორიოდ წუთში ის ვებერბაუერის სატრანსპორტო კანტორის უფროსის კაბინეტში იყო. კანტორის უფროსი მარცხენა ნიდაყვით მაგიდას დაყრდნობოდა, სიმსუქნისაგან დამძიმებულ თავს ძლივს იმაგრებდა.

ფეხაკრეფით შესული შოფერი რომ დაინახა, სახე მიაბრუნა და მწყრალად იკითხა.

— რამდენია?

— ოცდასამი.

— ოცდასამი? ცოტაა! განა შეიძლება ასე მუშაობა?

— ცოტაა, მაგრამ ესენი შედარებით მოზრდილები არიან, — უპასუხა შოფერმა.

— მოზრდილები! — დაიღრიჯა უფროსი, — მაინც რა ხნისა იქნებიან?

უფროსი საწერ-კალამს სწვდა, უჯრიდან ბლოკნოტი ამოიღო და, როცა წერა დაამთავრა, ორად გაკეცილი ფურცელი შოფერს გადასცა.

— ახლავე ანარეკში წადი და ტრანსპორტის რკინიგზის სადგურის უფროსს გადაეცი ეს ბარათი, შემდეგ ისე მოიქეცი, როგორც დაგარიგოს... ოთხ დღეში აქ უნდა იყო. არ დაგავიწყდეს, ქალაქში ღამით შემოდი.

— გასაგებია, — უპასუხა შოფერმა და კარისკენ მიბრუნდა.

* * *

ხალიჩების საქსოვ სახელოსნოში ბავშვებს მაშინვე მისცეს სამუშაო. ფართო იატაკზე სელის ვეებერთელა ქსოვილი იყო გადაჭიმული. ახლად მოყვანილებმა თვალი შეასწრეს, რომ ქსოვილის ქვეშ მათი ტოლები ფუსფუსებდნენ. ბავშები განცვიფრდნენ. პირველად ხედავდნენ ასეთ უზარმაზარ ხალიჩას. საკუთარი ოჯახებიდან ნაძალადევად მოწყვეტილებს, პირველ ხანებში არ-თობდათ კიდევაც აქ მუშაობა.

მტვრისაგან დაფარული ელნათურები აანთეს. ახლად მოყვანილებმა ჭერს მიაპყრეს თვალი. ხელოსანი კიბეზე აბობღებულიყო და სქლად დაფარულ მტვერს აცილებდა ნათურებს. სინათლემ იმატა.

— ვაიმე, დედა!—დაიყვირა ერთმა პატარამ და თვალებზე ხელები აიფარა. მტვერი თუ ჩაუცვივდა საბრალოს. ვიღაცამ ხელი სტაცა მას და მუჯლუგუნით ბნელ ოთახში შეაგდო. ტკივილით ისედაც გამწარებულმა ბავშვმა წაიფორხილა და რაღაც რბილ საგანზე დაეცა. ტირილი შეწყვიტა. კვნესა მოესმა... ბავშვმა ხალათის სახელოთი შეიშრო ცრემლები. დახშულ აშმორებულ ოთახში ბნელოდა. ბიჭმა ხელით მოსინჯა თავისუფალი ადგილი და იატაკზე მწოლარე ადამიანებს შორის დაღლილ-დაქანცულს ჩაეძინა. რამდენიმე წუთის შემდეგ მუჯლუგუნმა გამოაფხიზლა.

ენაც ვერ დასძრა, რომ მისუსტებული ხმა გაისმა:

— ალი, ჩემო ძამიკო, ვკვდები...

— გიულნარა! — იყვირა ახლადმოსულმა და ჩაეკრა თავის პატარა დას.

— წყალი, ალი, ვკვდები! — აღმოხდა გიულნარას.

წყალი სად უნდა ეშოვნა ალის! გოგონამ თავი ძლივს წამოსწია, ძმას მკერდზე მიეყრდნო, სული მოითქვა და ჰკითხა:

— თვალები?

— აღარ მტკივა, მომირჩა, შენ რაღა მოგივიდა, აქ რატომ შემოგაგდეს?

— შენ რომ ვერ დაგინახე, შემეშინდა, ხელოსანმა მცემა და აქ შემოშაგდო.

გოგონას ტირილი აუვარდა და ძმის ლოყას ათრთოლებული ტუჩები შეახო.

* * *

ღამით აღარავინ შეუგდიათ მათთან. დილით გიულნარას ადრე გამოეღვიძა, თვალები გაახილა, მაგრამ უცებ ვერ გაერკვა, სად იყო.

— დედიკო, მწყურია. — ამოაყოლა მთქნარებას და იატაკი ხელით მოსინჯა.

ალიმ თავი წამოსწია.

— ვის უძახი?

— დედას.

— დედას აქ რა უნდა, დაგავიწყდა, სადა ვართ?!

გათენდა. მჭიდროდ მოხურული კარის ჭუჭრუტანიდან სინათლის ირიბი ზოლი შემოიჭრა. გიულნარამ დაინახა, რომ იატაკზე სხვებიც იწვნენ — მოზრდილებიც და პატარებიც. იგი წუთით დააცქერდა მათ და გააკრკოლა. ბიჭი, რომელიც სწორედ მის წინ იწვა, თხუთმეტი წლისა თუ იქნებოდა. ალიმ შეატყო, რომ გიულნარას რაღაც აწუხებდა და ალერსით წასჩურჩულა:

— დაწექი, აღარ გეძინება?

— არა, ალი, აღარ მეძინება. რა უნდა ვქნათ?

— ნუ გეშინია. სადაც სხვები, ჩვენაც იქ.

— ჩუ, ვიღაცის ხმა ისმის.

— გაჩუმდი, საცაა შემოვლენ.

— მაშ რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? ვინ გაგვიშვებს აქედან!

— თავი მოვიმკვდარუნოთ. მანქანაში ჩაგვყრიან და წაგვიყვანენ!

ამ დროს გასაღები აჩხარუნდა. კარი გაიღო. ეზოდან მანქანის გუგუნი მოისმა.

ვიღაცამ ამოიოხრა და შოფერს უსაყვედურა.

— გადმობრძანდი, ვაუბატონო, კაბინაში რომ გამოჯგიმულხარ! გავათრიოთ აქედან ეს სატიალეები.

გიულნარა და ალი პირქვე დაემხნენ.

2.

შხაპუნა წვიმა წამოვიდა. ოფლში გაწურული მგზავრები ხის გაშლილ ტოტებს შეეფარნენ. წვიმამ ჩქარა გადაიღო. ქარმა დაბერა და ტოტებს შერჩენილი წვიმის წვეთები მგზავრებს უხვად დაასხურა. მგზავრები წამოიშალნენ, გზა გადაჭრეს და სოფლის მისასვლელში ყორის ძირას ჩამოსხდნენ. შიოდათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რცხვენოდათ და ამიტომ ვერ ბედავდნენ პური ეთხოვნათ. ბოლოს, დაღლილ-დაქანცულებს იქვე ჩაეძინათ.

შუაღამე იქნებოდა, როდესაც ცხენის ფეხის ხმა მოესმათ. მხედარმა ცხენი მგზავრებთან მიაგდო. ისინი შიშმა აიტანა. მხედარმა ერთი გადმოხედა მათ, თითქოს ბატებს წასწყდომიაო, და გზა განაგრძო. ვინ არ იცის, რომ ირანში უბინაობის გამო ხალხი ღობეებთან იძინებს, რა იყო გასაკვირი!

ბავშვები სახტად დარჩნენ. ველარ გადაეწყვიტათ, წინ წასულიყვნენ თუ უკან.

ამ დღეში იყვნენ, როცა მახლობელი ეზოს ჭიშკარი გაიღო და ვიღაც ხელფარნიანი მოხუცი კაცი გამოვიდა. ფარნის შუქით წითლად განათებულ მის ჯაგარა სახეს გაკვირვების ელფერმა გადაჭკრა, თავისი ყორის ძირას რომ უცნობი ბავშვები დაინახა. შედგა. მის უკან ორი ახალგაზრდა გამოჩნდა.

— რას დგეხართ აქ? — წამოიძახა წყრომით და თანამხლებთ გადახედა.

— გამოქცეულები ვართ! — მიუგეს ერთხმად ბავშვებმა.

— საიდან?

— თავრიზიდან.

— მერე აქ რას უცდით, სამშვიდობოს გამოსულხართ და ახლა გინდათ ხელში ჩაუვარდეთ ჩაფარს? წამოდით!

მცირე მანძილი რომ გაიარეს, ფარნიანი შეჩერდა და ბავშვებს მიმართა:

— ამ ახალგაზრდებს გაჰყევით!

მერე მოზრდილი ქვა მოძებნა გზის პირას და ჩამოჯდა.

ბავშვები უკვე შორს იყვნენ, როცა ცხენის ფეხის ხმა გაისმა. ფარნიანი კვლავ ქვაზე იჯდა, ვითომც აქ არაფერიაო, ჩიბუხი გაეწყო და ტალ-კვესს აჩხაკუნებდა.

მხედარმა ცხენი შეაჩერა და მწყრალად გადმოუგდო მოხუცს:

— აქ რას აკეთებ, ბებერო?

— აქაური ვარ, ეფენდი. ცხვარი დამეკარგა და იმას ვეძებ.

— დიდი ხანია აქა ხარ?

— არა, ეფენდი, ეს-ესაა მოვედი.

— აქ ბავშვები არ დაგინახავს?

— რა მოგახსენოთ, მხოლოდ ახლა ჩამოვედი მთიდან... — გაჟეჟა მოხუცმა, — სხვა უბედურებასთან ერთად თვალსაც მაკლია... თუ მიბრძანებ, წავალ, მივიკითხ-მოვიკითხავ და მოგახსენებთ.

— „მიიკითხ-მოიკითხავს!“ აქ იყვნენ, აი, იმ ყორის ძირას. სოფელში რომ შესულიყვნენ, მეც დავინახავდი.

— აკი მოგახსენეთ შორს ვერ ვხედავ, ახლავე გავიგებ, — ჩაურთო მოხუცმა.

მაგრამ სანამ ამის თქმას მოასწრებდა, მხედარი სწორედ იმ გზაზე მიაჭენებდა ცხენს, რომელსაც ახალგაზრდები დაადგნენ.

ბავშვები სირბილით მისდევდნენ ახალგაზრდებს. ჩქარა შარაგზა გადაჭრეს და საცალფეხო ბილიკით მთის კალთას გაეკრნენ. ორმოციოდე მეტრი გავლეს თუ არა, ახალგაზრდები გაუჩინარდნენ. შეშინებულმა ბავშვებმა ესღა გაიგონეს:

— ჩამოდით, ჩამოდით!

მათ საგანგებოდ მოწყობილ გამოქვაბულში ეპატიჟებოდნენ.

ის ღამე გულისკანკალით გაათენეს. როგორც კი შესასვლელის ჭუჭრუტანაში დღის სინათლემ შემოანათა, ერთ-ერთმა გამყოლმა კარისმაგვარი სარქველი ასწია, მაგრამ მაშინვე გაასწორა. ეს გამოქვაბული იმ მოხუცს მოემზადებინა ადრე, მაშინ როცა გერმანიის მიერ შემოგზავნილი ობერდორფერი და ბრანდტი ყიშლაყის რაიონში ხალხს ავიწროებდნენ. მაშინ მოხუცს მეზობლები დასცინოდნენ — თავშესაფარი გააკეთა, აღარაფერი გვეჭირსო. ეს ამბავი დავიწყებას მიეცა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სოფლებსა და ქალაქებში ბავშვების შეგროვება დაიწყეს, მოხუცი იქ თავის შვილიშვილებს მალავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ წავიდეთ მაჰმუდ? — წამოიძახა ვიღაცამ გამოქვაბულში.

— არა, წასვლა არ შეიძლება. ის მაწახწალა ისევ გზაზე იქნებოდეს ჩასაფრებული.

— როდემდის უნდა ვიცადოთ? — მოუსვენრობდა ის, რომელმაც პირველად გაბედა ხმის ამოღება.

— შუადღემდე მაინც, — მიუგო მაჰმუდმა.

— ჩვენი ხალხიც იტყვის, ვცხოვრობთო. — წამოიძახა მოსაუბრემ.

— მართალი ხართ, მეგობარო, ჩვენი ცხოვრება მძიმეა, — უპასუხა მაჰმუდმა, — მაგრამ გული არ უნდა გავიტეხოთ. ჩვენი დროც დადგება და მაშინ მამის სისხლს ავიღებ. — აღელვებით წარმოთქვა მაჰმუდმა.

— მამა მოგიკლეს?

— დიახ, თავრიზიდან ჩამოსულმა გერმანელმა ყაჩაღმა სამი წლის წინათ მომიკლა მამა!

მოსაუბრემ მაჰმუდს თავისი გამხდარი ხელები მკლავში ჩასჭიდა და უთხრა:

— მამაჩემიც იმათ მოჰკლეს, მეც იმათი სისხლი მწყურია. რაკი ერთი ბედისანი აღმოვჩნდით, შეიძლება ჩემი ვინაობაც გაგაცნოთ. მე და ჩემი ამხანაგები თქვენს მეზობლად ვცხოვრობდით ყიშლაყში.

— თქვენ რა გქვიათ?

— მე აბასკული, ჩემს ამხანაგებს კი ალი და გიულნარა.

— აბასკულ, არ დაივიწყოთ ეს გამოქვაბული, იცოდე დღეიდან ჩვენ მეგობრები ვართ, მამის სისხლი უნდა ავიღოთ.

მაჰმუდმა გამოქვაბულიდან თავი გამოჰყო, ამოვიდა, გაიხედ-გამოიხედა და ამხანაგებს ჩასძახა:

— ამოდით, ჩაფარი სხვა სოფელში წავიდა! — ხმამაღლა გაბედულად თქვა მაჰმუდმა. ის აბასკულს დააკვირდა, მერე მიუახლოვდა ძვალტყავად ქცეულ მეგობარს. მაჰმუდმა ათრთოლებული ხმით მიმართა მას:

— ეს რა მოგსვლია მეგობარო? როგორ დასუსტებულხარ.

— ავად ვარ.

— ავადა ხარ? — სინანულით გაიმეორა მაჰმუდმა, — წავიდეთ ჩვენთან, ცოტა პური ჭამეთ და შემდეგ შეგიძლიათ წახვიდეთ!

ახლად გაცნობილნი თავქვე მიაბიჯებდნენ. მათ შორის ყველაზე უფრო გამხდარი მართლაც აბასკული იყო. ჯერ კიდევ შარშან ის ძალიან ჯანმრთელად გამოიყურებოდა, მაგრამ ჯერ მატყლის ქარხანაში და შემდეგ ხალიჩის სახელოსნოში მუშაობამ გასტეხა, დაასნეულა.

მოხუცი ქალი შვილიშვილებს მიეგება, სტუმრებიც კარგად მიიღო. ისადილეს თუ არა, აბასკულს ფერი მოუვიდა.

— პირობას არ გადახვიდე, აბასკულ, — მიმართა გაცილებისას მაჰმუდმა, — შურისძიება გახსოვდეს.

— იმედი გქონდეთ, ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით, — გაისმა აბასკულის პასუხი.

— გელოდებით, მაჰმუდ, ჩვენთან გელოდებით! — ხმამაღლა გასძახოდა უკვე შორს წასული ალი.

* * *

მაჰმუდი სახლში დიდხანს აღარ დაბრუნებულა. ის შურით აენთო და უგზო-უკვლოდ გადაიკარგა, ხოლო როცა დაბრუნდა, სახლში საზარელი ამბავი დახვდა. ბებიას თმა გაეწეწა და გულმოსაკლავად მოსთქვამდა. ბაბუაშენი მოჰკლესო, უთხრა მეზობლის ქალმა.

— ვინ მოჰკლა ბაბუა?

— ჩაფარმა. ხმა დააგდეს, გერმანელების წინააღმდეგ მუშაობდაო.

— ოოჰ, ბაბუა, — ამოიკვნესა მაჰმუდმა, მერე ძმას მიუბრუნდა, — გესმის, ძმიკო, ბაბუა აღარ გვყავს! მამა მოგვიკლეს, დედა მას გადაჰყვა!

ძმები ერთმანეთს შესცქეროდნენ, თვალებში მოწოლილ ცრემლებს ძლივს იკავებდნენ. ბებია ტიროდა, მეზობლის ქალი კი მას ანუგეშებდა. მაჰმუდს ქაღალდი აეღო და ზედ ხაზებს ავლებდა. ქაღალდზე ფანქარ-წყალის მოძრაობას ძმა თვალს არ აშორებდა. მაჰმუდმა ძმასაც ასწავლა წერა-კითხვა და სწორედ ახლა გამოადგა იგი. ფანქარი შეაჩერა და ქაღალდი ნაკუწებად აქცია.

— გასაგებია? — მიმართა ძმას. — მაშ ასე, მე ამაღამვე წავალ, შენ კი აქ იყავი, ბებიას არ მოშორდე.

— კარგი, მაჰმუდ, გამარჯვებას გისურვებ.

* * *

სოფელში ხმა დაირხა — მოხუცის შვილიშვილი სახლიდან გაიქცა. არ იცი-ან, სად არისო. ბევრს ცდილობდნენ გაეგოთ მაჰმუდის ამბავი, მაგრამ ამაოდ. მაჰმუდის ძმას კარგად ახსოვდა ბაბუას სიტყვები: „შუაზე რომ ცხვირი არ იყოს, თვალები ერთიმეორეს დასჭამდნენო“. ის ენდობოდა მეზობლებს, მაგ-რამ ყველას ერთნაირად უპასუხებდა: არ ვიცი სად წავიდა, ძმა დავკარგე, თავს მოვიკლავ, თუ რამე მოუვიდაო.

* * *

გადიოდა დრო. დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, მაგრამ მაჰმუდისა არა ისმოდა-რა. ჩაფარი კვლავ თარეშობდა სოფლად. დაავიწყდა კიდევაც, მოხუცი რომ მოჰკლა. მისთვის ეს პირველი ხომ არ იყო... ამიტომ შეიყვარეს იგი გერმანელთა ლაქიებმა ირანში.

— მაჰმუდი შინ არის? — დაიძახა უცნობმა გოგონამ და ეზოში შევიდა. ძაღლმა ერთი შეუყეფა, შემდეგ კი, თითქოს მოსული იცნოო, კუდის ქიცინი დაიწყო.

— მობრძანდით, — გამოეპასუხა ყმაწვილი და სტუმარი სახლში შეიპა-ტიჟა. აქ ათიოდე მეზობლის ქალი ფუსფუსებდა.

— რა მოხდა? — იკითხა უცნობმა ბავშვმა.

— ბებიაჩემი გარდაიცვალა, — თქვა ყმაწვილმა და ცრემლები გადმოსცვივდა.

— საბრალო, უკანასკნელი იმედიც წაგერთვათ, არა? მაგრამ გულს ნუ გაიტეხ, ძამიკო.

ყმაწვილმა თითქოს იცნო გოგონა, მაგრამ ჯერ კიდევ ცდილობდა აღედგინა მეხსიერებაში მისი სახე.

— აჰ, — წამოიძახა ყმაწვილმა. — თქვენ გიულნარა არა ხართ?

— ჰო, გიულნარა ვარ, ალის და.

— ალი როგორ არის?

— გმადლობ, კარგად არის.

— მაჰმუდისა ხომ არაფერი იცით?

— არაფერი, რა უნდა გამეგო? — გაიკვირვა გიულნარამ და ყმაწვილს თვალით ანიშნა შეეწყვიტა ამაზე ლაპარაკი.

მოხუცის დასაკრძალავად თხუთმეტიოდე მამაკაცი შეგროვდა. სასაფლაოც შორს არ იყო. ხალხმა თავისი მოვალეობა მოიხადა და თავთავიანთ სახლში დაბრუნდა. ახლო მეზობელი ქალები თან წამოჰყვნენ ბავშვს. იქვე იყო სტუ-მარი. შარაგზაზე ჩაფარი მოჰქროდა თავისი ბედაურით. მან ბავშვებს თვალი მოავლო და დაინახა კიდევაც, რომელ ეზოში შევიდნენ.

ჩაფარს დღეს ახალი ბრძანება მიეღო: „ხალიჩის სახელოსნოს მუშახელი აკლია, განსაკუთრებით ახალგაზრდებია საჭირო, ძაფის მიმწოდებელი ბავშვე-ბი რაც შეიძლება მეტი შეაგროვეთ და გამოგზავნეთო“.

ჩაფარმა თავისთვის ჩაილაპარაკა: „არის ორი!“

მეზობლის ქალებმა ბავშვი დააიმედეს:

— არ შეგეშინდეთ. ყოველდღე გინახულებთ, დაგეხმარებით.

— თქვენ, ალბათ, წახვალთ, შვილო? — მიმართა გიულნარას ერთ-ერთმა მეზობელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, მე ჩქარა წავალ!

მეზობლები თავიანთ სახლებში წავიდნენ. გიულნარამ აცნობა ემჰუდს ამბავი, რაც საჭირო იყო, და შეეკითხა:

— თქვენ რა გქვიათ?

— მე მამედს ეძახიან.

— მამედ, მე ახლა წავალ. მართალია, ღამე მომიხდება სიარული, მაგრამ გზაში ალი შემხვდება. თქვენ ჩემზე არ იფიქროთ.

— ახლა წასვლა საშიშია, ამაღამ აქ დარჩი, კარგად მოგასვენებ. დილით წადი.

— არა, შენ თვითონ იცი, მეტი დაცდა არ შეიძლება, ხომ გაგაცანი ჩვენი ამაღამდელი გეგმა?

— მაშ კარგი! გაგაცილებ მაინც.

— ეს კი შეიძლება, — უპასუხა გიულნარამ. მაჰმუდი და გიულნარა ეზოს გაშორდნენ, შარაგზიდანაც ჩქარა გადაუხვიეს.

— ასე გავიდეთ, გზას შევიმოკლებთ. — მიმართა მამედმა გიულნარას და მკლავში ხელი ჩასჭიდა. კარგად რომ ჩამობნელდა, საცალფეხო გზა უკვე გავლილი ჰქონდათ. უცბათ მანქანის გრიალი მოესმათ. მამედი მობრუნდა, გიულნარაც. მათ დაინახეს, რომ მამედის სახლის წინ მანქანა იდგა. ფარნის შუქზე ადვილად ხედავდნენ ჩაფარს: იგი სახლსა და მანქანას შუა ტრიალებდა. ორივე ბავშვი შიშისაგან თრთოდა. სინათლეზე მეზობლებიც გამოჩნდნენ. ხელებს იქნევდნენ. მათ დაინახეს, თუ როგორ მოახტა ჩაფარი თავის ბედაურს და შარაგზით დაეშვა. მამედმა გიულნარას მკლავში ხელი მაგრად მოუჭირა და დაბალი ხმით, თითქოს ეშინია არავინ გაიგონოსო, წარმოთქვა:

— რა კარგად მოვიქეცით, რომ ამ გზით წამოვედით, თორემ ხომ გვიპოვიდა და თავრიზისაკენ გაგვაქროლებდა? ვეღარაფერი ვერ გვიშველიდა.

— მართალს ამბობ, მამედ, მაგრამ ამ გზით არ წამოვა თუ იცი?

— არა მგონია. მან ხომ არ იცის, სადა ვართ? წინაც წასვლა საშიშია. იქნებ სწორედ გზაზე გადასვლისას შეგვეჩეხოს.

— მაშ რა ვქნათ?

— გამოქვაბულში წავიდეთ, — ურჩია მამედმა.

3.

შუაღამის თორმეტი საათი იყო. ზარის ხმამ პოლკოვნიკი გამოაღვიძა. იგი ზეზე წამოდგა და რადიომიმღებს მიუახლოვდა. გამაფრთხილებელმა ხმამ აცნობა პოლკოვნიკს, მოსასმენად მომზადებულიყო. მან ფანქარი და ქაღალდი მოიმარჯვა. აპარატში რაღაც ახმაურდა. პოლკოვნიკს გამოტა ეძახდა. მან ტანსაცმელი გაისწორა, წამოზრდილ ღიპზე ქამარი მაგრად მოიჭირა და, თითქოს უფროსს პირდაპირ უნდა შეხვდესო, ტანსაცმელი წესრიგზე მოიყვანა. ოთახში რადიო ალაპარაკდა. პოლკოვნიკმა გაიგო და მოისმინა ყველაფერი, დაწერით კი არაფერი დაუწერია. მანქანა გამოიძახა. ავტოს ხმაური რომ გაიგონა, ეზოში გავიდა და კაბინაში ჩაჯდა. გადაჭრა თუ არა ქუჩა მანქანამ, შოფერი სმენად იქცა. უფროსს თვალებში მიაშტერდა, პოლკოვნიკის უშნო და სქელ ტუჩებს კი მხოლოდ ორი სიტყვა მოწყდა:

— გამოტასთან წამიყვანე.

ეს იყო და ეს. შოფერს პოლკოვნიკისაგან სხვა სიტყვა აღარ სმენია...

მეორე დღეს გვიან გამოეღვიძა პოლკოვნიკს და ხალიჩების სახელოსნოს მეპატრონეები ვებერბაუერის სატრანსპორტო კანტორის შენობაში გამოიძახა. დავალების პროექტს ადგენდა: „15X9, ზუსტია, არც მეტი და არც ნაკლები“. ზარს ხელი შეახო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შემოუშვით თათბირის მონაწილენი! — მიმართა მან მდივანს.

შემოსულები წელში იხრებოდნენ, პოლკოვნიკს ესალმებოდნენ. ის უნძრევლად იდგა. როცა დარწმუნდა, ყველა მოსულაო, გაიარ-გამოიარა, პარსული თავი გააქნია, წარბები შეიკრა, შუბლი დაინაოჭა და ხალიჩის სახელოსნოების მეპატრონეთ მიმართა:

— ცუდად მუშაობთ, ხალიჩა, რომელიც ჰიტლერისათვის მოქსოვეთ, ფიურერმა არ მოიწონა, — იგი ულამაზო და მეტად პატარა აღმოჩნდა. საჭიროა თხუთმეტი ცხრაზე, გესმით?!

მეპატრონეებმა შმიდტს ცერად გახედეს, პოლკოვნიკმა მათ სახეზე უკმაყოფილება ამოიკითხა და გაუმეორა:

— თხუთმეტი ცხრაზე, ერთი სანტიმეტრიც არ დააკლდეს...

— 15X9, ესე იგი ასოცდათხუთმეტი კვადრატული მეტრი ხალიჩა არა?— შეეკითხა ჰასანი.

— ასოცდათხუთმეტი. — დაადასტურა პოლკოვნიკმა. — ჩემი განკარგულება ზუსტად შესრულდეს. ასეთი ხალიჩა უნდა მოქსოვოთ, ხომ გესმით? ვადა განსაზღვრულია. აგვისტოს ბოლოს ამ ხალიჩამ უნდა დაამშვენოს ფიურერის ბინის კედელი. ახლავე გაინაწილეთ სამუშაო. ხალიჩა უნდა მოქსოვოთ ჰასანას სახელოსნოში, იქ, სადაც ამჟამად მატყლის დართვა წარმოებს. ვფიქრობ, ფართობი საკმაო იქნება.

— დიახ, ბატონო! მართალსა ბრძანებთ. ჩვენი სახელოსნო სრულებით საკმაოა დავალების შესასრულებლად, — მლიქვნელურად მიუგო პოლკოვნიკს ჰასანმა.

სიტყვა ისევ შმიდტმა განაგრძო:

— პირველი ნაქსოვი უნდა იყოს სპეციალურად დამზადებული სელის ძაფისაგან, რაც მთავარია, მასზე გამოსახულ უნდა იქნას ჰიტლერის პორტრეტი, გასაგებია? — მკაცრად იკითხა პოლკოვნიკმა.

— გასაგებია! — უპასუხა კვლავ ჰასანმა.

— პორტრეტის შემსრულებელი ოსტატების მოწვევას, შალისა და აბრეშუმის ძაფის საჭირო ფერებში მომზადებას შენ გავალებ, ჰასან! — განაგრძობდა პოლკოვნიკი.

— გმადლობთ ნდობისათვის, — უპასუხა ჰასანმა და წელში მოიხარა.

— სამუშაოს დამთავრებამდე ყველა სხვა სახელოსნო თქვენს განკარგულებაში იქნება. ხვალვე გაანაწილეთ სამუშაო, გაადიდეთ სამუშაო დღე, გაიანგარიშეთ სამუშაოს მოცულობა ექვსი თვის მანძილზე. წამოაყენე შენი წინადადება, რამდენი მცირეწლოვანი და მოზრდილი მუშის დამატება იქნება საჭირო. სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ ყოველდღე თორმეტ საათზე მომახსენე. ეცადეთ, დაიმსახუროთ ფიურერის ნდობა. ჩვენს საჩუქარზე უნდა ალაპარაკდეს მთელი მსოფლიო, — დაამთავრა შმიდტმა.

ფაბრიკების მეპატრონენი, კაბინეტიდან გავიდნენ თუ არა, მაშინვე ალაპარაკდნენ: „ამხელა საქმის შესრულება რატომ იკისრეო“, უსაყვედურებდნენ ჰასანს.

* * *

საჭირო იყო უამრავი მუშახელი. საშუალოდ დღეში სახელოსნოებს დამატებით უნდა მიეღოთ თხუთმეტი მცირეწლოვანი და მოზრდილი მუშა. წარსულის მაგალითით იცოდნენ, რომ დღეში ხუთი-ექვსი კაცის ჯანმრთელობას შეეწირავდა ხალიჩა. დაიწყო ბავშვების შეგროვება. მარტიდან სექტემბრამდე საჭირო იყო სამი ათას რვაასი ბავშვისა და ცხრაასი მოზრდილი მუშის შეგროვება.

გამალებით მიმდინარეობდა ჰასანის სახელოსნოს რეკონსტრუქცია, ცემენტის იატაკს ღრმად ხვრეტდნენ, საყრდენებს ამაგრებდნენ, ჭერს ბურღავდნენ, სკამებს ამაგრებდნენ და სამუშაოს დასაჩქარებლად საჭირო პირობებს ქმნიდნენ.

ჰასანი ღელავდა. წუთსაც არ აცდენდა. ერთი თვის განმავლობაში ასოც-

დათხუთმეტი კვადრატული მეტრი ქსოვილი დაამზადეს. ვარაუდით, გაფვალისწინებული ბავშვების რაოდენობა საკმაო არ იყო. ბავშვები [illegible] ავად ხდებოდნენ, მძიმე შრომამ ბევრი მათგანი გამოასალმა წუთისოფელს.

— ჰასან, შენ არ ზრუნავ მუშებზე, ძალიან ბევრი კვდება, — უსაყვედურა ერთხელ შმიდტმა სახელოსნოს მეპატრონეს.

ჰასანმა თვალებში შეხედა შმიდტს და უთხრა:

— ყველაფერს გავაკეთებ, ბატონო! — და სასწრაფოდ გაემართა სახელოსნოსაკენ. ჰუსეინი მოიკითხა. არ დახვდა. მის შემცვლელს დაუძახა.

— რას მიბრძანებ, ჰასან ეფენდი!

— სად არის ჰუსეინი? — შეეკითხა მწყრალად.

— წავიდა, ისვენებს, შეუძლოდ იყო.

— რა მოუვიდა?

— პირიდან სისხლი წასკდა.

ჰასანმა ხელი ჩაიქნია, სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა, მერე გვერდით ოთახი გააღო, ჯიბის ფანრით გაანათა იგი და ავადმყოფი მუშები გადაითვალა. წარბები შეიჭმუხნა, დაბლა ჩამოშვებული გრძელი ულვაშები ხელით გაისწორა. ხელოსანს თითით ანიშნა, გაჰყოლოდა მას. კარები რომ მიიხურა, მტვერი გადმოაფურთხა და ჰკითხა:

— სხვა სახელოსნოებიდან ბევრი ავადმყოფი მუშა მოჰყავთ?

— რა მოგახსენოთ, მე ვერა ვხედავ, ეზოს მეორე კარებიდან შემოჰყავთ ამ ოთახში.

— ვის შეუძლია ამის შესახებ ცნობა მომცეს?

— მორიგე სანიტარს.

— დაუძახეთ.

მარტოდ დარჩენილმა ჰასანმა კბილები დააკრაჭუნა. ეეჭვებოდა ხალიჩის დროულად დამთავრება და, თითქოს იმედის ყველა ძაფი ერთად ჩაუწყდაო, მოშვებული იდგა.

— გისმენთ, ეფენდი! — წარმოთქვა სანიტარმა, რომელსაც შეეერცხლილი წვერ-ულვაში გამხდარ სახეს უფრო უფერმკრთალებდა.

— ბევრი მუშა ხდება ავად სხვა სახელოსნოებში?

— ჩემს დროს მხოლოდ ორი მოიყვანეს. მე კი ერთი საათია, რაც შევცვალე ამხანაგი.

— წადი! — უკმაყოფილოდ უთხრა ჰასანმა. ახლა მიხვდა, რომ ამის გაგება უსანიტროდაც შეიძლებოდა.

— რამდენი მუშა გახდა ავად დღეს? — შეეკითხა ის ხელოსნის შემცვლელს.

— ხუთი!

ჰასანი გააფთრებით გამოვარდა სახელოსნოდან.

4.

მაჰმუდის ეზოში ვიღაც შევიდა და კარზე ფრთხილად დააკაკუნა. ხმა არავინ გასცა. უცნობმა ცოტა ხანს ეზოში გაიარ-გამოიარა. ეტყობოდა ღელავდა. ისევ დააკაკუნა. შემდეგ გამოაღო იგი. ოთახში ბნელოდა, ჯერ არ გათენებულიყო. გულდასმით დაათვალიერა იქაურობა. დარწმუნდა, რომ სახლი უპატრონოდ იყო მიტოვებული. გამოვიდა, კარი მიხურა. შარაგზაზე გავიდა და ორივე მხარეს მიმოიხედა, გზა განაგრძო... უცნობს ძაღლი აედევნა. თითქოს იცნოო, წკმუტუნით უკანა ფეხებზე შედგა და თათები მკლავებზე დაუწყო. უცნობი უკან დაბრუნდა. ძაღლი ეზოში ჩახტა. ის ადამიანს ისე უცქერდა, თითქოს ეპატიჟებოდა. სტუმარმა კვლავ გზას გაჰხედა. ძაღლი მაშინვე დაედევნა. უცნობი გამოქვაბულთან მივიდა, კიბეს ჩაჰყვა. გიულნარა და მამედი შიშმა შეიპყრო. ისინი უკანა კედლებს გაეკრნენ. ხმას არ იღებდნენ. ზემოდან ჩამოსულს გამოქვაბული უფრო ბნელი ეჩვენებოდა, ვერავის ხედავდა. ბოლოს ჩაილაპარაკა:

— „სად უნდა წასულიყო?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქვაბულიდან ხმა მოესმა:

— ალი!

— გიულნარა!

— ალი! — წამოიძახა მამედმაც.

— აქა ხართ, მარტონი ხართ?

— აქა ვართ ჩვენ ორნი. — გიულნარა ძმას მოეხვია. ყველაფერი უამბეს, თუ რამ მოიყვანა ისინი ამ გამოქვაბულში.

— წავიდეთ, სანამ ადრეა, თორემ ჩაფარი თავისას არ დაიშლის. თუ ხელში ჩაგვიგდო, თავრიზამდე უკან არ მოგვახედებს, — თქვა ალიმ.

ბავშვები ამოვიდნენ. ალიმ გამოქვაბულს სახურავი გაუსწორა, რომ ვერავის ვერაფერი შეემჩნია და სულ მალე საცალფეხო გზაზე გავიდნენ, აჩქარებული ნაბიჯით ჩაირბინეს დაბლობი და ყიშლაყისაკენ გაეშურნენ. დილის ათ საათზე ძმა ძმას ეხვეოდა. მაჰმუდი შეწუხდა, ბებიის სიკვდილის გამო ბევრი იტირა. აბასკულს ხელი გაუწოდა.

— მე და შენ აღარავინ გვყავს. დადგა დრო განზრახულის შესასრულებლად.

მამედი მაჰმუდს თვალს არ აშორებდა, წამოფერდებულ ღობეს ხელი შეახო და წამოიძახა:

— მაჰმუდ, შეიარაღდი?

— მზადა ვარ, ძამიკო. გიულნარა, შენ ხომ არ შეგეშინდება?

— არა.

— ალი, აბასკულ, შური ვიძიოთ.

— ვიძიოთ!

— ჩაფარს მე და აბასკული მოვკლავთ, შემდეგ თავრიზს გავემგზავროთ და შმიდტს გავუსწორდეთ.

— თანახმა ვართ, მაჰმუდ, ოღონდ ახლა დავიძინოთ. დილით კიდევ მოვილაპარაკოთ.

გათენებას არაფერი უკლდა, რომ რევოლვერის რამდენჯერმე გასროლის ხმამ მეგობრები გამოაღვიძა. მიმოიხედეს, — მაჰმუდი და აბასკული მათთან აღარ იყვნენ. მათ თურმე ჩაფარი მოეკლათ. მაჰმუდი განსაკუთრებით კმაყოფილი იყო, ბაბუას სისხლი ასე ჩქარა რომ აიღო.

— ბაბუა დამარხეს მაინც, ის კი დაე მხეცმა შეჭამოს. ფრთხილად იყვნენ სხვებიც. ავკაცობა არავის შერჩება! ნუ ართმევ კაცს იმას, რაც შენ არ მიგიცია! — ამბობდა მაჰმუდი.

5.

დღის თორმეტ საათზე პოლკოვნიკმა ზარს ხელი დააჭირა და მდივანს მატყლის ფაბრიკის მეპატრონე ჯორაფჩის გამოძახება დაავალა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მდივანმა კაბინეტის კარი მოკრძალებით შეაღო და შმიდტს მოახსენა:

— ჯორაფჩი გელოდებათ.

— დაიცადოს! — მოკლედ მოუჭრა მან.

პოლკოვნიკი კაბინეტში ბოლთას სცემდა. მისადგმელ მაგიდას სკამი მოაშორა, დაჯდა. მეტი სიმძიმისაგან სკამი აჭრიალდა. მაშინვე წამოდგა. დღეს პოლკოვნიკი განსაკუთრებით კარგ ხასიათზე იყო, უხაროდა, რომ არაჩვეულებრივი ხალიჩა უკვე მოქსოვილი იყო და ფიურერის პორტრეტზე უკანასკნელი სამუშაოღა სრულდებოდა. მან კმაყოფილებით გაიღიმა, კედლის სარკეში ჩაიხედა და თავის თავს გაესაუბრა:

— არ გშვენის სიცილი, კბილები გაუშნოებს. მთელი თავრიზი შენ შემოგცქერის, თავი დინჯად დაიჭირე! — მაშინვე წარბები შეჭკრა, ზარზე ხელი აათამაშა.

— შემოვიდეს ჯორაფჩი.

— ბატონ შმიდტს ვახლავარ! — წარმოთქვა მატყლის ფაბრიკის მეპატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონემ და წელში რამდენჯერმე მოიხარა.

— ერთი კვირის შემდეგ მუსლიმანთა დღესასწაულია. სწორედ ამ დროს თავრიზში ხომ იცი რა უნდა მოხდეს? სომხებს ჭკუა უნდა ვასწავლოთ, უნდა გავწყვიტოთ, გესმის?

— მესმის, ბატონო.

— ამ საქმეს შენ გავალებ, მაგრამ მანამდე თავრიზში დიდი შეკრება უნდა მოეწყოს, გაიგე თუ არა? — შეეკითხა ჯორაფჩის და საპასუხო სიტყვა არ ათქმევინა. — ეს უნდა მოხდეს ოცდახუთ აგვისტოს საღამოს. ესეც შენ გევალება. ახლა წადი და საქმეს შეუდექი, დაიხმარე ყველა. ეს ჩემი ბრძანებაა!— ასე განუმარტე მათ.

— მესმის, ბატონო, — ოცდახუთ აგვისტოს საღამოთი ხალხის შეკრება და ოცდაცხრა აგვისტოს სომხების ხოცვა-ჟლეტა უნდა მოვაწყოთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი მარად მონა-მორჩილი ჯორაფჩი მზადაა თქვენს სურვილებს საკუთარი სიცოცხლე შესწიროს! — გაიმეორა მან და თავი დახარა. კაბინეტიდან რომ გამოვიდა, თავზე ქუდი ჩამოიფხატა და კანტორისაკენ გასწია. ქუჩის მოსახვევში სამი ახალგაზრდა ყმაწვილი შეეჩეხა. ერთი იმათგანი შეეკითხა:

— ვერ მიმასწავლი შმიდტის სამუშაო ადგილს?

— შენ ვინა ხარ?

— აქაური მკვიდრი, ირანელი! — უპასუხა უცნობმა.

— ამ ქუჩით წადი, მარჯვნივ პირველ მოსახვევში განცალკევებული დიდი სახლის პირველ სართულს აწერია: „ვებერბაუერის სატრანსპორტო კანტორა“, ეზოდან მოუარე.

— გმადლობთ!

ყმაწვილთაგან ერთი ნაჩვენები გზით წავიდა. ორმა ხალიჩის სახელოსნოსაკენ გასწია.

— ვიღაც ბავშვი მოვიდა, თქვენს ნახვას ითხოვს! — მოახსენა მდივანმა შმიდტს.

— ბავშვი?

— დიახ, ბავშვი!

— გადაეცი ახლავე დაიკარგოს აქედან, თორემ ხალიჩის სახელოსნო არ ასცდება!

მდივანმა ბავშვს გადასცა შმიდტის სიტყვები.

ბავშვს წარბიც არ შეუხრია.

— უთხარით, უფრთხილდეს მაჰმუდს. მე მოვსულვარ მამის სისხლის ასაღებად, მე შურისძიებისათვის მოვედი.

მდივანი გაკვირვებით შესცქეროდა ჭაბუკს.

— შენ თავი ხომ არ მოგძულებია?

— განა მარტო მე? ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ყველა ირანელი გერმანიის დაზვერვის ჯაშუშ-დივერსანტების უღელში გმინავს.

* * *

ხალიჩის ქსოვა აჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა.

ჰასანი არ შორდებოდა სახელოსნოს. ჰუსეინი მხატვართან ერთად ზემოდან დასცქეროდა ხალიჩას. იმ ვეებერთელა პორტრეტზე თვალების ამოსახვას ამთავრებდნენ. დროგამოშვებით ჰასანიც უმშვენებდა გვერდს ჰუსეინს.

— კაცის თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავს, დიდი შრომა და მსხვერპლი მოითხოვა, მაგრამ, სამაგიეროდ, მსოფლიო ალპარაკდება ჩვენს ხელოვნებაზე! — ამბობდა ჰასანი და თვალებში შესციცინებდა შმიდტს.

პოლკოვნიკს ახარებდა ხალიჩის გამშვენიერება, იღიმებოდა ფიურერის ნახვის სურვილით.

ღამის ორ საათზე გამოვიდნენ პირველი ცვლის მუშები და ეზოში განაწილდნენ. ალაყაფის კარებთან მწოლარე ახალგაზრდებს არ ეძინებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ იმჟამად წყდებოდა საკითხი. მათ სულ ორი რევოლვერი ჰქონდათ ექვსი ვაზნით, მაგრამ ისე კარგად დამალული, რომ ჩამოხეულ შარვლებში ლათში ვერავინ შეამჩნევდა.

— აბასკულ, პირველად მე ვესვრი, შენ კი, თუ საჭირო იქნება, შემდეგ ესროლე.

— არა, მაჰმუდ, პირველად მე უნდა ვესროლო. — გამოეკამათა აბასკული. გიულნარა მათ მიუახლოვდა და უთხრა:

— ეგ საქმე მე მომანდეთ. როცა განიშნებთ, ერთსა და იმავე დროს ესროლეთ სახელოსნოს მეპატრონესაც და პოლკოვნიკსაც.

— აგრე იყოს! — წამოიძახა მაჰმუდმა.

* * *

მცველები გალავანს ირგვლივ უვლიდნენ და ღიღინებდნენ. კარგა ხნის გათენებული იყო, როცა ეზოში ხმაური ატყდა. თორმეტ საათამდე ეს ცვლა არ უნდა გასულიყო. მაგრამ უჩვეულო რაღაც ხდებოდა. თავისი სურვილით მოსულებს ეძახდნენ. ამხანაგები ერთმანეთს თვალებში შესცქეროდნენ.

— აბა, აბასკულ, უშიშრად მომყევი.

ექვსი ბავშვი სახელოსნოში გაატარეს, ქუჩაში გაიყვანეს და სახელოსნოს მეპატრონის კანტორის ოთახში ჰასანს მიჰგვარეს. ჰასანმა ისინი გულდასმით დაათვალიერა, მერე გიულნარას მიუახლოვდა და ჰკითხა:

— შენი სურვილით მოხველ?

— დიახ!

— მოგწონს ჩვენთან მუშაობა?

— ძალიან. ჩემი თხოვნაა ფიურერის ხალიჩის დამთავრების შემდეგაც დამტოვოთ სამუშაოდ.

— შენ რას იტყვი? — მიუბრუნდა მაჰმუდს და თვალებში ისე ჩააცქერდა, თითქოს უნდა გამოტეხოსო.

— მე ერთი უთვისტომო ირანელი ვარ, მიყვარს ჩემი ქვეყანა, მინდა ხალხს ვემსახურო და ისეთი რამე მოვიმოქმედო, რომ სახელი დამრჩეს. — ამ სიტყვებზე ჰასანს გაეცინა და აბასკულს მხარზე ხელი დაადო. აბასკული განზე გახტა.

— შენ რაღაც ისე ხტუნავ, არ გსურს დარჩენა, არა?

— როგორ გეკადრებათ, მე თქვენ უტყვიოდ არ მოგშორდებით.

— უტყვიოდ? — თვალები გადმოკარკლა ჰასანმა. — რა თქვი?

— მართალს მოგახსენებთ, მე ამას დაგიმტკიცებთ. — და აბასკულმა გიულნარას შეხედა, გიულნარამ თვალით ანიშნა: „ჭკუით, აბასკულ, თავი არ გამოამჟღავნო, საფრთხეში არ ჩაგვყარო“.

ჰასანმა აბასკულის სიტყვები ერთგულების დადასტურებად მიიღო, გაიარ-გამოიარა, დანარჩენი სამისათვის არაფერი უთქვამს და მცველს უბრძანა:

— წაიყვანე უკან.

მეგობრები იმედიანი სიტყვებით მიმართავდნენ ერთმანეთს. ახლოვდებოდა შურისგების დრო. ისე აჩქარებულად უცემდათ გული, თითქოს ეს-ესაა ბუდიდან ამოუვარდებათო.

* * *

დღის თორმეტ საათზე სამუშაოდ შესულნი ოფლში იწურებოდნენ. ოთახში უამრავი ელნათურა ენთო. შუადღე იქნებოდა, რომ კარებში შმიდტი შემოიმართა, მხედრული ნაბიჯით წამოვიდა წინ, ხალიჩისაკენ. ორგვლივ შემოუარა. ჰასანთან ერთად სპეციალურად მოწყობილ კიბის საფეხურს აჰყვა. შემდეგ ჭერიდან ჩამოშვებულ საჯდომებს ფეხით შეეხო და შუა ადგილს იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკამზე გადაინაცვლა, რომლიდანაც მუშა ეს-ესაა წაქცეულიყო და ბნელ ოთახში შეეგდოთ. იგი ზემოდან დაჰყურებდა ფიურერის სურათს და მის გვერდით გადმომჯდარ ჰასანს ეუბნებოდა:

— თითქმის დაუმთავრებიათ, წარბებიღა დარჩა.

— დიახ, მართალს ბრძანებთ, ჰერ! — ეუბნებოდა სახელოსნოს მეპატრონე და შიგ სახეში ჩასცქეროდა ჯერ პოლკოვნიკს, შემდეგ ფიურერს.

გიულნარა ღელავდა. მაჰმუდი და აბასკული ნიშანს ელოდნენ. გიულნარამ მათ წუთით თვალები გაუსწორა და ფიურერის სურათისკენ გადახრილი პოლკოვნიკი და ჰასანი ტყვიით განგმირულნი ხალიჩაზე დაეცნენ. პოლკოვნიკის მკერდიდან გადმომდინარე სისხლი ხალიჩას აწითლებდა. აბასკული კი კიბეზე აიჭრა და სულთმობრძავ ჰასანს დასძახოდა:

— აკი გითხარ, უტყვიოდ ვერ მოგშორდები-მეთქი, ხომ ავასრულე?!

ჰუსეინი კანკალებდა. წითელი არმია თავრიზში შედიოდა. ოთახში მუშების ხმა გუგუნებდა:

— სისხლიანი ხალიჩა! — გაიძახოდნენ და ზედ შემდგარნი ფეხით თელავდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჩხარგიშვილი

მთების მოლოდინი

უსაზღვროა მთების მოლოდინი.
ვაჟა.

ხომ აუსრულდათ ყველა სურვილი
მთებს მუდამ მწვანე საბურველიანს.
კიდევ რა დარდი შემორჩათ გულში,
რაღა აწუხებთ,
რაღას ელიან?!
გზებს მოელოდნენ—გზებია ყველგან,
ნათელს ელოდნენ—დადგა ნათელი,—
ასე ვფიქრობდი და ბოლოს თერგმა
გამაგებინა მთის საწადელი:
მითხრა, რომ ნატვრა შემორჩათ გულში
და ამის გამო გული სტკენიათ,—
მთებს მოლოდინი უკვე აუხდათ—
ახლა ვაჟას და ყაზბეგს ელიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუღა რაჯ ანანდი

ხმა დაირეკა

— ძმობილო, რა მანძილი იქნება აქედან ქალაქ ბარივალამდე? — შეეკითხა დანდუ უცნობს, რომელიც გზის ნაპირას პატარა კოხტა ფარდულთან იჯდა. სანამ ფარდულის პატრონი გადაჭდობილ მკლავებში ჩარგულ მთვლემარე თავს ასწევდა, დანდუმ მარჯვენა ხელის დაკოჟრებული თითებით გამავებულ, მზისგან დამწვარ შუბლზე ოფლი მოიწმინდა. თეთრი ულვაშების ქვემოდან საბერველივით ამოიქშინა და თან ცხელი ჰაერი ამოატანა. შემდეგ ერთი დღის წამონაზარდი უხეში თეთრი წვერი მოიქექა.

— მხოლოდ ერთი მილი, — წაიდუდუნა ფარდულის მეპატრონემ.

გეგონებოდათ, ყოველი ადგილიდან ერთი მილიაო. სამი დღის განმავლობაში შეუსვენებლივ მიდიოდა და მანძილი კვლავ დაუსრულებელი ჩანდა.

— მე სოფელ დეორგაჰიდან ვარ... — წამოიწყო დანდუმ მეტად თავაზიანად, ნახევრად მძინარე მეპატრონის გასაგონად. — პროფესიით დურგალი. და ახლა, ძმობილო, ქარხანაში მივდივარ ქალაქ ბარივალში.

დახლიდარმა ვეებერთელა რკინის თეფშზე ქაფი მოხადა შაქარში მოხრაკულ წვრილ თურქულ ცერცვს, რომელსაც ბუზები ეხვია. შემდეგ მგზავრს შეხედა... მაგრამ მოხუც დანდუს კიდევ ჰქონდა ფუთაში შემორჩენილი ცერცვი. წამოსვლისას ცოლმა მოუმზადა საგზლად და მიზანშეწონილად არ მიიჩნია ზედმეტი რამ ეყიდა, სანამ ქარხანაში მოეწყობოდა. დახლს მორცხვად მოაშორა თვალები და გზა განაგრძო.

დაკლაკნილ გზას მზე ალისფრად ავარვარებდა. პატარა ქვები და კენჭები ალესილი პირით დახეთქილ, შიშველ ქუსლებში ესობოდა. დანდუმ თავი დამნაშავედ იგრძნო, დანიშნული ადგილისაკენ რომ არ იჩქარა, სანამ მზე ასე მაღლა ავიდოდა, მაგრამ განთიადისას ძლიერ ციოდა და მისმა მოხუცებულმა, მოღალულმა სხეულმა ძილს თავი ვერ დააღწია.

შემდეგ ეკლესიაში შევიდა სალოცავად, რადგან ეს მეტად მნიშვნელოვანი იყო მისთვის: სამუშაო უნდა ეშოვნა და ღმერთების ლოცვა-კურთხევა სჭირდებოდა. — რამა, რამა, რამა, — წაიდუდუნა ღმერთის სახელი დამთავრებისას, უფრო იმის შიშით, რომ ღვთაებას თავისი მოწყალება უკან არ წაეღო, ვინაიდან ლოცვაში გატარებული დროის დაკარგვაც დაენანა. მტვრით დაფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ გზაზე დანდუ ახალგაზრდული სიმარდით წინ მიიწევდა. თვალი მოავლო ხრიოკ ხეობაში გადაშლილ ხორბლის მინდვრებს გზის ორივე მხარეზე. ... ნაა! მტკავლის სიმაღლე, დაგვალული, სუსტი, წვრილი ღეროები. ძნელად მოიძებნებოდა მარცვლიანი თავთავი.

მზის მწველი სხივები გზაზე ალმაცერად ეშვებოდა. დანდუ ერთხანს ბრმასავით მიაბიჯებდა. მან მხოლოდ რამდენიმე სვავის დანახვა შეძლო, რომლებიც გორაკის ახლოს ვირის ჩონჩხთან შეჯგუფულიყვნენ. მათი მოკაუჭებული ნისკარტები მზის დამაბრმავებელ შუქზე ალმასივით ბრწყინავდნენ. უცბათ მის წინაშე გზის ქვემოთ ქალაქი გადაიშალა: მოჩანდა აგურით ნაშენი მაღალი და დაბალი სახლები, უშნოდ ნაგები ბანიანი თიხის ქოხები და ჩალით დახურული უსწორმასწორო კოტეჯები, ხახვის ბოლქვის მაგვარი მეჩეთის გუმბათები, მთის მწვერვალების მსგავსი კონუსისებრი ტაძრები და ცამდე აზიდული ძლიერ მაღალი კოშკი...

დანდუ აჩქარდა. თითქოს მის ფეხებს აქეზებდა გაძლიერებული მისწრაფება: ქალაქამდე მალე მიეღწია და დასწაფებოდა ყველაფერს, რასაც იქ ნახავდა.

...მოულოდნელად მარჯვნიდან მოისმა ეტლის ჟღარუნი, საყვირების მკვეთრი ხმამაღალი ღრიალი, უფრო ძლიერი, ვიდრე გველების საყვირის ხმა, რომელსაც ასკეტები ღმერთ დურგის აკლდამასთან უკრავდნენ ბილასპურში, ქალღმერთ კალის პატივსაცემად გამართულ ზეიმზე. უკანიდან ისმოდა კაცების შეძახილები და ყვირილი, რასაც თან ერთვოდა ეჟვნების ჟღარუნი და ლერწმის ჯოხების ტყლაშუნი ეტლის თვლებზე.

დანდუმ თვალები მოიჩრდილა. ახლა მიხვდა, რომ პირდაპირ გზაჯვარედინზე გამოსულიყო. იგი მოგაგონებდათ ჯიუტ ხბოს, რომელსაც ბოსტნეულის ფარდულიდან მწვანილის კონა მოეპარა და მადიანად ახრამუნებდა. ცხადად დაინახა, რომ ყოველგვარი არევ-დარევის მიზეზი გახდა. დანდუს ბავშვივით ეღიმებოდა. მეეტლეები, მზიდავები და ქვეითები შეურაცხყოფდნენ, მასხრად იგდებდნენ, დასცინოდნენ, მაგრამ იგი მათ ყურადღებას არ აქცევდა. სიცოცხლეს მოწყურებულმა ანაზდად ისე სწრაფად გადადგა ნაბიჯი, რომ თვითონაც გაუკვირდა. იგი ხალხით გაჭედილ ადგილს მიუახლოვდა. აქ თავი მოეყარათ აყლაყუდა სოფლელებს, რომლებსაც გრძელი, შინ ნაქსოვი ტეჰმეტები და ფრენჩები ეცვათ. მარმაშის ტანსაცმელში გამოწყობილი ჩია ქალაქელები გულმოდგინედ ღეჭავდნენ ბეტელის ფოთოლს. მათ შორის რამდენიმე ჩინოვნიკი გამოირჩეოდა კოსტიუმებით და ნავის მაგვარი ქუდებით.

ერთხანს დანდუ მოჯადოებულივით იდგა და შეჰყურებდა ვეებერთელა წითელ ავტომანქანას. მოუნდა მანქანის შეკეთება ესწავლა, დურგლობას ეს ხელობა სჯობდა. როგორც ამბობდნენ, მანქანა ინგლისში იყო დამზადებული და, ალბათ, ბევრი ზღვის გადალახვა მოუხდებოდა, სანამ იქ ჩავიდოდა და ხელობას ისწავლიდა.

„უმჯობესია სამუშაო ვიშოვნო და სუკჰდევს შევატყობინო. ფეიქარმა ბეშეშვარმა თქვა, ქარხანაში უამრავი ადგილი არის კვალიფიციური მუშებისათვის და გასამრჯელო წვრილი მოხელის ხელფასს აღემატებაო... მაგრამ სად არის ეს ქარხანა? აუცილებლად გზა უნდა ვიკითხო...“

მან თავისი უფერული თვალები მალვით ასწია და დახარა. იგრძნო, რომ ყველა მათგანი საკუთარი საქმით იყო გართული. არავის იგი არ აინტერესებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ინდური სიგარეტებითა და ბეტელის ფოთლის მოვაჭრისა, რომელიც თავს უქნევდა... თუ მხოლოდ წყალს ასხურებდა სველ ფიქალზე *ეგვიპტელი ბეტელის ფოთლებს? დანდუმ დაკვირვებით შეათვალიერა გამყიდველის* გაზეთილი, შუაზე გაყოფილი თმა და დიდი ჭორფლიანი სარკე, რომელსაც დუქნის ნახევარი ეკავა. მის ზემოთ კობრის ფაფარზე მოცეკვავე დიდი კრიშნანის ვარსკვლავებით მოჭედილი ბრწყინვალე სურათი ეკიდა.

„შევალ და ვკითხავ. კითხვა-კითხვით კაცი იერუსალიმს მივაო“.

— სად იქნება, ძმობილო, ბარივალის მატყლის ქარხანა? — დაბალი ხმით შეეკითხა. დანდუს ხელები წინ გაეშვირა და ისე სხაპასხუპით აყრიდა მოზღვავებულ სიტყვებს, ისეთნაირად ამოძრავებდა ტუჩებს სქელი ულვაშების ქვემოდან, რომ ნამდვილ დამამცირებელ თავმდაბლობას გამოხატავდა.

— გვერდით მიდექ, მუშტარი მოუშვი, სიფთა არ დამიკარგო! — დაუყვირა მედუქნემ.

— მე სოფელ დეორგაჰიდან ვარ...

— გაიარე-მეთქი. ამ დილაადრიან არც ერთი კაპიკის მოცემა არ შემიძლია. ახლახან ვაჭრობა დავიწყე და თქვენ კი მათხოვრები...

— მე მათხოვარი არა ვარ.

— ოჰ, დაიკარგე აქედან. ნუ ასტეხე ალიაქოთი ამ დილით, მოხუცო, ერთხელ და გასაგებად გითხარი: გაიარე!

— მასწავლე, ძმობილო, ქარხნის გზა. — დანდუ მაინც არ ეშვებოდა. — მე ვარ სოფელ დეორგაჰიდან და ჩვენში ხმა დაირხა, რომ...

— აჰაა, ქარხანაში გინდა წასვლა? შენამდე ამბავმა მოაღწია, რომ აქ სამუშაოს იშოვნიდი! — ნახევრად დამცინავი კილოთი შეეკითხა მედუქნე.

— წადი პირდაპირ ხილის ბაზრისკენ, გესმის? იქ ნახავ მაღალ კედელში მოთავსებულ ფერადი ქვებით მოჭედილ დიდ ჭიშკარს...

დანდუმ ძლივს გასაგონად წაილუღლუღა მადლობა და მედუქნის მხიარული გამომეტყველებით გამხნევებული სწრაფად დაეშვა გზაზე.

— ეტყობა მისი აღსასრული მოსულა. რა ცეცხლმოკიდებულივით გაიქცა! — გადაულაპარაკა მედუქნემ სასადილოს მეპატრონეს.

იმჟამად გზა ცარიელი იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებდით გლეხების ერთ ჯგუფს, რომლებიც ხილის ბაზრის შესასვლელთან იდგნენ და მაღაზიის გვერდით მიშენებული ფარდულიდან მომდინარე ყაყანს უსმენდნენ. დანდუ მოედანზე გავიდა. კამეჩების მოშარდულ წუმპეს გასცდა. რამდენიმე გაოფლიანებული ყული მანგოს ნაყოფით გავსებულ კალათებს დუქნებში სცლიდა. მას უამრავი მანგო უჭამია სახლში, მაგრამ არასოდეს უგრძნია ხილის ასეთი სასიამოვნო სუნი, როგორც ახლა, ამ ბაზარში. ოჰ, რა ნაირსახეობაა ყველაფრისა! მთებში მანგოს ნაყოფი პატარა იზრდებოდა; ერთსა და იმავე გადაბერებულ ხეებს წლიდან წლამდე უნდა მოესხათ, ახალი ნერგების დარგვაზე კი თავს არავინ იწუხებდა. სიამოვნებით გასინჯავდა ერთ-ერთ მანგოს, რომელიც ძლიერ ჰგავდა სუკჰდევის ქალწულისდროინდელ ძუძუებს... მაგრამ თუ ქარხანა ახლოა ხილის ბაზართან, მაშინ ყოველდღე მოვიდოდა. სიგარეტებით მოვაჭრესაც, ჩანდა, გაეგონა სამუშაოს შესახებ.

— შეიძლება ღმერთმა კეთილად აახდინოს მისი სიტყვები. — წაიდუდუნა თავისთვის და ნაბიჯს აუჩქარა. ხილის ბაზარს ბოლო კუთხემდე ჩაჰყვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც, მისი ფიქრით, ქარხნისაკენ მიმავალ გზას ნახავდა. ახლა უკვე გარკვევით დაინახა ქარხნის მაღალი საკვამლე მილი ფარდულების გადაღმა, რამ მისასვლელი გზა არსად ჩანდა.

დანდუმ გადაწყვიტა კიდევ ერთხელ მიემართა ვინმესთვის. მამაკაცები პატარა ჯგუფებად ეტლების ჩრდილში მიმალულიყვნენ, ჩალაზე ისხდნენ და თავჩაკიდებულებს ეძინათ. ერთ ყულის, რომლის შიშველი ტანი მთლად ოფლში ცურავდა, მუხლებზე ფრენჩი გადაეშალა და ნაწიბურებში ტილებს ქექავდა, მეორე — ქოქოსის ნაყოფისაგან გაკეთებულ ყალიონს მხიარულად აპლაკუნებდა, მესამე ხარბად იყურებოდა მეეტლებისაკენ, რომლებიც საუკეთესო შაქარლამას თიხის ქილაში დღვებავდნენ, რათა გრილი სასმელი დაემზადებინათ. მეოთხე ძილში უცნაურად კვნესოდა...

— ქარხნის გზას ხომ ვერ მიმასწავლი, ძმაო? — შეეკითხა იგი ერთ-ერთ მათგანს. შეკითხვაზე არავინ უპასუხა. ყველა თავისი საქმით იყო გართული. სიტყვები ისეთი სუსტი ხმით წარმოთქვა, რომ ბაზრის ხმაურითა და სხვადასხვა გვარი სუნით დატვირთულ ჰაერში მარტო თვითონვე შეეძლო გაეგონა.

— მე, ძმობილო, სოფელ დეორგაჰიდან ვარ. ჩვენში ხმა დაირხა, აქ სადღაც ქალაქში სამუშაოა კვალიფიციური მუშებისათვისო. თქვენც მთიელები ხართ, ძმობილებო?

ყულიმ, რომელიც ყალიონს ეწეოდა, ისე გადაიხარხარა, რომ ხველება აუტყდა. თანაც სიცილმა სწორედ მაშინ მოუსწრო, როცა კვამლი შეისუნთქა. სხვებმა კი დანდუს ისეთი გამომეტყველებით შეხედეს, თითქოს ეკითხებოდნენ: — ჭკუაზე ხარ?

— ნუ დასცინი ისეთს, ვინც ხნოვანებით მამად გეკუთვნის, — თქვა ერთმა მათგანმა, რომელიც ამხანაგს ტილების ძებნაში ეხმარებოდა.

— ყეყეჩო მოხუცო! რამ გაფიქრებინა აქ მოსვლა, სადაც ქვეყნის ყოველი კუთხიდან ყულებს თავი მოუყრიათ და ერთმანეთს აძევებენ! — თქვა ყალიონის მწეველმა.

— წადი, მოხუცო! ამ გზით, — თქვა მესამემ დაქანცულად. — ყურს ნუ უგდებ ნაბიჭვარებს. კარგი იყო მთავარი ქუჩით წასულიყავ, მაგრამ რა გაეწყობა. პირდაპირ იარე და შუკაში გასასვლელს ნახავ.

— აჰა, შვილო, როგორც კამეჩს ვერ მოჰკლავს ტურის კვილი, ისე ბრაზიანი ადამიანის შეურაცხყოფა ჩემს სულს ვერაფერს ავნებს, — და გზას გაუდგა.

სულ ახლო, უსწორმასწორო სახლების უკან, საწყობის გვერდით გამოჩნდა ქარხნის მაღალი, ცამდე აწვდილი მილი.

— სადაა გასასვლელი?

ჩაიარა შუაგულ ბაზარში. აქ ერთმანეთში ირეოდნენ კაცები და ბარგაკიდებული ცხოველები, ეტლები და ტომრები, კრაზანების და ბუზების ზუზუნი. დანდუმ შენიშნა შუკაში ვიწრო გასასვლელი, რომლის რკინის კარები ნახევრად ღია იყო.

— სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი, — თქვა თავის დასარწმუნებლად, სანამ ფაბრიკის დიდ ჭიშკარს მიუახლოვდებოდა. უზარმაზარი რკინის ჭიშკარი მაღლიდან გადმოჰყურებდა. თავი უმწეოდ და ზედმე-

ტად იგრძნო მწვანე ფორმაში გამოწყობილი, მოხდენილი ავღანელი პოლიციელის წინაშე, რომელსაც თოფი ხელში ეჭირა და ვაზნებით სავსე ბანდოლერი კა წელზე ერტყა.

დანდუ ცოტა ხნით შეყოყმანდა. თავის გასამხნევებლად წვერი მოიქექა. ახლო-მახლო არავინ ჩანდა და გუშაგმა მალე დაინახა: თავდახრილმა ბერიკაცმა ფეხების ფართხუნით წინ წადგა რამდენიმე ნაბიჯი. მას გაახსენდა შვილის ნათქვამი, რომ ავღანელებისათვის ჩვეულებრივ მისალმებად სიტყვა სალამი ითვლებოდა და არა ხელების შეერთებით მისალმება.

— სალამი, ხან! გავიგე ქარხანაში სამუშაო ყოფილა გამოცდილი მუშებისათვის. მე სოფელ დეორგაჰიდან ვარ, ხელობით დურგალი.

— ვინ გითხრა ეგ ამბავი? — თვალიც არ დაუხამხამებია, ისე შეეკითხა გამოჯგიმული პოლიციელი.

— ბეშეშვარ სინგჰმა, ჩვენმა სოფლელმა. აქ მუშაობდა და ასე თქვა, ბატონო.

— აჰა, ბეშეშვარ სინგჰი! მისი მეგობარი ხარ? — ტონის გამოუცვლელად თქვა გუშაგმა.

დანდუს კვლავ მიეცა იმედი, ხილის ბაზარში ყულის დაცინვამ ოდნავ რომ შეუნელა, როცა გაიგო გუშაგი ბეშეშვარ სინგჰს იცნობდა.

— ხან, — განაგრძო მან. — ბეშეშვარმა თქვა, ქარხანაში კარგი ფულის შოვნა შეუძლია კვალიფიციურ მუშასო.

— ოჰო, ბეშეშვარ სინგჰმა თქვა მაგრე, არა? ბეშეშვარმა! — გააგრძელა ავღანელმა. თან სიტყვებს ჯერ აუღელვებლად აჭიანურებდა, შემდეგ კი მკაცრად მოსჭრა. ბოლოს დამცინავი ღიმილით უთხრა:

— ბეშეშვარ სინგჰი, ძაღლის შვილი! ბეშეშვარ სინგჰი, ვირის ნაშიერი...

— გახსოვს იგი, ხან? — შეეკითხა დანდუ. თან გულში ფიქრობდა, ავღანელი სიყვარულით აყენებსო ბეშეშვარს შეურაცხყოფას, როგორც ეს ინდუსტანში ახლო მეგობრებს სჩვევიათ.

— ვინ არ იცის ბეშეშვარ სინგჰი? — აღმოხდა ავღანელს და ტუჩები ჭრელი გველივით აამოძრავა. — ის იყო გაფიცვის მოთავე ქარხანაში. აი, ამგვარად გამოვასალმებდი მას წუთისოფელს: — მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ყელთან მიიტანა და ისეთი ხმა გამოაღებინა, თითქოს პირუტყვს თავი მოჭკვეთესო.

— ჩავაძაღლებდი, რომ დასტურ საჰიბს არ შეეშალა ხელი. ნაბიჭვარი ბეშეშვარი!— და უკვე გაბრაზებულმა ლაზათიანად შეუკურთხა.

— სადაა ახლა? მასთან ანგარიშები მაქვს გასასწორებელი! სად შეაფარა თავი, დედის კალთას? უჰ! მისი!.. — გუშაგმა ერთხელ კიდევ საზიზღრად შეიგინა.— ბეშეშვარმა და მისმა ამხანაგებმა მცემეს მე. მცემეს გაფიცვის დროს. მათ მუშებს ხელი შეუშალეს ჩემი და მეპატრონის დაცვაში. მშიშარა დასტურ საჰიბმა გადაადებინა მისი დევნა, სანამ ჰოსპიტლიდან გამოვიდოდი. ის რომ არა, ბეშეშვარი მალე გამოესალმებოდა სიცოცხლეს... იგი მალე დარწმუნდება, რომ ავღანელი შეურაცხყოფას არასოდეს ივიწყებს... — მარჯვენა ხელის ხუთივე თითი სახეზე ჩამოისვა და შურისძიების ცერემონიალური გამომეტყველება მიიღო.

—რას ნიშნავს გაფიცვა, ხან?—შეეკითხა მოხუცი, რათა გუშაგის რისხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეცხრო, სანამ სამუშაოს შესახებ შეეკითხებოდა. მასში კვლავინდებურად ყველასადმი გულუბრყვილო რწმენა იყო გამჯდარი.

— ოჰო, მასხრად მიგღებ?— დაუყვირა მან.— გაფიცვა რას ნიშნავს? იმ ნაბიჭვარმა ხომ არ გამოგაგზავნა აქ, კიდევ რაიმე ხათაბალა რომ წამოიწყო? ტყვიას დავახლი, თუ სადმე შევხვდი... მუშათა კომისარია თუ არა. ჩემთვის სულერთია! შენ კი წადი, სადაც მიდიხარ, სიცოცხლე თუ არ მოგძულებია.

— მაგრამ, ხან, მე ბეშეშვარს არ ვიცნობ.—ხელების შეერთებით წარმოთქვა დანდუმ.—სოფელში მხოლოდ ამბავი გავიგე. ბედის უკუღმართი მოქმედებით დავკარგე სახლი და სამუშაო იარაღები, ამიტომ იძულებული გავხდი ქალაქში მოვსულიყავ. სამი დღეა მოვდივარ ჩემი სოფლიდან, ხელობით დურგალი...

— მაშ ამბავი გაიგე, არა? ამბავი. — თქვა ავღანელმა და კისერი წაიგრძელა. — ვირის ნაშიერო, ამბავი! — და ყვავისებრი მჩხავანა სიცილით გაიცინა.—ამბავი! ძაღლის ლეკვებო, ამბავი!..

—ბატონო... ასე არაა?..

—გამეცალე, როგორ შეიძლება მართალი იყოს!— თქვა ყელში ხროტინით.— დასტურ საჰიბმა გაათავისუფლა მუშების დიდი ჯგუფი, ვინაიდან ქარხანაში მუშაობა მცირდება.

—მაგრამ, ბატონო,—დანდუ არ ეშვებოდა.

—წადი, წაეთრიე. აქ სამუშაო არაა.—დაუყვირა სიბრაზით გაცოფებულმა გუშაგმა. — დაიკარგე აქედან, შე ბეშეშვარის მოდგმავ, ლაჩარო! მომცილდი, თორემ ახლავე პოლიციას გადაგცემ! წაეთრიე!—ორლულიანი თოფი ჰაერში შეათამაშა და ფეხები დაუბაკუნა.

ავღანელის გამომეტყველების სიმკაცრემ ბისტი ჩამოაცალა დანდუს მკრქალ, იმედისმქონე თვალებს. მიხვდა, რომ გუშაგი ქარხანაში არ შეუშვებდა. მძიმე კარებიც დახშული ჩანდა. არც ეზოს მაღალი გალავნიდან შეიძლებოდა გადასვლა, რომლის დაცემენტებულ კიდეებზე შუშის ნამსხვრევები იყო მოყრილი. რამდენიმე ხანს იგი იდგა, ფიქრობდა. შეიძლება რამე საერთო გამოენახა გუშაგთან, მაგრამ გახევებული ავღანელი სალ კლდესავით შეუვალი ჩანდა. თავიც ვერ ასწია მაღლა, რომ შეეხედა. ეს არსება მის წინ, რკინით მოჭედილი დახშული კარები, ჭიშკრის ბოძები და ალაყაფის კარების ჩრდილიც კი გეგონებოდათ ამძიმებდა მის გონებას. დანდუმ თავი ჩაჰკიდა. ვერ გაბედა მის ახლოს აღმართული გიგანტური საგნების ძლიერებისათვის შეეხედა.

— მომწყდი თავიდან!—კიდევ დაუყვირა გუშაგმა და ფეხები დაუბაკუნა. დანდუ შიშისაგან შეხტა და კუდამოძუებული ძაღლივით წავიდა, თან უკან იხედებოდა, ავღანელი ხომ არ მომდევსო. მას ყელი გაშრობოდა; ფეხები უცახცახებდა და ეჩვენებოდა, თითქოს სხეულს წყდებოდა. დიდი ხნის შრომით გაუხეშებული სხეული გაშეშებულად მოეჩვენა...

უაზროდ იყურებოდა წინ. გეგონებოდათ, სიცარიელეში მიაბიჯებდა. საგ-სებით არ გრძნობდა ოფლს, ნაკადულივით რომ ჩამოსდიოდა შუბლის ნაჭ-ჭებზე, თვალების გასწვრივ, გაუპარსავ ლოყებზე, ცხვირის ნესტოებიდან ტუ-ჩებისაკენ, ნიკაპზე და კისერზე. დანდუს უნდოდა ქარხნის ჭიშკრისაკენ გახედვა, მაგრამ ავღანელის შიშით მოჯადოებულს მხნეობამ უღალატა.

— ამბავი! ამბავი! მხოლოდ ამბავი! — ამაზე ფიქრი ზარივით რეკავდა ტვი-ნის მიღმა, როგორც შორეული ქუხილის ექო.

მისი დამცირების ადგილიდან საკმაოდ დაშორებულმა თავისთვის წაი-დუდუნა: „რა იყო გაფიცვა, ან რა ჩაიდინა ბეშეშვარ სინგჰმა? — ეკითხებოდა თავისთავს და თანაც უკან იხედებოდა, საფრთხის ზონიდან იყო თუ არა გამო-სული. მაგრამ ამ კითხვების პასუხი ვერ ჰპოვა გონებაში. მან მეორედ მოიხე-და უკან და ქარხანასთან ახლოს კიდევ იგრძნო საფრთხე. შორს, საძულველი, მიუკარებელი ქარხნიდან. მისი აზრით, სიარულში შვებას უფრო იპოვნიდა და ფეხი აითრია.

დანდუს ეჩვენებოდა, თითქოს სადღაც შორს ჭიანჭველის ნაბიჯით ქვი-შიან უდაბნოში მოგზაურობდა. სიცხისაგან სული ეხუთებოდა, ყელში უჭერ-და. ცხოვრება ახლა ყველაზე მძიმე ტვირთად ესახებოდა, ვიდრე ოდესმე... წინათ უგრძნია ამგვარი რამ, როცა ციება ჰქონდა, ერთჯერ თუ ორჯერ. ბავშვივით უმწეო და დამძიმებული ფეხზე ძლივს იდგა. სიმტკიცე რომ არ გამოეჩინა, მისი აზრით, მიწა თან ჩაიტანდა ყველგან, სადაც დაეცემოდა. შემდეგ განიკურნა ამ დაავადებისაგან და გალიიდან გათავისუფლებული ჩი-ტივით ლაღად იგრძნო თავი. ყანაში თამამად მიდიოდა და მუშაობაში არავის ჩამოუვარდებოდა. ახლა კი...

— ეი, გადადექი გზიდან, გადადექი გზიდან!—შეუყვირა მეურმემ, როცა დანდუ კამეჩს მიეხალა და ურემი შეაჩერა.

დანდუ მიხვდა, რომ იდგა, მაგრამ ამაში ჯერ კიდევ ვერ დარწმუნდა.

გზიდან დაიძრა და ცდილობდა მოეხმო გონებისათვის, რომელიც მისი თვალების სიბნელეს გააშუქებდა. აზროვნება სულ დაჰკარგოდა, გრძნობდა მხოლოდ, რომ ახლახან გზაბნეულივით მიდიოდა წინ და არც კი იცოდა სა-ით უნდა წასულიყო ამ უცნობ ქალაქში, ასე შორს საკუთარი სოფლი-დან, მარტო, მეგობრებსა და ნათესავებს მოწყვეტილი.

— ტიი! ტიი! — ძაღლივით დაიყეფა სატვირთო მანქანამ, რომელიც გვერ-დით ქუჩიდან გამოძვრა.

—ეი, გვერდით მიდექ. სწრაფად, სწრაფად, უჰ... გესმის?— შესძახა ა-გუშაგზე მდგომმა პოლიციელმა.

„ამბავი! ნუთუ ეს მხოლოდ ამბავი, ამბავი იყო!“—მწუხარებით განაგრ-ძობდა დანდუ ბუზღუნს ცარიელ თავის ქალაში. სიგნალის ხმაც არ ესმოდა. „და ბეშეშვარმა თქვა, ყოველი მუშა 30 რუპიას იღებს... საცხოვრებლად ინ-გლისური სახლები, საჭმელად — ხორცი ოსპისა და ბრინჯის მაგიერ“. აქ კი არაფერი იყო...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტიი! ტიი!

„ამბავი“...

უკანიდან მომავალმა სატვირთო ავტომანქანამ, იმის ცდაში, რომ პირდაპირ არ დაჯახებოდა ხარებიან ურემს, გზაზე წრე მოხაზა და წააქცია იგი.

ინსტინქტურად ხუთ-ექვსჯერ გადაგორდა. მოტორების დამაყრუებელი ხმა, ყვირილი ერთმანეთში აირია. მაგრამ მუხრუჭებისაგან თავისუფალმა მანქანის შეუბრალებელმა თვლებმა სხეულზე გადაუარეს და ნეკნები ჩაულეწეს.

დანდუმ ხელები გულთან მიიტანა, პირი გააღო, რომ დაეყვირა, მაგრამ ხმა ვერ იპოვნა. ანაზდეულმა შიშმა გახურებულ სხეულში თავიდან ფეხებამდე გაურბინა.

...რა მოხდა? ნუთუ მკვდარია?

მკლავები ძირს ჩამოუცვივდა. ფეხის თითები სავსებით გაეთიშა სახსრებს და გარეთ გამოყრილმა შიგნეულმა დაანახვა ის უბედურება, რაც მოუვიდა. მთელი თავისი ნებისყოფა დაჭიმა, რომ წამომდგარიყო, მაგრამ ვერ შეძლო.

მოთმინებით, უხმოდ იტანდა ტკივილებს. თითქოს თუ მშვიდად და მხნედ იქნებოდა, სიკვდილი განიდევნებოდა. შუადღემოტანებულ სიცხეში მისი სისხლი ნაკადულივით მიედინებოდა და, სანამ ხალხი მანქანიდან გამოათრევდა, იგი უკვე მკვდარი იყო.

რამდენიმე თვის შემდეგ დეორგაჰამდე ხმამ მიაღწია, დანდუ, სოფლის მოხუცი დურგალი, ზეციერი ქვეყნის მცხოვრები გამხდარაო.

ინგლისურიდან თარგმნა **ფრ. ფანჯავიძემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველად ფართო ჩვენებით

მოსკოვის მეტროპოლიტენის სქემა, რომელიც თითქმის ყველა სადგურშია გამოკრული თვალსაჩინოებისათვის და ამ მიწისქვეშა ლაბირინთში გზის გასაკვლევად, წელს ერთხელ კიდევ შეიცვალა. სადგურ „ბოტანიკური ბაღის" შემდეგ გავლებულია ახალი წითელი ზოლი, რომელიც თავდება წარწერით „ВСХВ" — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. აი ამ სიახლით აღინიშნა წელს გამოფენის გახსნა მოსკოვში.

გამოფენის გახსნით თითქოს რაღაც ახალი, სასიცოცხლო ნაკადი იჭრება დედაქალაქის მძლავრ მაჯისცემაში. ყველგან — ქუჩებში, მოედნებზე, თეატრებში, მეტროში შეხვდებით ლამაზ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ადამიანებს, რომლებმაც თავდადებული შრომით მოიპოვეს გამოფენაში მონაწილეობის უფლება და იმისათვის ჩამოვიდნენ მოსკოვში, რომ სხვებსაც უჩვენონ თავიანთი მიღწევები, მოუთხრონ როგორ აღწევენ წარმატებებს, და მეგობრების გამოცდილებაც გაიზიარონ კიდევ უფრო უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

გარეგნულად აქ თითქმის არაფერი შეცვლილა. რამდენჯერაც არ უნდა იხილო, ისევ და ისევ გაოცებს და გიხიბლავს გამოფენის წინ აღმართული მუხინას ცნობილი ქანდაკება — ახალგაზრდა მუშისა და კოლმეურნე ქალის გიგანტური ფიგურები ნამგლითა და უროთი ხელში, რომლებიც თითქოს მომავლისაკენ მიისწრაფვიან გოლიათური ნაბიჯებით. ისევ ის ზღაპრული ქალაქი მონუმენტური სასახლეებით, პარკებითა და ხეივნებით. მზის სხივებზე კვლავინდებურად ცისარტყელას ყველა ფერით ბრწყინავს უნიკალური შადრევნებიდან ატყორცნილი წყლის უწყვეტი ნაკადები. გამოფენის კარიბჭეში ყოველდღე განუწყვეტლივ მოედინება ზღვა ხალხი...

დიახ, აქ ყველაფერი თითქოს ძველებურადაა, ისე როგორც შარშან, შარშანწინ, სამი-ოთხი წლის წინათ. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, ერთი შეხედვით. ათვალიერებ ამ ზღაპრულ ქალაქს, ექსპონატთა მრავალფეროვან სამყაროს და ისეთი გრძნობა გიპყრობს, თითქოს მოგზაურობ ჩვენს დიად სამშობლოში. ამ მომხიბვლელი მოგზაურობის დროს კი ყველაზე უფრო გრძნობ დროის სწრაფვას. თითქოს მცირე ხანია ქვეყნის ცხოვრებაში ერთი წელი, მაგრამ საკმარისია შეხვიდეთ პირველსავე პავილიონში, თვალი შეავლოთ რომელ სტენდსაც გნებავთ, და მაშინვე დაინახავთ, თუ რა თვალსაჩინო ცვლილებები მოხდა შარშან ჩვენს ქვეყანაში, წინსვლისა და განვითარების რა გიგანტური ნაბიჯი გადადგეს ჩვენმა სოციალისტურმა მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ გასული წლის განმავლობაში. წინსვლასა და სიახლეზე ლაპარაკობენ პავილიონთა განახლებული ექსპოზიციები, მეგზურებში და სტენდებზე შეცვლილი ციფრები, ახალი სახელები და პორტრეტები.

გარეგნულად არც საქართველოს პავილიონს შეუცვლია ელფერი. შესასვლელში მარაოსავით გადაუშლია ტო-

ტები ფინიკიის უზარმაზარ პალმას, რომელიც ჯერ კიდევ 1939 წელს ჩამოიტანეს ბათუმიდან გამოფენაზე და მას შემდეგ ჩინებულად გრძნობს თავს მოსკოვის მიწაზე. ახალი აქ ის არის, ამასთან მეტად საამაყო, რომ პავილიონის შესასვლელთან დგას წითლად და ლურჯად შეღებილი ორი მანქანა. ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ ისინი სასოფლო-სამეურნეო მანქანებია, მათ დანიშნულებას და მთელ ღირსებას კი მხოლოდ ექსკურსიის მძღოლის ახსნა-განმარტების შემდეგ შეიტყობთ.

სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში ჩაის ბუჩქის გაშენებას მცირე ხნის ისტორია აქვს. ამით აიხსნება, რომ ჩაის მოყვანა-დამუშავების მექანიზაცია და ტექნოლოგია ყოველთვის ჩამორჩებოდა ამ კულტურის განვითარების ტემპებს. ამდენად საბჭოთა ინჟინრების წინაშე მუდამ იდგა საპატიო და პასუხსაგები ამოცანა — შეემსუბუქებინათ მეჩაიეთა შრომა. პირველ რიგში ვის უნდა გადაეჭრა ეს ამოცანა, თუ არა ქართველ ინჟინრებს? და მათ პირნათლად გაართვეს თავი ამ დავალებას. ეს ორი მანქანაც ამის ნათელი დადასტურებაა.

ერთი მათგანი თვითმავალი ჩაის საკრეფი მანქანაა, რომლის პროექტი დამუშავა საქართველოს სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ. ამ პროექტის მიხედვით თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანამ გამოუშვა პირველი 30 ცალი ჩაის საკრეფი მანქანა, რომლებიც გაიგზავნა როგორც საქართველოს სხვადასხვა რაიონში, ისე ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

მეორე მანქანა — თვითმავალი სამთო-სამთამბარო ტრაქტორი — ამავე საკონსტრუქტორო ბიუროში შეიქმნა და თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში დამზადდა. ეს მანქანა ნამდვილად უნიკალურია. იგი ასრულებს თითქმის ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს, დაწყებული ხვნით და დამთავრებული კრეფით. ამასთან მისი გამოყენება შეიძლება როგორც ჩაის, ისე ბამბის, მზესუმზირის, კარტოფილისა და სხვა კულტურის პლანტაციებსა და ნათესებში.

ქართველი ინჟინრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი [illegible] პირველი და ერთადერთია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში. ამიტომაა, რომ ექსპონატებთან ყოველთვის ხალხმრავლობაა. მათ გარშემო დაინახავთ ექსკურსანტებს უკრაინიდან, მოლდავეთიდან, ბალტიისპირა და შუა აზიის რესპუბლიკებიდან, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან.

ქართველი კონსტრუქტორები, რომლებმაც გამოფენაზე ჩამოიტანეს ეს საინტერესო მანქანები, ძლივს ასწრებენ ახსნა-განმარტებას, შეკითხვებზე პასუხის გაცემას. აი, ინჟინერი ბიძინა ლაღიძე დაწვრილებით განუმარტავს კრასნოდარელ მეჩაიეებს ჩაის საკრეფი მანქანის შექმნის ისტორიას და მისი მუშაობის პრინციპებს.

— ჩაის კრეფა მეტად შრომატევადი სამუშაოა. ამიტომ ჩვენი კონსტრუქტორები ყოველმხრივ ცდილობენ შეუმსუბუქონ მკრეფავებს ძუშაობის პირობები. შეუპოვარმა შემოქმედებითმა ძიებამ და მრავალრიცხოვანმა ცდებმა სასურველი შედეგი გამოიღო.

— როგორია წარმადობა? — კითხულობს ერთი.

— 40 კილოგრამი საათში. ამასთან მანქანას მხოლოდ ორი კაცი ემსახურება. შეიძლება ითქვას, რომ იგი შეცვლის დაახლოებით 15 ჩაის მკრეფავის შრომას.

აზერბაიჯანელ მეჩაიეს აინტერესებს ამ მანქანის პრაქტიკულად გამოყენების პერსპექტივები, როგორ დგას მისი სერიულად გამოშვების საკითხი. მოძმე რესპუბლიკის მეჩაიეს ინტერესი გასაგებია. მას სურს ეს უნიკალური მანქანა იხილოს მშობლიური აზერბაიჯანის ჩაის პლანტაციებში.

ექსკურსიის მძღოლი აკმაყოფილებს მის ცნობისმოყვარეობას.

— ჩაის საკრეფმა მანქანამ წარმატებით ჩააბარა გამოცდა. მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო შესწორების შეტანაა საჭირო მის კონსტრუქციაში. ასე, რომ მისი სერიულად გამოშვების საკითხი საბოლოოდ გადაჭრილია. ვფიქრობთ, რომ უახლოეს ხუთ წელი-

წადში საქართველოს ჩაის პლანტაციების საერთო ფართობის დაახლოებით მეოთხედზე მოსავალს ავიღებთ ჩაის საკრეფი მანქანებით. რა თქმა უნდა, ჩვენ არ დავივიწყებთ მომმე რესპუბლიკებსაც, სადაც ჩაის კულტურა სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს.

მეორე მანქანასთან ექსკურსანტთა წრეში ბათუმის მკვიდრი ინჟინერი კოტე გველესიანი დგას და მორიგ საუბარს ატარებს. შემდეგ იგი პრაქტიკულად უჩვენებს ტრაქტორის მუშაობის პრინციპებს.

მნახველებს განსაკუთრებით მოსწონთ, რომ ტრაქტორს 28 გრადუსამდე ფერდობზე შეუძლია მუშაობა. მექანიზატორები დაწვრილებით იწერენ ბლოკნოტებში თავიანთ შენიშვნებს და შთაბეჭდილებებს.

მანქანებთან ბევრ უცხოელ სტუმარსაც მოკრავთ თვალს, ჩინელებს, ინდოელებს, ცეილონელებს.

იტალიის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა სინანული გამოთქვეს, რომ ეს საუცხოო მანქანები არ იყო წარმოდგენილი მილანის უკანასკნელ გამოფენაზე. მათ გულახდილად უთხრეს ჩვენს ინჟინრებს:

— ამ მანქანებს ბრწყინვალე მომავალი აქვთ. აუცილებლად გამოგვიგზავნეთ იტალიაში რამდენიმე ცალი საექსპონატოდ.

კანადის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ერთ-ერთი ცნობილი კომპანიის „მასეი გარისონის“ პრეზიდენტი განსაკუთრებით დიდ ხანს შეჩერდა საქართველოს პავილიონთან, ყოველი მხრიდან უტრიალებდა მანქანებს, მუშტრის თვალით ათვალიერებდა მათ; თარჯიმნის დახმარებით ყველაფერი დაწვრილებით გამოკითხა ქართველ კონსტრუქტორებს და გამომშვიდობებისას თქვა:

— ჩვენი კომპანია აუცილებლად დააყენებს საკითხს საბჭოთა მთავრობის წინაშე თქვენი მანქანების შეძენის შესახებ.

შეუძლებელია სიამაყე და სიხარული არ განიცადო იმის შეგნებით, რომ შენი რესპუბლიკა, სადაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში განვითარდა მძიმე ინდუსტრია, ახლა მთელ მსოფლიოში თითით საჩვენებელი უნიკალურ მანქანებს ჰქმნიან.

ამ მანქანების პრაქტიკულად გამოყენების პერსპექტივებს ექსკურსანტები და სტუმრები ეცნობიან პავილიონის სუბტროპიკული კულტურების დარგის გაცნობისას. სტენდები, ექსპონატები თვალნათლივ მიტყველებენ, თუ როგორ იბრძვიან რესპუბლიკის მშრომელები ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს მოსავლიანობის გადიდებისათვის, თუ რა ამოცანები დგას მათ წინაშე მომავალში.

ბუნებრივია, რომ ამ დარგით დაინტერესებულნი განსაკუთრებული ყურადღებით ეცნობიან აჭარის ასს რესპუბლიკის წარმატებებს. წელს აჭარა ფართოდაა წარმოდგენილი გამოფენაზე. შარშან მისი ხუთი რაიონიდან მხოლოდ ერთი — ქობულეთის რაიონი მონაწილეობდა გამოფენაში ფართო ჩვენებით, წელს კი მთლიანად რესპუბლიკა. ეს იმას ნიშნავს, რომ 1957 წელს აჭარამ სასოფლო-სამეურნეო დავალებანი გადაჭარბებით შეასრულა ყველა მაჩვენებლის მიხედვით, რომ ამ მნიშვნელოვან წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ.

განსაკუთრებით საამაყოა მეჩაიეობის დარგში მოპოვებული წარმატებანი. 1957 წელს აჭარის მეჩაიეებმა მოიწიეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 21 ათას 492 ტონა ნედლეული, ე. ი. საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე აწარმოეს 4 ათას 237 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. მივმართოთ სტატისტიკას და მოვიგონოთ ამ დარგის გასული წლების მაჩვენებლები. 1941 წელს საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე აიღეს 384 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, შარშან კი წინა წელთან შედარებით ჩაის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა გაზარდეს 382 კილოგრამით, ხოლო ნედლეულის საერთო წარმოება — ორი ათას ორასი ტონით.

ჩაის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობით აჭარა პირველ ადგილზეა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ამიტომაა, რომ აჭარის

სტენდებთან ასე დიდხანს ჩერდებიან უცხოელი სტუმრები, რომლებიც გაოცებას ვერ მალავენ ამ სარეკორდო ციფრების გაცნობისას.

რჩეულთა შორის რჩეული! — ასე შეარქვეს ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობას და სავსებით სამართლიანადაც. შარშან დაგველებმა საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 6.688 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც ტონაზე მეტით აღემატება 1956 წლის მოსავალს. დამთვალიერებლები სტენდზე კითხულობენ, რომ მარტო ჩაის კულტურიდან კოლმეურნეობამ მიიღო 10 მილიონ მანეთზე მეტი. აქვე შეიძლება გავიცნოთ, თუ რა გზით აღწევენ დაგველები ასეთ წარმატებებს.

მთელი სტენდი აქვს დათმობილი „საპატიო ნიშნის“ ორდენოსან ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობას, რომელიც აგერ რამდენიმე წელია განუწყვეტლივ ფართო ჩვენებით მონაწილეობს გამოფენაზე. ოჩხამურელებმა არც შარშან შეირცხვინეს თავი, საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მოიწიეს 4.427 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო სულ მრეწველობას ჩააბარეს 2.121 ტონა ნედლეული.

სტენდებზე მოჩანს სოციალისტური შრომის გმირების, სახელოვანი მეჩაიეების ასმათ ჯიჯავაძის, გული ჯინჭარაძისა და სხვათა პორტრეტები. ამ, სწორედ ამ ადამიანებმა და მათმა თანამოსაქმეებმა ასახელეს ჩვენი რესპუბლიკა, მზიური აჭარა.

აჭარის სტენდებს ქვემოთ განლაგებულია ექსპონატები — ჩაი, ლიმონი, ფორთოხალი, თამბაქო, დაფნა, კონსერვები, სიმინდი, ღვინოები, ყველაფერი ის, რასაც აჭარის სოფლის მეურნეობა აძლევს ქვეყანას.

პავილიონის სახელგანთქმულ ორანჟერეაში კი თვალსა და გულს ახარებს მსხმოიარე და აყვავილებული ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, გრეიფრუტი, ფეიჰოა, რომელთა უმეტესობა აჭარის ციტრუსოვანთა ბაღებიდან ჩამოიტანეს. ორანჟერეას დიდძალი ხალხი ეტანება. ყველა ცდილობს მეტ ხანს დარჩეს ამ მინიატურულ ბაღში, სადაც მუდამ სასიამოვნო სიგრილე და სურნელებაა. ხოლო იმათ, ვისაც სურს იგემოს ქართული ციტრუსები, პავილიონის უკან, მაღაზიაში შეუძლია შეიძინოს ლიმონი და ფორთოხალი.

აჭარიდან გამოფენაზე ჩამოსულ ექსკურსანტებს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში თავიანთი რესპუბლიკის, თავიანთი კუთხის წარმატებები აინტერესებდათ. მათ მთელი დღე დაჰყვეს საქართველოს პავილიონში, ყურადღებით გაეცნენ ყველა დარგში მოპოვებულ წარმატებებს და შემდეგ ისევ აჭარის სტენდებს დაუბრუნდნენ.

ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ აგრონომს ვალენტინა მიხაილოვას სიხარულთან ერთად წყენაც დაეტყო. მას არც დაუმალავს, რასაც ფიქრობდა, და ხმამაღლა თქვა:

— მართალია, დაგვის კოლმეურნეობა ყველაზე მოწინავეა ჩვენს რესპუბლიკაში და იგი ღირსიცაა, რომ ასე ფართოდ იყოს წარმოდგენილი გამოფენაზე, მაგრამ არც ჩვენ ვართ უკანასკნელთა შორის. კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერს“ ჩაის მოსავლიანობით მეორე ადგილი უკავია მთელ საქართველოში, 40-ზე მეტი კაცია ჩვენგან დამტკიცებული გამოფენის მონაწილედ. აქ კი ამის შესახებ არაფერი წერია.

სხვებიც დაეთანხმნენ ქობულეთელ აგრონომს, თუმცა განმარტეს, რომ ყველაფერი იმის ჩვენებისათვის, რაც ჩვენს რესპუბლიკაში კარგი და მოწინავეა, ათი ასეთი პავილიონიც კი არ იკმარებდა. მიუხედავად ამისა, ყველას სურდა, რომ თავისი კოლმეურნეობის სტენდი ენახა საქართველოს პავილიონის დარბაზებში.

ამ საუბარს პავილიონის მთავარი აგრონომი შალვა სიმონიშვილი ესწრებოდა. ეტყობოდა, მას წინათაც მოესმინა ასეთი „საჩივრები“ და აჭარიდან ჩამოსულ ექსკურსანტებს შენიშნა:

— თქვენც სწორედ იმიტომ ჩამოდიხართ გამოფენაზე, რომ პირადად უამბოთ სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებს თქვენს წარმატებებზე, გაუზიაროთ თანამოსაქმეებს საკუთარი გამოცდილება. ვფიქრობ, ამას უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე სტენდის ძუნწ ციფრებსა და დიაგრამებს.

მოსაუბრეებს ექსკურსიის მძღოლი ოთარ ივანიძე მიუახლოვდა.

— პატივცემულო შალვა, აზერბაიჯანელ ექსკურსანტთა ჯგუფი გვესტუმრა.

— ხომ არ იცი, რომელი რაიონებიდან არიან?

— ლენქორანისა და ასტარის.

— მათ შორის, ალბათ, მეჩაიეებიც იქნებიან.

— უმეტესობა.

— აი შემთხვევაც გეძლევათ, — მიუბრუნდა სიმონიშვილი აჭარიდან ჩამოსულ ამხანაგებს, — მოვაწყოთ შეხვედრა აზერბაიჯანელებთან. თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ამ მოძმე რესპუბლიკაში წარმატებით მოჰყავთ ჩაი. ქართველი მეჩაიეების გამოცდილება, თქვენი რჩევა-დარიგება ძალიან დაეხმარება აზერბაიჯანელ თანამოსაქმეებს მუშაობაში. თავის მხრივ ჩვენც მოვისმენთ რაიმე საინტერესოს აზერბაიჯანელთა მუშაობის გამოცდილებიდან.

ეს მეგობრული, საქმიანი შეხვედრა გაიმართა იქვე, საქართველოს პავილიონის ცენტრალურ დარბაზში. მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ აზერბაიჯანელი სტუმრები, ექსკურსანტები აჭარიდან, საქართველოს სხვა რაიონებიდან.

მოკლე შესავალი სიტყვა წარმოთქვა შალვა სიმონიშვილმა. მან ილაპარაკა, თუ როგორ თანდათან ფართოვდება სუბტროპიკული კულტურების ზონა ჩვენს ქვეყანაში. ახლა ჩაი და ციტრუსები, საქართველოს გარდა, მოჰყავთ აზერბაიჯანში, უკრაინაში, კრასნოდარში, ყუბანში, შუა აზიაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსავლიანობაჯანის მეჩაიეთა მიღწევები. მან რწმენა გამოთქვა, რომ დღევანდელი შეხვედრა ორივე მხარეს სარგებლობას მოუტანსო ჩაის მოსავლიანობის შემდგომი ზრდისათვის ბრძოლაში.

აჭყველ აგრონომს ვალენტინა მიხაილოვას სწორედ აქ მიეცა საშუალება, რომ აზერბაიჯანელ თანამოსაქმეთათვის დაწვრილებით მოეთხრო იმ წარმატებაზე, რასაც კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ მიაღწია ნაცადი თავმჯდომარის სოციალისტური შრომის გმირის ქრისტეფორე მერიციდის ხელმძღვანელობით.

— ჩვენ ყოველწლიურად განუხრელად ვზრდით ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობას. შარშანდელი მოსავალი, მაგალითად, საგრძნობლად აღემატება 1956 წლისას. საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანეთ 6.454 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. სულ სახელმწიფოს ჩავაბარეთ 600 ტონამდე ნედლეული. კოლმეურნეობას ბევრი სახელოვანი მეჩაიე ჰყავს. შარშან სოციალისტური შრომის გმირის ივანე კურტოვის რგოლმა გაპიროვნებული ხუთი ჰექტარი პლანტაციიდან საშუალოდ ჰექტარზე მოიწია რვანახევარი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

აზერბაიჯანელები ყურადღებით უსმენდნენ მას, ბლოკნოტებში იწერდნენ ამ საყურადღებო და მართლაც რომ საამაყო ციფრებს. განსაკუთრებით დაინტერესდნენ ისინი იმით, თუ რა გზით აღწევენ ქობულეთელი მეჩაიეები ასეთ მაღალ და სტაბილურ მოსავალს.

მიხაილოვამ აგრონომიული სიზუსტით განმარტა ყოველივე, თუ რა ვადებში და როგორ ტარდება მათთან ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმება, გამეჩხერებული პლანტაციების შევსება, ნიადაგის დამუშავება და მასში ორგანული სასუქების შეტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ გამოვიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ასტარის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის“ აგრონომი და პარტიული ორგანიზაციის მდივანი ხასმამედ ბახტიარი. მან, უპირველეს ყოვლისა, თავის თანამემამულეთა სახელით მადლობა გამოთქვა იმის გამო, რომ ქართველმა მეგობრებმა საქმიანი დახმარება გაუწიეს აზერბაიჯანელ მეზობლებს სუბტროპიკული კულტურების გაშენებასა და განვითარებაში. ამ საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს აკაკი ჯანაშიას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობს აზერბაიჯანში და უნარიანად ხელმძღვანელობს სუბტროპიკული კულტურების განვითარებას. ამჟამად რესპუბლიკაში ჩაის პლანტაციების საერთო ფართობი 6 ათას 884 ჰექტარს შეადგენს. მარტო შარშან აზერბაიჯანმა ქვეყანას მისცა 860 ტონა ჩაის მზა პროდუქცია.

— ჩვენი კოლმეურნეობა „პრავდა“, — თქვა ბახტიარმა, — აზერბაიჯანში ჩაის გაშენების პიონერად ითვლება. ყოველწლიურად ვზრდით პლანტაციების ფართობსა და მოსავლიანობას. შარშან სახელმწიფოს მივეცით 72 ტონა ნედლეული, რაც 16 ტონით აღემატება 1956 წლის მოსავალს. მარტო მეჩაიეობიდან მივიღეთ 711 ათასი მანეთი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა შრომადღის ღირებულება. გვყავს ჩაის უხვი მოსავლის ოსტატები. მათ შორის გამოირჩევა აღჯა ბაბაევას რგოლი, რომელმაც გაპიროვნებული 5 ჰექტარი პლანტაციიდან შარშან მოიწია 9 ათას 135 კილოგრამი ჩაის მწვანე თოთოლი.

ამ მეგობრულ შეხვედრას აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა და კამათი მოჰყვა. აზერბაიჯანელი სპეციალისტები და ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობის აგრონომი ნიკოლოზ ბერაძე ერთმანეთს ვერ დაეთანხმნენ ჩაის პლანტაციებში ორგანული სასუქის შეტანის დოზირებაში. მაგრამ, ნათქვამია, კამათში იბადება ჭეშმარიტებაო, აზერბაიჯანელები დარწმუნდნენ, რომ მათ სასუქი არასაკმაო რაოდენობით შეაქვთ ნიადაგში, ამასთან ისინი არ ითვალისწინებენ ცალკეული ნაკვეთების მოსავლიანობას და თითქმის ერთნაირი რაოდენობის აზოტოვანი და ფოსფოროვანი სასუქი შეაქვთ მაღალ და დაბალმოსავლიან ნაკვეთებში.

ეს საქმიანი საუბარი საქართველოს პავილიონის უკან პატარა ვორაკზე გაშენებულ ჩაის მინიატურულ პლანტაციაში გაგრძელდა. აქ შალვა სიმონიშვილი აზერბაიჯანელ სტუმრებს ესაუბრა აკადემიკოს ქსენია ბახტაძის შესანიშნავ მიღწევებზე.

ქართველმა და აზერბაიჯანელმა მეჩაიეებმა გადაიღეს ფოტოსურათები, ერთმანეთს გაუცვალეს მისამართები და გამოთქვეს სურვილი, რომ კიდევ უფრო განამტკიცონ ეს საქმიანი, მეგობრული კავშირი და ამით ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის შემდგომ განვითარებას.

ალექსანდრე ჩხაიძე.
მოსკოვი.

ისინი იცავდნენ სამშობლოს

1945 წლის 9 მაისი უმნიშვნელოვანესი თარიღია კაცობრიობის ისტორიაში. ამ დღეს ფაშისტურმა გერმანიამ მოახდინა უსიტყვო კაპიტულაცია და დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. დემოკრატიული ძალების ამ ბრწყინვალე გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს საბჭოთა ხალხმა და მისმა

შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებსაც შთააგონებდა და აღაფრთოვანებდა სახელოვანი კომუნისტური პარტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვსურს ქვემოთ მკითხველებს მივუთხროთ ზოგიერთი ქართველი მეომრის გმირობისა და მამაცობის შესახებ.

საქართველოს მეომრები ფრონტის სხვადასხვა უბანზე

საქართველოს საუკეთესო შვილები ფრონტის ყველა უბანზე მამაცურად იბრძოდნენ. უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, მოსკოვთან, ლენინგრადთან, ყირიმში, სტალინგრადთან ისინი თავგანწირულობისა და მამაცობის საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებდნენ.

ასობით ქართველმა გამოიჩინა თავი უკრაინის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში. საკმარისია ითქვას, რომ მდინარე დნეპრის სანაპირო სიმაგრეთა დამსხვრევის, მისი გადალახვისა და მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის დაკავება-შენარჩუნებისათვის მამაცთა შორის უმამაცეს 16 ქართველ მეომარს — ხ. ასლამაზაშვილს, ვ. ბეროშვილს, გ. ბილანიშვილს, გ. ბუაჩიძეს, ი. გვენცაძეს, გ. გოცირიძეს, ვ. გუბელაძეს, ს. კოზანოვს, გ. რაზმაძეს, ბ. სორდიას, ა. ტერელაძეს, ნ. ურუშაძეს, ი. ციციშვილს, ლ. ჩუბინიძეს, ლ. ავალიანს და გ. შენგელაიას — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

უკრაინის მიწაზე გმირის სიკვდილით დაეცა ჯერ კიდევ კავკასიის ბრძოლებში სახელმოხვეჭილი მეომარი საბჭოთა კავშირის გმირი ნიკოლოზ გოგიჩაიშვილი, რომელიც დაკრძალეს კიევში სამარადისო დიდების პარკში.

ბელორუსიის განთავისუფლებას შესწირა თავისი სიცოცხლე ჯარისკაცმა გიორგი მაისურაძემ. ქართველი მატროსოვი — ასეა დღეს ცნობილი მისი სახელი. 1943 წლის დეკემბერში ფრონტის ამ უბანზე გ. მაისურაძე ყველაზე ახლოს აღმოჩნდა გერმანელთა ძელმიწურის საცეცხლე წერტილთან და უმალვე მიხვდა, რომ ფაშისტთა ტყვიამფრქვევი დიდ ზიანს მიაყენებდა თანამებრძოლებს. იგი სწრაფად გაიჭრა საცეცხლე წერტილისაკენ და სხეულით გადაეფარა ამბრაზურას. ტყვიამ დაცხრილა გმირი, მაგრამ მტრის ტყვიამფრქვევი საბჭოთა მეომრებისათვის საშიში აღარ იყო.

1944 წლის 15 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გიორგი ვასილის-ძე მაისურაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა სიკვდილის შემდეგ.

აღმოსავლეთ პრუსიაში გმირობითა და მამაცობით თავი ისახელა ქართველი ხალხის ერთგულმა შვილმა მგზნებარე პატრიოტმა შოთა გამცემლიძემ. ყუმბარების ხვეულით ის ტანკს ქვეშ შეუვარდა და ააფეთქა. დიდების ორდენის კავალერს შოთა გამცემლიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა სიკვდილის შემდეგ.

ქართველ მეომართა მამაცობა ჰოლანდიაში

საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ქართველი მეომრების გმირობასა და მამაცობას ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე. ისინი შედიოდნენ ბატალიონში, რომელიც ჰიტლერელებმა შეადგინეს სხვადასხვა დროს ტყვედ-ჩავარდნილი ქართველი მეომრებისაგან. მათ შორის იყვნენ აჭარის მკვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რნი შოთა ფუტკარაძე, ასლან წილოსანი, მურად კეკეიშვილი და შოთა ბოლქვაძე.

ფრონტის არაერთ უბანზე სცადეს ჰიტლერელებმა გამოეყენებინათ ქართული ბატალიონი, მაგრამ ამაოდ. არაფერი რომ არ გამოუვიდათ, მაშინ 1943 წლის 6 აპრილს ბატალიონი ჰოლანდიაში კუნძულ ტექსელზე ჩაიყვანეს. ჰიტლერელები ამჯერადაც ანგარიშში მოტყუვდნენ. ჰოლანდიაში იმ დროს მოქმედებდა პარტიზანთა მცირე ჯგუფი. გულმა გული იცნო, საერთო ენა მალე გამოინახა და ქართული ბატალიონის დიდ რაზმს ჰოლანდიელ პარტიზანთა ჯგუფი შეუერთდა; და აი პარტიზანთა გაერთიანებული რაზმი რისხვად დაატყდა თავს ჰიტლერელთა ჭარბ ძალებს. სისხლისმღვრელი ბრძოლები ორმოცდასამ დღეს გაგრძელდა. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში 800-დან 720-მდე გმირი ქართველი ვაჟკაცი დაეცა. ისინი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდნენ საბჭოთა მეომრის მაღალ ღირსებას.

კუნძულ ტექსელზე ქართველ პარტიზანთა ბრძოლის ამბავი ყველგან სწრაფად გავრცელდა. კუნძულის ჰიტლერელი კომენდანტი იძულებული იყო ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის ასეთი განცხადება გაეკეთებინა:

„კუნძულის ყველა მცხოვრებს ერთხელ კიდევ მივუთითებ, რომ ისინი მოვალენი არიან თვითონ ეძებონ სოფლებსა და ახლო-მახლო ადგილებში ქართველები და დაუყოვნებლივ გვაცნობონ, თუ მათ სადმე შენიშნავენ.

თუ გლეხის მამულში აღმოჩნდება ქართველი და ამის შესახებ მამულის პატრონი, მისი ოჯახის წევრები ან მისი მუშები არ გვაცნობებენ, მამულის ყველა მცხოვრები ადგილზევე დაიხვრიტება გაუსამართლებლად, ხოლო მამულს ცეცხლით გადავბუგავთ. ეს არის ჩვენი უკანასკნელი გაფრთხილება“...

მაგრამ გაფრთხილება გაფრთხილებად რჩებოდა, განცხადება განცხადებად, გმირი ქართველი პარტიზანები კი ბრძოლას განაგრძობდნენ...

1945 წლის 9 მაისი... გამარჯვების დღე. კუნძულზე კი სისხლისმღვრელი ბრძოლებია... ახლა მტრის ჭარბ ძალებთან საქმე აქვს არა ბატალიონს, არამედ მხოლოდ ასეულს. და აი შეწყდა ბომბებისა და ყუმბარების საშინელი წივილი... ჩვენ გავიმარჯვეთ. ცოცხლად დარჩენილი ქართველები სამშობლოში გამომგზავრებაზე ფიქრობდნენ.

1945 წლის სექტემბერია... ადგილობრივი მცხოვრებლები ეხვევიან გმირ ქართველ პარტიზანებს, დასტირიან კუნძულისათვის გმირულად დაცემულთ.

სამშობლოში გამომგზავრების წინ ბატალიონის მებრძოლებმა, ადგილობრივი მცხოვრებლების მხურვალე დახმარებით, შეკრიბეს დაღუპულ ქართველ მეომართა გვამები, დაკრძალეს ძმათა სასაფლაოზე და სახელდახელოდ ძეგლიც აუგეს. ძეგლის ცენტრში საყვარელი მეთაურის — შალვა ლოლაძის პორტრეტი მოათავსეს. ჰოლანდიელმა ქალიშვილებმა სასაფლაო ყვავილნარად აქციეს. ძეგლს რუსულ, ქართულ და ჰოლანდიურ ენებზე სათანადო წარწერა გაუკეთეს.

ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგს დიდძალი ხალხი დაესწრო. ერთ-ერთმა ჰოლანდიელმა ორატორმა სიტყვა ასე დაამთავრა: „ჩვენი განთავისუფლებისათვის გმირულად დაღუპული ქართველი საბჭოთა მეომრების ხსოვნას სამუდამოდ ვატარებთ და თაობიდან თაობას გადავცემთ. ჩვენ გულს გვიკლავს ამ საფლავის ცქერა და ამავე დროს უდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესი მადლობისა და სოლიდარობის გრძნობას აღგვიძრავს იგი ქართველი მეგობრებისადმი. ამ გმირთა საფლავს ყოველთვის სათუთად დავიცავთ და არ განვასხვავებთ ჩვენი მასალებისა და ღვიძლი ძმების საფლავისაგან“.

სტალინგრადის ბრძოლებში

სტალინგრადის დაცვამ 1942 წლის შემოდგომაზე ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის აღტაცება გამოიწვია. 1942 წლის 19 ნოემბერს კი სტალინგრადის რაიონში ცეცხლი გახსნა 5 ათასმა ქვემეხმა და ნაღმმტყორცნმა. დაიწყო საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევა. ამ ლეგენდარული ბრძოლების მონაწილეა პოლკოვნიკი მიხეილ დიასამიძე. მსროლელთა პოლკის მეთაურმა დიასამიძემ ყველაზე გადამწყვეტ მომენტში მტრის გააფთრებული შეტაკების მოგერიებისას გამოავლინა მამაცობა, გმირობა და თავგანწირულობა. 1942 წლის 20 დეკემბერს მას ი. ბ. სტალინის ხელმოწერით შემდეგი შინაარსის დეპეშა ჩააბარეს:

„ვამაყობ თქვენი შეუპოვარი ბრძოლით. არც ერთი ნაბიჯი უკან. ბრძოლებში თავგამოჩენილი მებრძოლები, მეთაურები წარმოადგინეთ მთავრობის ჯილდოზე“.

თვითონ მ. დიასამიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

არანაკლები მამაცობა და თავგანწირვა გამოიჩინა მ. დიასამიძემ 1957 წლის ოქტომბერშიც. სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტთა ჯარების მიერ დანაღმული სომარი მასალების საწყობი ქ. კურსკში, რომელიც შემთხვევით აღმოაჩინეს, დიდ საფრთხეს უქმნიდა ქალაქს. აუცილებელი იყო ნაღმების ამოღება და უვნებელყოფა. ამ მეტად რთული საქმის შესრულებას 14 მეომრის დახმარებით (მათ შორის იყო ორი ქართველი — დ. მარღიშვილი და გ. ურუშაძე) იკისრა მ. დიასამიძემ. სომარი მასალების საწყობი განაღმეს, გაიტანეს ქალაქგარეთ და ააფეთქეს. თვითეული მეომრის სიცოცხლე ყოველ წუთს ბეწვზე ეკიდა, მაგრამ გაიმარჯვა მამაცობამ. გმირმა მებრძოლებმა მ. დიასამიძის მეთაურობით მიიღეს საბჭოთა მთავრობის მაღალი ჯილდოები.

სტალინგრადის საჰაერო ბრძოლებში უმაგალითო გმირობა გვიჩვენეს აგრეთვე აშარის მკვიდრმა მფრინავმა ისრაფილ ჯინჭარაძემ და მაიორმა ჭიჭიკო ბენდელიანმა. ფაშისტ სვავებთან უთანასწორო ბრძოლაში ისინი გმირთა სიკვდილით დაეცნენ და საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურეს.

ახლა, როცა მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე გაისმის მშვიდობის დაცვისა და მისი განმტკიცების მძლავრი ხმა, როცა მშვიდობის მედროშე დიდი საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ბანაკის ქვეყნები ყოველი ღონისძიებით ფუშავენ ახალი ატომური ომის გამჩაღებელთა ხრიკებს, კომუნიზმის მშენებელი დიდი საბჭოთა ხალხი სიამაყის გრძნობით იგონებს დიდების შარავანდედით მოსილ სამამულო ომის გმირებს და მზად არის შემუსროს ყველა აგრესორი, რომელიც კი გაბედავს ხელყოს ჩვენი უსაზღვროდ საყვარელი სამშობლოს საზღვრები.

იასონ ცერცვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ბოღქვაძე

კარლ მარქსი სინამდვილესთან ხელოვნების დამოკიდებულების შესახებ

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ზეიმით აღნიშნა მეცნიერული კომუნიზმის გენიალური ფუძემდებლის კ. მარქსის დაბადების 140 წლისთავი, ადამიანისა, რომლის სახელთანაც განუყრელადაა დაკავშირებული თვისებრივად ახალი ფილოსოფიის — დიალექტიკური მატერიალიზმის წარმოშობა, რაც ნამდვილ რევოლუციურ გადატრიალებას მოასწავებდა ფილოსოფიაში. მარქსმა და ენგელსმა ფილოსოფიური მატერიალიზმის პრინციპები თანმიმდევრულად გაატარეს ცოდნის ყველა დარგში და, როგორც ლენინი შენიშნავდა, სახურავამდე ააშენეს მატერიალისტური ფილოსოფია. ამის შედეგად მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დადგა ესთეტიკაც.

მარქსმა და ენგელსმა კრიტიკულად დაძლიეს მთელი ძველი ესთეტიკის ცალმხრივობა და შეზღუდულობა, შექმნეს თვისებრივად ახალი მეცნიერება ხელოვნების შესახებ, . რომელიც სწორად გვიხსნის სინამდვილისადმი ხელოვნების დამოკიდებულებას.

ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის საკითხი ფილოსოფიის ძირითადი საკითხის — ყოფიერებისა და ცნობიერების დამოკიდებულების საკითხის გამოვლენაა ესთეტიკის სფეროში. როგორც თეორიული ფილოსოფიის სფეროში ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გადაწყვეტა განსაზღვრავს ძირითად ბანაკებსა და სკოლებს, ასევე ესთეტიკაშიც ხელოვნებისა და სინამდვილის დამოკიდებულების გარკვეული გადაწყვეტა ამა თუ იმ ესთეტიკურ თვალსაზრისს ქმნის.

ხელოვნება საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა და ამიტომ იგი სულიერ სფეროს განეკუთვნება. იგი სამყაროს შეცნობის გარკვეული ფორმაა და, როგორც გარესამყაროს სპეციფიკურ ასახვას, დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვს. ხელოვნება სახეებით აზროვნებაა და, მსგავსად მეცნიერებისა, მისი ამოცანაა სინამდვილის შეცნობა და გარდაქმნა. და მართლაც, ხელოვნება, ისე როგორც მეცნიერება, მიზნად ისახავს ობიექტური სინამდვილე შეიცნოს და გარდაქმნას ადამიანის საკეთილდღეოდ. როგორც მარქსი აღნიშნავს, ადამიანი ნივთიერ სამყაროში მკვიდრდება არა მარტო აზროვნების, არამედ ყველა გრძნობის მეშვეობით. ხელოვნებას თავისი სპეციფიკური საშუალებებით — ემოციონალობით, სახეებით უნარი შესწევს შეიცნოს სამყარო და თავისი წვლილი შეიტანოს მის გარდაქმნაში.

ხელოვნება ფანტაზიის, წარმოსახვის საშუალებით მაღლდება არსებულ სინამდვილეზე და გარკვეულად წინ უსწრებს სინამდვილეს. ოცნების უნარი არსებულის შეცვლისა და გარდაქმნის აუცილებელი უნარია, რომელიც თანაბრად სჭირდება მათემატიკოსსა და ინჟინერს, ფილოსოფოსსა და ხელოვანს. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, ტყუილად ფიქრობენ, რომ ფანტაზია მხოლოდ პოეტს სჭირდებაო. ის მათემატიკაშიც საჭიროა... ფანტაზია უდიდესი ღირებულების თვისებაა.

ცხადია, რომ არსებული სინამდვილის გარდაქმნა-განვითარებაში ადამიანს ეხმარება ფანტაზია. ის, რაც არსებულშია მოცემული და რაც მომავალში უნდა გამოვლინდეს, მრავალგვარი კავშირითაა შერწყმული და გადახლართული სხვა მოვლენებთან. ამიტომ ყოველთვის ნათლად როდი მოჩანს ის, რაც უნდა იყოს მომავალში, და ფართო გასაქანი ეძლევა ოცნებას, ფანტა-

ზიას. მაშასადამე, სინამდვილესთან ოცნების დამოკიდებულების საკითხს ღრმა მეცნიერული შინაარსი აქვს. ვ. ი. ლენინი თავის სახელგანთქმულ ნაშრომში „რა ვაკეთოთ?“ აღნიშნავს, რომ უთანხმოებას ოცნებასა და სინამდვილეს შორის არავითარი ზიანი არ მოაქვს, თუ ადამიანი უურადღებით აკვირდება ცხოვრებას, თავის დაკვირვებას ადარებს თავისსავე საოცნებო კოშკებს და საზოგადოდ კეთილსინდისიერად მუშაობს თავისი ფანტაზიის განსახორციელებლად.

ცხადია, არა ყოველგვარი ოცნება გამოდგება სინამდვილის გარდასაქმნელად და მისი განვითარებისათვის. სასარგებლოა მხოლოდ ისეთი ოცნება, რომელიც არსებულ მოვლენათა რთულ და მრავალფეროვან კავშირში არჩევს მომავლის ყლორტებს, თუნდაც ისინი ჯერ კიდევ სუსტნი იყვნენ. უტოპიური სოციალიზმი უკეთეს მომავალზე ოცნება იყო და იგი ასეთად დარჩა სამუდამოდ, რადგან მისმა წარმომადგენლებმა ვერ მონახეს გზა ოცნებიდან სინამდვილისაკენ, ვერ აღმოაჩინეს ის სოციალური ძალა, რომელსაც შეეძლო არსებულის დამხობა და ბედნიერი მერმისის დამკვიდრება, მაშასადამე, ვერ შეძლეს ოცნებასა და სინამდვილეს შორის არსებული წინააღმდეგობის დაძლევა. მარქსმა და ენგელსმა მოძღვრება სოციალიზმზე უტოპიიდან მეცნიერებად აქციეს იმით, რომ აღმოაჩინეს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერებანი, პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი და დაასაბუთეს წარმოების კაპიტალისტური წესის მოსპობის ისტორიული აუცილებლობა.

მარქსამდელმა ფილოსოფიამ ვერ შეძლო ხელოვნების ბუნების გარკვევა, სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულების საკითხის მეცნიერული გადაწყვეტა. მარქსამდელი ფილოსოფია ხელოვნებას წყვეტდა სინამდვილისაგან, თვლიდა რა ხელოვნების იდეას იმთავითვე მოცემულად და აბსოლუტურად სრულყოფილად. მაგალითად, პლატონისათვის ჭეშმარიტი სინამდვილე იდეათა აბსტრაქტული და მეტაფიზიკური სამყაროა, რომელიც მატერიალურ სამყაროს წინ უსწრებს. ამიტომაც პლატონს ხელოვნების ამოცანად აბსტრაქტულ იდეათა სამყაროში იმთავითვე მოცემული მშვენიერების ჭვრეტა მიაჩნდა, რითაც იგი მთლიანად გამორიცხავდა სუბიექტის აქტიურობას შემოქმედებითს პროცესში.

ჰეგელის მიხედვით, ხელოვნება ობიექტურ-რეალური სინამდვილის შესწავლიდან უნდა გამომდინარეობდეს, მაგრამ ხელოვანი არ უნდა ჩაეშვას ნამდვილ ბუნებრივ რეალობაში, რადგან იგი პროზაა. ხელოვნების მიზანია ყოველდღიური ცხოვრების შინაარსიდან გამოყოს ის, რაც მასში გონივრულია და გონიერ შინაარსს მისცეს შესაბამისი გარეგანი ფორმა. ამგვარი გაგებით ხელოვნება გვევლინება როგორც მხოლოდ ფორმის ძიება, რომელიც ბუნებრივ მშვენიერებაზე მაღლა მდგომ მშვენიერ ფორმებს მოაჩენს. მეორე მხრივ, სუბიექტურმა იდეალიზმმა სავსებით მოხსნა საკითხი სამყაროს არსებობის შესახებ. სოლიპსიზმისათვის მოცემულია მხოლოდ „მე“ მისი საკუთარი შეგრძნებებით, იდეებით, შთაბეჭდილებებით. სინამდვილე, როგორც ხელოვანის შთამაგონებელი, სავსებით გამქრალია და ამიტომ ხელოვნების სამყარო მხოლოდ სუბიექტის სამყაროა — სუბიექტი თვითონ ქმნის სინამდვილეს. ამ გაგებით ხელოვნებას არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია და იგი უსაგნოა.

მეტაფიზიკური მატერიალიზმისათვის გაუგებარია ხელოვნების გარდამქმნელი როლი. იგი მატერიალურსა და სულიერს მეტაფიზიკურად უპირისპირებს ერთმანეთს, ვერ იძლევა მხატვრული პრაქტიკის როლის ახსნა-გაგებას.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა მხატვრული შემეცნების სფეროში მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ძირითად პრინციპებს იცავს: სინამდვილის არა მარტო ახსნა ან განმარტება, არამედ მისი განვითარება და შეცვლა. აქედან ნათელი ხდება დებულება იმის შესახებ, რომ ხელოვნება ეხმარება ადამიანს დამკვიდრდეს ნივთიერ სამყაროში. ცხოვრებასთან ხელოვნების უშუალო კავშირზე, ხელოვნების სოციალურ ფუნქციაზე მიუთითებს მარქსი თავის საქვეყნოდ ცნობილ ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. მარქსი წერს: „ხელოვნების საგანი, — ასევე ყოველი სხვა პროდუქტი, — ქმნის საზოგადოებას, რომელსაც გაეგება ხელოვნება და შესწევს სიმშვენიერით დატკბობის უნარი“.[1] მაშასადამე, ხელოვნება წარმოიშვება მატერიალური წარმოების საზოგადოებრივი წესის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, როდესაც ჩნდება მოთხოვნილება ხელოვნების საგნებზე; წარმოება ქმნის არა მარტო მოხმარების საგანს, არამედ მოხმარების წესსაც, არა მარტო ობიექტურად, არამედ სუბიექტურადაც, აღნიშნავს მარქსი. თვით ხელოვნება აქტიურად უკუმოქმედებს საზოგადოებაზე, ადამიანთა ემოციონალობასა და შეგრძნებებზე და ქმნის საზოგადოებას, რომელსაც აქვს მოთხოვნილება ხელოვნების საგნებზე. სადაც ასეთი მოთხოვნილება არ არსებობს, იქ არც ხელოვნება არსებობს. მარქსი მიუთითებს, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც უკვე არის ხელოვნები-

1. კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, გვ. 269, 1953 წ.

თი წარმოება, ხელოვნების გარკვეული ფორმები, მაგალითად, ეპოსი, ვერასოდეს ვეღარ წარმოიშვება.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მარქსის გენიალურ დასკვნას იმის შესახებ, რომ ხელოვნების „აყვავების გარკვეული პერიოდები სულაც არ შეესაბამება საზოგადოების საერთო განვითარებას, მაშასადამე, არც ამ საზოგადოების მატერიალური საფუძვლის განვითარებას, საფუძვლისა, რომელიც მისი ორგანიზაციის, ასე ვთქვათ, ჩონჩხს შეადგენს“.[1] ამ დებულების საილუსტრაციოდ მარქსი ასახელებს ანტიკური ეპოქის ბერძნულ ხელოვნებას, რომელიც ბერძნული მითოლოგიით იკვებებოდა და მასზე იყო დამოკიდებული. შემდეგ მარქსი აღნიშნავს, რომ „სიძნელე იმის გაგებაშია, რომ ისინი ჩვენ ახლაც კიდევ ესთეტიკურ სიამოვნებას გვაგრძნობინებენ და გარკვეული აზრით ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ“.[2] ამ სიძნელეს მარქსი შემდეგნაირად ხსნის: „კაცობრიობის საზოგადოებრივ ბავშვობას იქ, სადაც იგი უმშვენიერესად გაშალა, რატომ არ უნდა ჰქონდეს ჩვენთვის მარადიული მიმზიდველობა, როგორც განუმეორებელ საფეხურს?“[3] აშკარაა, რომ ხელოვნება მჭიდრო კავშირშია საზოგადოებრივ ცხოვრებასთან და უაღრესად ყალბია ხელოვნების სუბიექტივისტური გაგება, რომლის მიხედვითაც ხელოვნება სხვას არაფერს გამოხატავს, გარდა საკუთარი თავისა, რომ იგი საკუთარი კანონების თანახმად ვითარდება.

მარქსიზმის კლასიკოსები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ ხელოვნების პარტიულობას. საზოგადოებაში, რომელიც გათიშულია მტრულ, ანტაგონისტურ კლასებად, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს კლასებზე მაღლა მდგომი ხელოვნება. ხელოვნების ბურჟუაზიული თეორეტიკოსები, იდეალისტი სოციოლოგები უსირცხვილოდ სტყუიან, როდესაც აცხადებენ, თითქოს ხელოვნება ცოცხლობს რაღაც თავისთავადი, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან დამოუკიდებული სიცოცხლით. თვით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კლასობრივ საზოგადოებაში წარმოიშვება მიმართულება „წმინდა ხელოვნებისა“, რომელიც ქადაგებს პრინციპს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ხელოვნება ასრულებს გარკვეულ სოციალურ დაკვეთას — ცდილობს მოწყვიტოს მასები პოლიტიკურ ბრძოლას ექსპლოატატორული კლასების ინტერესების შესაბამისად. იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიული ხელოვნება უაღრესად რეაქციულ როლს ასრულებს. იგი გააფთრებით ეწევა რეაქციული იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეების პროპაგანდას. რეაქციული, ანტიდემოკრატიული, ანტიმეცნიერული, ცრუმორწმუნეობის იდეების პროპაგანდა, ზიზღი ადამიანისადმი, სიცოცხლისადმი, ცხოველური ინსტინქტების გაღიზიანება. შიში მომავლის წინაშე, ომისა და ინდივიდუალიზმის ქადაგება — აი თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნების შინაარსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახრწნილ ბურჟუაზიულ ხელოვნებას მკვეთრად უპირისპირდება მოწინავე საბჭოთა ხელოვნება, რომელიც ჰეშმარიტად ხალხური ხელოვნებაა და ხალხის სამსახურში დგას. საბჭოთა ხელოვნების ხალხურობა იმით გამოიხატება, რომ იგი გამსჭვალულია კომუნიზმის იდეებით, რომლებიც გამოხატავენ ხალხის ძირეულ ინტერესებს. საბჭოთა ხელოვნებისათვის დამახასიათებელია ოპტიმიზმი, ხვალინდელი დღის, კომუნიზმის გამარჯვების რწმენა, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ცოდნასა და შეგნებულ გამოყენებას ემყარება.

საბჭოთა ხელოვნება შეიარაღებულია თვისებრივად ახალი მეთოდით — სოციალისტური რეალიზმის მეთოდით. სოციალისტური რეალიზმი რეალიზმის უმაღლესი ფორმაა, რომლის საფუძველს შეადგენს მეცნიერული ცოდნა საზოგადოებრივი განვითარების კანონების შესახებ. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის თანახმად ჰეშმარიტად მეცნიერული მხატვრული მეთოდი არ შეიძლება იყოს არც მისტიციზმი, არც ნატურალიზმი.

მისტიციზმი წარმოადგენს მისტიკური, მიღმური სამყაროს არსებობის აღიარებას და ხელოვნების საგნად მის გამოცხადებას. ნატურალიზმის თეორიული საფუძველია ცალმხრივი სენსუალიზმი, რომელიც გამორიცხავს აზროვნების უდიდეს როლს მხატვრულ შემოქმედებაში. სინამდვილის ფოტოგრაფიული ასახვა, რასაც ნატურალიზმი ქადაგებს, უარყოფს სუბიექტის აქტიურ როლს და მას ობიექტის მონად აქცევს. ჰეშმარიტი მხატვრული ასახვის მეთოდი რეალისტური მეთოდია. რეალისტური მეთოდი სინამდვილეს ასახავს ისე, როგორც არის და როგორც უნდა იყოს, რითაც გავლენას ახდენს ადამიანის მსოფლმხედველობის, ნებისყოფის, სურვილების ფორმირებაზე. ცნობილია, რომ XIX საუკუნის კრიტიკულმა რეალიზმმა მზის სინათლეზე გამოიტანა ექსპლოატატორული საზოგადოების სიდამპლე და ანტიხალხურობა. ამით იგი იცავ-

1. კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, გვ. 295, 1953 წ.
2. იქვე, გვ. 297.
3. იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხალხის ინტერესებს და საზოგადოებრივ პროგრესს. დიდი რუსი მწერლები გოგოლი, სალტიკოვ-შჩედრინი, ნეკრასოვი, ოსტროვსკი, ჩეხოვი და სხვები სასტიკად ამათრახებდნენ თვითმპყრობელობის პოლიციურ-ბიუროკრატიულ რეჟიმს, აღაგზნებდნენ ხალხთა მასებს ამ დრომოჭმული ინსტიტუტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

სოციალისტურმა რეალიზმმა, როგორც რეალიზმის უმაღლესმა ფორმამ, კრიტიკულად შეითვისა ყოველივე პროგრესული და რევოლუციური, რაც ხელოვნების განვითარებაში ისტორიულად შეიქმნა. სოციალისტური რეალიზმი არსებულის ნიშანთა ასახვასთან ერთად რევოლუციურ რომანტიკასაც შეიცავს, რაც იმის შესაძლებლობას ქმნის, რომ სწორად აიხსნას აწმყოს განვითარების ძირითადი ტენდენცია. მაშასადამე, სოციალისტური რეალიზმი სინამდვილეს მის რევოლუციურ განვითარებაში ასახავს, იგი აწმყოს ბედნიერი მომავლის შუქზე ასურათებს, რითაც აღაფრთოვანებს ხალხის მასებს კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის საბრძოლველად, ებრძვის ყველაფერ ძველს, რაც ხელს უშლის ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობას. საბჭოთა ხელოვნება ამავე დროს მსოფლიო პროლეტარიატის ერთ-ერთი აღმზრდელი და მასწავლებელია. კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შეიარაღებული ბევრი მოწინავე ხელოვანი ეწევა კაპიტალიზმის მძაფრ კრიტიკას, იბრძვის ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობისათვის.

მოწინავე საბჭოთა ხელოვნების შთამაგონებელი და წარმმართველი ძალა არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. იგი იდეური ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელია ყველა იმ დიადი გამარჯვებისა, რომლებიც საბჭოთა ხელოვნებამ მოიპოვა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებისაგან მოითხოვს შექმნან ჩვენი დიადი სინამდვილის ამსახველი ფართო ტილოები, რომლებიც გვიჩვენებენ კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ჭეშმარიტად გმირულ მხატვრულ სახეებს. ცხოვრებასთან ახლოს ყოფნა, ხალხთან მჭიდრო კავშირი, მაღალი იდეურობა და მხატვრულობა საბჭოთა ხელოვნების ნიშანდობლივი თვისებებია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი ღუმბაძე

ხალხის სახე მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში“

მეოცე საუკუნის ქართული პროზის ერთ ერთი გამოჩენილი ოსტატის მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უკავია შესანიშნავ რომანს „არსენა მარაბდელი“. მისი ბეჭდვა მწერალმა დაიწყო 1926 წელს ჟურნალ „მნათობში“. რომანი ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა 1932 წლამდე, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოიცა.

„არსენა მარაბდელი“ ისტორიული რომანია და ასახავს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ცხოვრებას, რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგად მომხდარ ღრმა პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებს. მასში ასახულ ისტორიულ სიმართლეს ორგანულად ერწყმის მწერლის მდიდარი ფანტაზიით „გამოგონილი“ ამბები, ამასთან რომანის მთავარ, ძირითად საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენს ხალხი,[1] ისტორიის შემოქმედი.

ეს ის ხალხია, რომელსაც ძულს ბატონყმობა და თვითმპყრობელობა, აღარ სურს კვლავ განიცადოს მისი სიმძიმე და გაიტაცა სტიქიურმა მისწრაფებამ განთავისუფლდეს ამ სიმძიმისაგან, მოიპოვოს ადამიანური ცხოვრება.

მიხეილ ჯავახიშვილი ხატავს ხალხის შეუპოვარ ბრძოლებს, თავგანწირვას, ვაჟკაცურ შემართებას და გვიჩვენებს, რომ გლეხობა თავის ბრძოლაში ჯერ კიდევ არათანმიმდევრულია, უკეთესი ცხოვრების ძიებაში შეზღუდულია ვიწრო ფარგლებით. რომანისტის დიდი გამარჯვებაა, რომ თავის ფართო ისტორიულ ტილოზე შესანიშნავი ოსტატობით დახატა გლეხთა მასობრივი ბრძოლები მათი სუსტი და ძლიერი მხარეებით, დაიცვა ეპოქის კოლორიტი და განსჯვრიტა მომავალი.

ცნობილია, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ერთსახოვანი არ ყოფილა. თავდაპირველად შეინიშნებოდა ფეოდალური ნაციონალიზმი, ქართველი თავადაზნაურებისა და ტახტდაკარგული ბატონიშვილების მოძრაობა, რომელიც, მართალია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეებით იყო შეფერადებული, მაგრამ თავისი არსით რეაქციულ მოძრაობას წარმოადგენდა. „იყო ჩვენში, მაგალითად, ეგრეთწოდებული, **თავადაზნაურობის „ნაციონალური საკითხი“**, — წერდა ი. ბ. სტალინი, — როცა—„საქართველოს რუსეთთან შეერთების“ შემდეგ — ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველ მეფეების დროს ჰქონდა. იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომა **„საქართველოს განთავისუფლება“. ამით მას უნდოდა „საქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედ-ღბალი!** ეს იყო **ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი“**. ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დაჩნია ამ „მოძრაობამ“ ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავად-აზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში...“[1]

სწორედ იმის გამო, რომ ქართველი ხალხის ისტორიაში ფეოდალურ-ნაციონალისტურ მოძრაობას არავითარი შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია, მიხეილ ჯავახიშვილმაც თავისი სოცი-

1 „ხალხი“ ჩვენს წერილში მხოლოდ მშრომელთა მასებს, კერძოდ, გლეხობას აღნიშნავს.

1. ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 32-33.

ალური რომანის ძირითადი სიუჟეტური ხაზი ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხალხის, კერძოდ, გლეხობის ბრძოლას დაუკავშირა და რომანში წინა პლანზე წამოსწია ეს ბრძოლები, ხალხი.

მიუხედავად იმისა, რომ თავადაზნაურთა რეაქციული მოძრაობა გლეხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარალელურად და ხშირ შემთხვევაში ერთდროულად მიმდინარეობდა, გლეხთა გამოსვლები საბოლოოდ გამოეთიშა თავადაზნაურულ რეაქციულ ბრძოლას სწორედ იმის გამო, რომ გლეხობას თავისი გზა ჰქონდა და ბრძოლის ამ პროგრესულ გზაზე თავადაზნაურობა მას არ გამოადგებოდა, რადგან ეს უკანასკნელიც მისი კლასობრივი მტერი იყო.

მშრომელი გლეხებისა და თავადაზნაურთა ინტერესების ამ გათიშულობას მშვენივრად გადმოგვცემს მწერალი რომანის შემდეგ ეპიზოდში: არსენა, დათუნა ბარნაველი და ფილადელფოს ბერი შალვა ბარათაშვილთან შეხვდნენ გრიგოლ და ალექსანდრე ორბელიანებს, ერეკლეს შვილიშვილებს. ფილადელფოსი ბარათაშვილსა და ორბელიანებს ბატონიშვილებთან აკავშირებდა, მზადდებოდა თავადაზნაურული შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა ფეოდალური საქართველოს აღდგენას. თავისთავად ცხადია, ამ ხუთეულის ინტერესები ერთმანეთს სცილდებოდა და ვერ ეთანხმებოდა, რაც ხაზგასმით აღნიშნა მიხეილ ჯავახიშვილმა: „ყველა ჭგრძნობდა, რომ ამ კრებულში აშკარად ვერ იტყოდა სათქმელს და ერთნაირი აზრიც რომ ჰქონოდათ, ვერ გამოსთქვამდნენ, რადგან მათ შორის რაღაც იდუმალი კედლები იყო აღმართული. გაუქმებულ ტახტის ნათესავებს, რომელნიც რუსის დროშის ქვეშ იბრძოდნენ; ხელაღებულს ნაგლეხარ ბერს, რომელიც გადასახლებულ ბატონიშვილთან აბამდა ძაფებს და „აქტსა გონიერსა“ ჰქადაგებდა; ესაქმო რიტორს ბარნაველს, და მარჯვე ბიჭს, მაგრამ მაინც გლეხს, ყმას, სათვალავში ჩაუგდებელ არსენას, რომელსაც არაფერი არა ჰქონდა-რა საკუთარი: არც თავის თავი, არც ცოლი და არც შვილი, არც მიწა და საქონელი, არც აზრი და ნება, რადგან „მისი ყველა ბატონის არის“ — ამ ხუთეულს დუღაბად ვერაფერი ვერ ეპოვა ურთიერთისათვის, გულის სარკმელი ვერ გაეხსნათ და სწორედ იმ დროს, როცა მათი ქვეყნის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, სათქმელის მეასედიც კი ვერ ეთქვათ და ერთმანეთს მოსისხლესავით ემალებოდნენ“.

არსენა გრძნობდა, რომ მისი გზა სხვა იყო და ცივად გასცილდა იქაურობას, გზაზე კი ფიქრობდა: „—აქედან რუსი გვაწვება, ოქიდან ყეენი და საცაა ხონთქარიც შემოგვეკვეთოს. ბატონი კი ისევ ბატონობს, საქონელ-ბატონ გვყიდის, ლამის სულიც კი ამოგვართვას და თანაც სცდილობს სახიფათო მორევში ჩაგვითრიოს. არა შვილოსან, **თქვენ თქვენი გზით იარეთ, ჩვენ კი ჯერ ჩვენს თავს ვუშველით და დანარჩენებზე მერე ვიფიქრებთ...**“

არსენასა და მის თანამებრძოლებს საკუთარი გზა ჰქონდათ და ეს იყო ბატონყმობის მოსპობის გზა.

ფართოდ ხატავს რა გლეხთა მასობრივ აჯანყებებს, მიხეილ ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს ამ აჯანყებათა სტიქიურ ხასიათზე. მწერალი შესანიშნავად გვიჩვენებს გლეხთა ბრძოლის უპერსპექტიობას, როცა მას არა ჰყავს ხელმძღვანელი კლასი, გლეხობის გულუბრყვილობასა და პოლიტიკურ გამოუცდელობას. აი ორჯერ დამარცხებული არსენა მესამედ დიღმის ველზე ჩაუდგა გლეხკაცობას სათავეში და აჯანყებისაკენ, ბრძოლისაკენ მოუწოდა: „თავადები გვყიდიან, გვღალატობენ... ჩვენებურ თავადებს და რუს ხელმწიფეს ერთი პირი აქვთ და ჩვენც ერთმანეთი ვაუკაცურად გავიცნოთ, აბა მომყეთ! — დაასრულა მარაბდელმა, ლურჯაზე აისვეტა და ძველებური ლაშქრული შემოსძახა. ხალხმა პირი იბრუნა და უკლებლივ გაჰყვა ოძელაშვილს“. გაჰყვა, მაგრამ მერე რა! გლეხებს არ ჰქონდათ მტკიცე სამოქმედო გეგმა, არ ჰყავდათ ხელმძღვანელი კლასი, რომელიც რევოლუციური გზით წარმართავდა მათს სტიქიურ მოძრაობას და ბრძოლას ბოლომდე მიიყვანდა. ამის გამო აჯანყებულნი უბრძოლველად დაიშალნენ და მაშინვე უკან დაბრუნდნენ, როგორც კი თავადმა თეიმურაზმა, ალექსანდრემ და მუხრან-ბატონმა ყალბი ფიცით ისინი დაამშვიდეს და დახმარებას შეჰპირდნენ. „წეღან მრისხანე მეწყერივით ჩამოსული ლაშქარი ახლა დასიცხული თოვლივით დნებოდაო“, შენიშნავს მწერალი.

როგორც ამ ეპიზოდიდან, ისე საერთოდ რომანიდან აშკარად ჩანს, რომ გლეხობის რევოლუციური შეგნების დონე იმ დროს დაბალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ გლეხები თავგანწირვით, ვაუკაცურად იბრძვიან, მათი ბრძოლა ხშირად მიზანგაურკვეველია, ხოლო გზა მცდარი. მართალია, ისინი აღსდგნენ ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ არ იცოდნენ როგორ უნდა მოეპოვებინათ თავისუფლება, რა გზით უნდა მიეღწიათ გამარჯვებისათვის. ეს არ იცოდნენ არც მებრძოლებმა და არც მათმა ბელადმა არსენამ. ბრძოლის გზის გაურკვევლობა აფორია-

ქებს რაზმელებს და აფიქრებს მათ ბელადსაც. მწერალი ხატავს აჯანყებულთა რაზმის ცხოვრებას ტყეში, გვიჩვენებს მათს ფსიქოლოგიას, იდეებისა და მისწრაფებათა სხვადასხვაობას, ინტერესთა შეჯახებას და, ბოლოს, მათ შორის განხეთქილებასაც. კერძოდ არსენა მარაბდელი და სევასტი ლაცაბიძე სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ სხვადასხვა გზით მებრძოლთა მხატვრული სახეებია. ამით მწერალმა ხაზი გაუსვა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გლეხთა აჯანყებების სტიქიურ ხასიათს, მათს არაორგანიზებულებას.

არსენამ ვერ მოახერხა აჯანყებულთა გაერთიანება, ვერ დარაზმა ისინი ერთიანი საბრძოლო დროშის ქვეშ და სინანულით თქვა: „მე ან ნაადრევად დავბადებულვარ, ან ძალიან დამიგვიანია“. არსენას არც შეეძლო ეს გაეკეთებინა. გლეხთა გამარჯვებისათვის ამ პერიოდში ნიადაგი მზად არ იყო. მწერალი ზუსტად იცავს ისტორიულ კოლორიტს.

ასევე კარგად გვიჩვენა მიხეილ ჯავახიშვილმა გლეხთა აჯანყების მასობრიობა. მწერალი მშვენივრად იცნობს არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ხალხს, არამედ რუსეთის იმპერიის სხვა ხალხების ისტორიასაც და შესანიშნავად, დიდი ოსტატობით აღწერს ბატალურ სცენებს, გვიხატავს აჯანყებათა საერთო-სახალხო ხასიათს, სტიქიურობას და გარდუვალ მარცხსაც.

მარაბდელი გლეხების აჯანყება და მასში მონაწილე ქართველი, რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ოსი მებრძოლების მხატვრული სახეები ტიპობრივია და უპირველეს ყოვლისა გამოხატავენ მშრომელი ხალხის ანტიფეოდალურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მისწრაფებებს. დიდი ოსტატობით ხატავს რა ხალხის მდგომარეობას, მწერალი გვიჩვენებს, რომ ბოროტებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ პროტესტის სტიქიური გრძნობა მათი ცხოვრების პირობებიდან მომდინარეობს. არსენას რაზმელების უდიდესი გაბოროტება და სიძულვილი დააგროვა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის — მოტყუებისა და გაიძვერობის საუკუნეებმა. ობიექტურმა სინამდვილემ პირველ რიგში წამოაყენა სხვადასხვა ეროვნების გლეხთა ცხოვრების ძირფესვიანად შეცვლის აუცილებლობის იდეა და ისინი ამ იდეის გარშემო შეადუღაბა.

ბატონყმობისა და თვითმპყრობელობისადმი ხალხის სიძულვილი და გაბოროტება რომანის ექსპოზიციურ ნაწილშივე ცხადი ხდება და შემდეგ მთელ რომანს წითელი ხაზივით მიჰყვება. ამ მხრივ აღსანიშნავია გლეხური სუფრის ეპიზოდი, რომელიც მრავალმხრივ არის [illegible] ღებო. ეს არის ეგრეთწოდებული [illegible] დღის პირველი საგაზაფხულო თესვის დღესასწაული, როცა გლეხებმა „საარიფანო გამოიღეს და ძმური სადილი მოამზადეს“. ამით მწერალი გვაცნობს ტრადიციულ ხალხურ დღესასწაულს, რომელსაც სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა. აქ ხაზგასმულია ქართული სუფრის შესანიშნავი შინაარსიც — ის ყოველთვის იყო აზრისა და განსჯის, სიყვარულისა და ლხინის, სადღეგრძელოს სუფრა. ვკითხულობთ ამ ეპიზოდს და ჩვენს თვალწინ გადაიშლება მრავალმეტყველი სურათი; ჩქეფს ჩაუქრობელი სიცოცხლე, ბრწყინავს მახვილი სიტყვა, რომელიც გადმოსცემს ხალხურ, გლეხურ სიბრძნეს. ისმის სიმღერა, რომელიც, დიდი ილიას თქმისა არ იყოს, ერთი გაბმული კვნესაა და მაინც ნამდვილი სიმღერა. მასში გადმოცემულია ბოროტებისადმი ხალხის უსაზღვრო სიძულვილი, მომავლის რწმენა, ვაჟკაცური შემართება:

მაცალე, ერთი გავმართო
ჩახმახი, ცეცხლის კვესია.
სულ ერთად მოგამკევინო,
რაც გლეხზე დაგითესია.

საუკუნეებით დაგროვილ ხალხის სიძულვილსა და გაბოროტებას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან აძლიერებდა ძარცვა-გლეჯის, რბევა-აწიოკების სავსებით უახლესი ხერხები, რომლებიც თვითმპყრობელობამ მოუტანა როგორც ქართველ, ისე რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ქვეყნის გლეხობას. მათგან აღსანიშნავია სასურსათო გადასახადის ახალი ფორმა, რომელიც მშრომელებს შიმშილით სიკვდილს უქადდა. „ყმებს რომ სამ წელიწადს ერთი ლუკმაც არ ჩაედოთ პირში და ცოლშვილიანადაც გაყიდულიყვნენ, ბარათოვის ვალიდან მაინც ვერ ამოვიდოდნენ“. მძიმე იყო ბეგარაც, რომლის შესრულება გლეხის ძალ-ღონეს აღემატებოდა. „ურემი აღარავის არ შერჩა, ბეგარაზე როგორ წავიდეთ,“—განმარტავს კარპიჩა და, ბოლოს, „რუსული რიზგი“. ის შეიძლება შევადაროთ უკანასკნელ წვეთს, რომელიც ჭურჭელს პირამდე ავსებს. და აი გლეხების მოთმინების ფიალაც აივსო, ისე აივსო, რომ ღვთისავარიც კი, რომელიც ასჯერ გაზომვასა და ერთხელ გაჭრას ქადაგებდა, გაუზომავად დგამს ნაბიჯს იარაღით ბრძოლის დიდ გზაზე.

გაროზგვა მარაბდელებისათვის ახალი ხილი იყო, რუსი კარპიჩასათვის კი ნაცნობი და ძალიან ნაცნობიც. კარპიჩა მის სიმწარეს გამოექცა, მაგრამ აი მეფის მთავრობას საქართველო-

შიც განუზრახავს მისი გადმონერგვა. „ბიჩებო, ნუ დაღონებულხართ!, — ამშვიდებს მარაბდელ გლეხებს კარპიჩა, — როზგი თქვენთვის არის ახალი ხილი, თორემ მე მეშვიდეჯერ დამკრეს. შპიცრუტენი გინახავთ? არ გინახავთ. მაშ მე გეთკვით: ერთ როტა სალდათს ორპირად დააკენებენ. კველას რკინის თითო ზუმბას მისცემენ. ვინც გასაროზგია, გაატიტვლებენ და შუაში შეაგდებენ. ბოლოში უნდა გავარდეს. კველამ ის ზუმბა მაგრა უნდა დაჰკრას, და ვინც ნელა დაჰკრავს იმასაც გააშიშვლებენ და შუაში შეაგდებენ, გაიგეთ?“.

კარპიჩას ცხოვრების გზა რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნების ყმა გლეხის ცხოვრების გზა იყო და ამ გზას მხოლოდდამხოლოდ იარაღით ბრძოლისაკენ მიჰყავდა მილიონობით მშრომელი გლეხი. მათი ბრძოლა თითქოს მარტოოდენ სოციალური ხასიათისაა, იბრძვიან ბატონყმობის წინააღმდეგ. ფაქტიურად კი ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა შეიცავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასაც, მაგრამ ეს უკანასკნელი დაქვემდებარებული ხასიათისა იყო. წინა პლანზე იდგა სოციალური.

მწერლის დიდი გამარჯვებაა, რომ მარაბდელის ბრძოლებში მონაწილე გლეხების მხატვრული სახეები სრულყოფილია. ისინი არიან თავიანთი ხალხის ისტორიული წარსულის, ეროვნული ტრადიციების მემკვიდრენი. ამდენად „არსენა მარაბდელი“ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ათეული წლების მარტო ქართულ სინამდვილეს როდი ასახავს. იგი მთელ რუსეთში ბატონყმური ურთიერთობისა და ეროვნულ-სოციალური ჩაგვრის ამსახველი ფართო მხატვრული ტილოა.

საინტერესოა რომანის ბოლო თავის—„უსახელო სახელის“ ეპიგრაფი — „არ აშენდების შლამისგან ბირთვის-სამშვილდის ციხენი“. ეს სიტყვები მწერალმა აჯანყებულ გლეხთა ბელადს ათქმევინა მაშინ, როცა არსენამ თბილისში დიდ ბაზართან, ისნის უბანში და ბოლოს დიღომში ხუთიოდე ათასი მებრძოლი მოაგროვა, საბრძოლველად შემართა, მაგრამ დიდთავადებმა მიუსწრეს, აჯანყებულები ყალბი დაპირებებით გაფანტეს და უკან დააბრუნეს. „მარტოდმარტოდ დარჩენილი“ გულჯავრიანი არსენა ამბობს: „ამ ხალხისათვის ვიბრძოდი, ამათ უნდა ამაშენონ გლეხური სიონი. ხალხი კი არა, ლაფი ყოფილა, ქვიშა“.

არსენამ კარგად იცოდა, რომ ხალხი ლაფი არ იყო, რომ ხალხი, რომელმაც ლომოვის ჯარი დაიფრინა და დაამარცხა, ლაჩარი არ იყო. არსენამ მხოლოდ ის არ იცოდა, რომ ციხის შენებას მარტო ქვიშა და კირი ვერას უშველიდა. საჭირო იყო ხელმძღვანელი, მშენებელი, წარმმართველი. ეს კი ჯერ ისტორიის სარბიელზე არ ჩანდა. ამ დროს პროლეტარიატი მხოლოდ ის იყო ისახებოდა, მომავალში უნდა გაზრდილიყო, განვითარებულიყო და საბოლოოდ ჩამოყალიბებულიყო, ამ დროს ჯერ ისევ ბავშვობა, ბალღობა, ბავშვობა, ბალღობა, ბავშვობა, ბალღობა,

ბილი ჰაერი მარაბდელთა რისხვამ შეაზანზარა:

— მიდი! დაჰკა!“

თუ ამ ეპიზოდს ს. მთვარაძის მოთხრობას „ფალავანს“ შევადარებთ, აშკარაა შეჯიბრების ხასიათისა და არსის რადიკალური განსხვავება სოციალურად უსამართლო ეპოქასა და საბჭოთა ეპოქას შორის. სიმონ მთვარაძის მოთხრობაში ჭიდაობა ძალის, უნარისა და ცოდნის გამოცდაა და იგი ორგანულად უკავშირდება საერთო ინტერესებს, ქვეყნის, სამშობლოს სახელს. ამიტომაც ყოველგვარი შეჯიბრება სოციალისტურ სახელმწიფოში ატარებს უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივ ხასიათს. ამას მოწმობს ძმების ირაკლისა და ლევანის შეხვედრა. სხვადასხვა გუნდის წევრები ქვემძიმე წონის ფალავნები ირაკლი და ლევანი ფინალში ერთმანეთს უნდა დაეჭიდონ. ლევანი გარეკახეთის, ხოლო ირაკლი უნივერსიტეტის გუნდშია. ლევანს ვერ წარმოუდგენია შეეჭიდოს ძმას, რადგანაც ჰგონია, რომ დამარცხების შემთხვევაში ძმებს შორის სიძულვილი ჩამოვარდებოდა, რამდენადაც ორთაბრძოლაში ერთ-ერთი უეჭველად უნდა დამარცხდეს. ამიტომ ის უარს ამბობს ასპარეზობაზე. ირაკლი არწმუნებს მას, რომ ჭიდაობა ძალის გამოცდაა, მჯობნის მჯობნი არ დაილევა და უკეთესის გამორკვევა კი აუცილებელია, მაგრამ ლევანს არ სჯერა ირაკლისა. მაშინ ირაკლი გუნდიდან მოხსნით დაემუქრა ლევანს. ბოლოს, ლევანმა გადაწყვიტა იჭიდაოს, მაგრამ მხოლოდ ფორმალურად, მოჩვენებითად. მაშინ ირაკლიმ სხვა ხერხს მიმართა. ჭიდაობის პროცესში შეაგულიანა ძმა, ჩასძახა, რომ არ დაინდობს და არც ინდობს, გამეტებულად ებრძვის და აღიზიანებს ლევანს, რომელიც ბოლოსდაბოლოს მთელი შესაძლებლობით იწყებს ჭიდაობას და ამარცხებს კიდევაც სამგზის ფალავანს ირაკლის. ხალხი დიდი გულისყურითა და ინტერესით აღევნებდა თვალყურს ამ შესანიშნავ სანახაობას, ზეიმობდა „მჯობნის მჯობნის“ გამოჩენას.

შესანიშნავად ასახა მიხეილ ჯავახიშვილმა „არსენა მარაბდელში“ ჭიდაობის ეპიზოდით პიროვნული ინტერესების დაპირისპირებაც საერთო საზოგადოებრივ ინტერესებთან ფეოდალიზმის პირობებში.

მიხეილ ჯავახიშვილის ისტორიული რომანის „არსენა მარაბდელის“ ცალკეულ პერსონაჟთა ბედსა და ფსიქოლოგიაში მშვენივრად არის ნაჩვენები ხალხის ცხოვრება, ხალხის სახე, ხალხისა, რომელიც ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის უღელქვეშ იტანჯებოდა, მაგრამ ცხოვრების მძიმე უღელს მონურად ქედს კი არ უხრიდა, არამედ გაუღუნავი ნებისყოფითა და ვაჟკაცური შემართებით ებრძოდა საუკუნეობრივ ძალებს. ინარჩუნებდა ქართველობას, ინარჩუნებდა კაცური კაცის ნამდვილ თვისებებს, ემსახურებოდა მაღალ ზნეობას, სიმართლეს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან არსენა, ღვთისავარი, მაგდანა, ფიქრია, სევასტი, კარპიჩა, ოსტაპი, ზურა, ერეკლე და სხვ.

ბოროტებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ხალხის მარად შეუდრეკელი ნებისყოფა და ვაჟკაცობა მწერალმა არსენას მხატვრულ სახეში ორგანულად ჩააქსოვა და ნაწარმოების ექსპოზიციაშივე ცხადი გახადა იგი მკითხველისათვის.

ჭიდაობაში დამარცხებული მარაბდელები თავიანთ ბატონთან ზაალ ბარათაშვილთან ერთად არსენას მოუთმენლად ელოდებიან. არსენა მათი ერთადერთი იმედია. აი, ისიც გამოჩნდა: „—არსენას გაუმარჯოს!.. ბიჭო არსენ, სადა ხარ, სად დაიკარგე: ჰარიქა გვიშველე, თორემ გაგვლახეს, თავს ლაფი დაგვასხეს!“ ხალხი მის საუკეთესო შვილს შეხვდა, მის ძალას და იმედს შეჰხარის.

„თავმოშვებული ცხენი მხედარს ისე მოურიდებლად მიჰყავდა კარვისაკენ, თითქოს მის გარღვევას და ბატონების გატანას აპირებდაო... არსენამ აქაფებული ბედაური თითქმის ზედ მიაგდო... ბოძივით დაარჭო ცხენი და გადმოხტა, ისე გადმოხტა, რომ ვერავინ ვერ შეამჩნია, ცხენი უფრო ადრე შეჩერდა თუ მისი მხედარი გაჩნდა მიწაზე.

ასვეტილი არსენა უკვე ფეხდაფეხ მიდიოდა ზაალისაკენ — ტანგაშლილი, ლაღად და თამამად მიაბიჯებდა... ზაალმა ბოღმა ჩაიბრუნა. ისევ ის არსენა, ისევ თავხედი, თამამი, მოურიდებელი და მოუდრეკელი! ცხენი მხოლოდ ათ ნაბიჯზე შეაჩერა და ისე მიადგა ბატონს, როგორც თავის თანასწორს. ზაალს ახლაც ტოლსავით შესცქერის, წამწამებსაც არ ახამხამებს და კიდევაც იღიმება. ხალხი რკალსავით შემოერტყა კარავს“.

ეს ეპიზოდი უბადლო მხატვრული ოსტატობისა და სიმართლის შესანიშნავი ნიმუშია. უპირველეს ყოვლისა მასში ჩანს ორი მებრძოლი — ხალხისა, მეორე ერთი მუჯა ბატონების კარავი, რომელსაც ხალხი რკალსავით გარს შემორტყმია და ძალას უპირისპირებს. ეს ძალა არსენაა — ტანგაშლილი, ლაღი, თამამი, მოუდრეკელი.

ქართველი ხალხის გაუღუნავი ნებისყოფა შესანიშნავად ჩანს მაიორისაგან ხალხის გაჯოხვის სცენაშიც. ეკლესიის ეზოში, სადაც

ქართველთა საამაყო შვილები ცხრა ძმა ხერხეულიძეები იწვნენ, არსენამ ზარი ააკივლა, თავისუფლებისათვის მებრძოლთ უხმობდა. „სოფელი ჯერ გაუბედავად წამოვიდა, შემდეგ კი ნიაღვარივით მოვარდა“. ზარის ჩამოკვრაში ხალხი ერთმანეთს ეცილებოდა, რითაც გამოხატავდა ძალმომრეობის წინააღმდეგ თავის გულისწყრომას და დაგუბებული ბოღმის, შურისძიების გადმონთხევას ლამობდა. ყველაზე ბოლოს ცალთვალა დევი — ღვთისავარი მოვიდა და „პირდაპირ ზარს მიადგა, ისე ჩამოჰკრა სამჯერ, რომ ყველას გაუკვირდა, რატომ საბელი არ გაწყდა, ან ზარი არ დაიმსხვრა“. ღვთისავარმა რომ ზარი სამჯერ ჩამოჰკრა, ეს უბრალო დეტალი როდია. მრავალჭირნახული ღვთისავარიც იმ ცეცხლით იწვოდა, რამაც ეკლესიაზე შეგროვილი ხალხი შეაფიცხა და აადუღა, მაგრამ იცოდა, რომ ეს დუღილი ნაადრევი იყო და ცდილობდა ცეცხლი გაენელებინა. რა არ თქვა, როგორ არ ეცადა ღვთისავარი, მაგრამ ხალხის მღელვარება უფრო და უფრო მატულობდა, აშკარა იყო „სოფლის ხსენებაც კი აღარ დარჩებოდა“ და ღვთისავარმა შეგონებებს მიმართა. „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანო“, — დასძინა, მაგრამ როცა არსენამ უპასუხა „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, „ერთხელ სჯობია სიკვდილი ნიადაგ შეღონებასო“ და სხვა ამისთანანი, ღვთისავარი შეჩქვიფდა. აშკარა იყო, რომ ღმერთს კი არ გაუგიჟებია ხალხი, არამედ ძაღლურ ცხოვრებას საბრძოლველად მოემართნა და მას ვერც ღვთის მოგონება შეაჩერებდა და ვერც ჭკუის სწავლება.

„შვილი ჩემია, ჭკუა კი თავისი ჰქონიაო“, — დაასკვნა ღვთისავარმა. არსენას ჭკუაც ღვთისავარისა ჰქონდა, ნიჭიც, ვაჟკაცობაც, ზნეობაც, მაგრამ ცხოვრების ახალ გზას ეძებდა და მამაპაპათა ნავალს აღრმავებდა, აფართოებდა, აგრძელებდა, რაც მოხუც მამას უკვე აკრთობდა, აშინებდა ჯერ იმიტომაც, რომ მოხუცი იყო და, მეორეც, გამოცდილებით იცოდა ამ გზის შედეგი ცრემლი და აკლება, დარბევა და მოსპობა იყო.

მწერალმა ხალხის ნებისყოფის ჩვენება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მოხუცი ღვთისავარის მაგალითით დაიწყო. ეკლესიის ეზოში თავმოყრილ ხალხს მაიორმა, მისმა ჯარმა და ბატონ-მოურავმა ალყა შემოარტყეს და თავკაცებიდან რამდენიმე იქვე გააჯოხინეს. მათ შორის ღვთისავარიც იყო.

„...ცალთვალას ვერ ამოაღებინეს კრინტი. რათა არ შერცხვენილიყო და არ დაეყვირა, პირში მოკლე სახრე ჩაედო და ნახევარი უკვე დაეღრღნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე გვერდით მას ერეკლე, შუბი და ამა დროგამოშვებით უძახის შვილს:

— შვილო, თავი არ მომჭრა!.. არ დაიყვირო!

წკეპლის ცხრა კონა კი ცხრა საფლავზე ისევ ზუის, ხერხეულიძეთა ქვებს წითლად ღებავს და ცხრა კაცის სისხლი იმავე შავს მიწას უბრუნდება, საიდანაც წამოსულა... ცხრა საფლავიდან რვა უგონო გვამი ასწიეს, მეცხრემ კი, ცალთვალამ, თითონვე წამოიწია, ისევ დაეცა, შეფართხალდა, მაგრამ მაინც წამოდგა და მაღალი ხმით დაიხრიალა:

— ხალხო, ახია ჩემზე, ახი!“

ეს უკანასკნელი სიტყვები გამოხატავს ღვთისავარის სინანულს იმის გამო, რომ სცადა ხალხის შეჩერება. მან ერთხელ კიდევ იგემა ბოროტების საშინელი შეტევა და საბოლოოდ იმ გზას დაადგა, რომელიც ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის მოსპობისაკენ მიემართებოდა.

არსენასა და ღვთისავარის გზა მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ყმა გლეხების ისტორიული გზაა. „ამ პერიოდში ქართველი გლეხობა,— წერს აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, — იბრძოდა იმ შევიწროებათა წინააღმდეგ, ახალი ხელისუფლების (თვითმპყრობელობის — ნ. დ.) დამყარებას რომ შემოჰყვა ჩვენში, იბრძოდა იმ უჩვეულო და მძიმე ბეგარა-გადასახადების წინააღმდეგ, ახალმა ხელისუფლებამ რომ დააკისრა მას.“[1] ცხადია, ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული განაპირა მხარეთა გლეხობის აჯანყებანი თავისთავად ბატონყმობის წინააღმდეგ, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტს მოასწავებდა. აჯანყებული გლეხობის ტიპობრივი წარმომადგენლები არსენა და ღვთისავარი შეუპოვარი ძალისა და რკინისებური ნებისყოფით დახატა მიხეილ ჯავახიშვილმა და ამით მიუთითა, რომ ამ ძალისა და ნებისყოფის მატარებელი ხალხი მიაღწევდა მიზანს, მოიპოვებდა თავისუფლებას.

არსენას რაზმის წევრებია მაგდანა და ფიქრია. ამით მწერალი ხაზს უსვამს აჯანყების მასობრივ ხასიათს და მამაკაცებთან ერთად ქალების პროტესტსაც გადმოგვცემს.

მაგდანა განზოგადებული სახეა ყმა გლეხი ქალისა. რა არ გამოსცადა მაგდანამ თავისთავზე. ისიც გააფთრებულია და შურისძიებით ანთებული. მიუხედავად მრავალგვარი ტანჯვისა და გაქელვისა, მაგდანას პიროვნება მაინც

1. ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის,“ „მნათობი“, № 5, გვ. 124, 1954 წ.

შეუბღალავი და მართალი სინდისით დახატა მწერალმა. გაუტეხელი, პირდაპირი, გულადი მაგდანა რომანში ბატონების ბრალმდებლად და მოსამართლედ გვევლინება.

ლაცაბიძისა და მაგდანას ხელმძღვანელობით შეფიცულნი ზაალ ბარათაშვილს თავს დაესხნენ და ანგარიშს უსწორებენ. მაგრამ ზაალის ანკესზე წამოეგო გლეხობა და თითქოს უკან იხევს.

„ამ დროს შავი ქვრივი წამოდგა წინ. და თვალები ორი შავი მახვილივით ააციმციმა.

— ძმებო, აქ იმისათვის კი არ ჩამოვსულვართ, რომ ჩვენივე დამღუპველ ბატონს ვკითხოთ, ბრალიანია ის თუ უბრალო... სამართალი ზემოთ მთებში ვქენით და ახლა შესასრულებლად ჩამოვედით, ან რა სამართალი უნდა ამ ბატონსა! შარშანდელიც და უწინდელიც რომ დავივიწყოთ, წლევანდელს სადღა წაუვა“.

მაგდანა ბატონის ბინძურ ნამოქმედარს ფარდას ხდის, მტარვალ ბატონს პირისპირ უდგას და მიწასთან ასწორებს. მის ბრალდებებს კი ხალხი ადასტურებს. მაგდანას პირით ხალხი ბრალს დებს ბატონს და მის მოურავს აკაზაკობაში, მტაცებლობაში, მუხანათობაში, მხეცობაში, ყოველგვარ ბოროტებაში და ბოლოს სამართალსაც გადაწყვეტს, განაჩენი გამოაქვს:

„ბარათაშვილო, ახლავე დაურიგე ხალხს ყველაფერი, რაც კი გაბადია — საქონელი, ჭირნახული, ჭურჭელი, სიგელები, ავეჯიც და ფულიც, და ღმერთს მადლობა გადაუხადე თუ ცოცხალი გადაგვირჩი...“ ხალხმა ბატონის ქონება დაინაწილა და ცეცხლი წაუკიდა საბატონოს, ამოსწვავდნენ კიდევაც ყველაფერს, არსენას რომ არ ეხსნა. ქვრივი მაგდანა შურისმაძიებელია, მაგრამ მის გაბოროტებას სოციალური საფუძველი აქვს და ამდენად მაგდანაც ერთ-ერთი მკვეთრი სახეა ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ქალთა მხატვრულ გალერიაში.

საინტერესოა ფიქრიას მხატვრული სახეც. ფიქრია ბატონყმობისდროინდელი ყმა გლეხი ქალიშვილების ტიპობრივი წარმომადგენელია. ყმა ქალიშვილების ხვედრი ბატონყმურ საქართველოში ცხოველური ყოფა იყო, მათი ნამუსიც კი ბატონს ეკუთვნოდა. ფიქრიას ცხოვრებაცა და ფსიქოლოგიაც მწერალმა ტიპობრივ გარემოში დახატა და, რაც მთავარია, გვიჩვენა, თუ რა წმინდათაწმინდაა ქართველი გლეხის ქალიშვილისათვის სინდისის, ნამუსის დაცვა შედარებით ბატონის ქალიშვილთან (მხედველობაში გვაქვს დარო, ზაალის ქალიშვილი და მისი დამოკიდებულება მაიორთან — ნ. დ.) და რა ძვირად უჯდებოდა გლეხის ქალს თავისი ქალური ღირსების დაცვა, პატიოსნების გადარჩენა. ფიქრიას ხასიათი, მისი მებრძოლი ბუნება, ვაჟკაცური შემართება შეპირობებულია მისივე ცხოვრების პირობებთან, გარემოსთან, სხვა გზა გლეხი ქალიშვილისათვის არ ისახებოდა. იარაღით ხელში ბრძოლა მტარვალთ წინააღმდეგ თუ იხსნიდა მას მორალურად. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ამ გზაზე ფიზიკურად დაიღუპოს, მაინც ეს უკანასკნელი ურჩევნია და ფიქრიაც ამ გზას აირჩევს, იარაღს აისხამს და ტყეს შეეფარება.

როგორც ფიქრიას, ისე ხალხის ყველა სხვა წარმომადგენლის მხატვრული სახე უპირველეს ყოვლისა იმითაა აღსანიშნავი, რომ მწერალი თვითეული მათგანის ფსიქოლოგიასა და ხასიათს ცხოვრების სოციალური საფუძვლით პირობებს, რაც დიდ მხატვრულ დამაჯერებლობას აძლევს მათ.

მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში“ ხალხი — ეს არის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ამხედრებული მძლავრი ძალა, იგი იბრძვის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის და, მიუხედავად არსენას დამარცხებისა, სრულიად აშკარაა, რომ ხალხი აუცილებლად გაიმარჯვებს, აუცილებლად მიაღწევს საწადელს. ამაშია რომანის დიდი იდეური ღირებულება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ხუხაშვილი

თანამედროვე პოეზიის ზოგიერთი თავისებურების შესახებ*

დღევანდელ ჩვენს პოეზიას ორმოცწლიანი ბიოგრაფია აქვს. ესაა პოეზია ახალი დროისა, სრულიად ახლებური სულიერი სამყაროს მქონე ადამიანისა. ისე როგორც მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ყოფა, თანამედროვე პოეზიაც რევოლუციურ ბრძოლებში დაიბადა, მისი განვითარება დიდმა სოციალურმა გარდაქმნებმა განსაზღვრა, საერთოდ, და ფსიქოლოგიურად ახალი ადამიანის დაბადებამ, კერძოდ. ამიტომაც ამ ხელოვნების, ახალი პოეზიის პირველი დიდი სიტყვა იყო რევოლუცია. ეს მაღალი იდეალი ახალი საზოგადოების შექმნისა განსაზღვრავდა ახალი ადამიანის მსოფლმხედველობას და ამდენად პოეზიასაც. ამავე დროს თანამედროვე პოეზია ორგანულად უკავშირდება კლასიკურ მწერლობას, როგორც მისი ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე. ის, რაც ცოცხალია და არა მუმია წარსულის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, კანონზომიერად განაგრძობს განვითარებას დღევანდელ პოეზიაშიც, მაგრამ ახალი პოეტური ხელოვნება არ იცნობს ეპიგონურ სულს.

მკაფიოდ გამოიკვეთა თანამედროვე პოეზიის საერთო სტილი, მისი მთავარი ტენდენციებისა და იდეების სფერო, ჩამოყალიბდა მისი პათოსი, როგორც გამოხატულება ახალი ადამიანის სულიერი აღნაგობისა. თავისუფალი შრომის ოპტიმისტური სულისკვეთების პიროვნება, ძლიერი და დრამატული ადამიანი გახდა ამ მაღალი პოეზიის ლირიკული გმირი.

ეჭვგარეშეა, რომ ჩვენ ახლაც გვიხდება უგემოვნობით დაღდასმული შაბლონური ლექსების კითხვა. ამიტომაც ზოგს გაღარიბებულად ეჩვენება ჩვენი დროის პოეტური კულტურა. არასოდეს პოეტური აზროვნების ეკვივალენტად არ აუღიათ უნიჭო ლექსები, არც ჩვენი დროის პოეტური კულტურის საზომად გამოდგებიან ისინი.

პოეზიასაც აქვს თავისი მუზეუმი, სადაც ბრძოლაგადახდილი ლექსები განვლილი დღეების სიდიადეზე მეტყველებენ. მთავარი ისაა — გრძნობდე ამგვარი პოეზიის მოქალაქეობრივ სიდიადეს და კრძალვით ეხებოდე მას, როგორც უძვირფასეს რელიქვიას. ამავე დროს არ შეიძლება არ იგრძნო დღევანდელი ლიტერატურული პროცესი, როგორც განუწყვეტელი მდინარება, ახალი ფორმების ძიება-დამკვიდრება. პოეზიაშიც არის მეტნაკლები აზვირთების პერიოდები, მაგრამ მისი დინება ისევე განუწყვეტელია, როგორც სიცოცხლე. საკმარისია ითქვას, რომ თანამედროვე პოეზიაში სკულპტურულად გამოიკვეთება ახალი ადამიანის ფიგურა, არსებითად გაიხსნება მისი ხასიათის ძირითადი ნიშნები. ამან განაპირობა ახალი მხატვრული ფორმების წარმოქმნაც. მაგრამ ზოგს კლასიკოსებისადმი ერთგულება ისე აბრმავებს, რომ ამ სიახლეს ვეღარ ხედავს. აბა რა გამოვა იმითი, მოვდგეთ და ვიძახოთ — კლასიკოსები დიდი პოეტები იყვნენ, ჩვენ კი მათი აჩრდილებიც არა ვართო. მოკრძალებაცაა და მოკრძალებაც.

ჩვენი ცხოვრების კანონზომიერება განაპირობებს ახალი სიღრმეების აღმოჩენას პოეზიაში. ამ რთული ევოლუციის პროცესში ბევრი რამ ძველდება და დაბრკოლებად იქ-

* საკითხის განხილვის წესით.

ცევა. ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ არ იყო მნიშვნელობას მოკლებული, ხვალ შეიძლება მოძველებული აღმოჩნდეს. ჩვენი დროის ყველა ნამდვილი პოეტი გრძნობს, რომ პოეტური შემოქმედება სიძნელითა და სირთულით მართლაც რადიუმის მოპოვებას უტოლდება. გრანიტივით მყარი მხატვრული ფორმის შექმნა დღევანდელი ხელოვანისაგან ამიტომაც მოითხოვს მაძიებლის და ნოვატორის ტიტანურ ძალასა და ნებისყოფას. სამართლიანად ამბობდა მაიაკოვსკი, არც ერთ დიდ ხელოვანს არ აურჩევია გათელილი და იოლი გზა.

მკაფიოდ გამოიკვეთა რა დღევანდელი პოეზიის პოზიტიური და ნეგატიური ნიშანთვისება, სავსებით ბუნებრივია გულახდილი, პრინციპული მსჯელობა თანამედროვე პოეზიის რთულ ევოლუციაში გასარკვევად. ამისათვის საჭიროა ათეული წლებით უკან გახედვა და წარსულის განჭვრეტა დღევანდელი კაცის ფხიზელი თვალით. ერთ-ერთ ასეთი ხასიათის პოლემიკურ წერილად მიმაჩნია გურამ ასათიანის „შენიშვნები თანამედროვე პოეტიკის შესახებ“ („ცისკარი“, № 1, 1957 წ.). შეიძლება ზოგი რამ სადაოდ და არაზუსტად მოგვეჩვენოს ამ წერილში, მაგრამ ერთი რამ ეჭვგარეშეა: იგი თანამედროვე პოეზიის ღრმა სიყვარულის ნაყოფია. მე რომ კაცმა მკითხოს, შეუძლებელია პოეტიკაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით ნათელყოთ თანამედროვე პოეზიის ევოლუცია. დასკვნების გაკეთება ამ სფეროშიც არანაკლებ საჭიროა ჩვენი პოეზიის ბუნების ახსნა-დასაბუთებისათვის. პოეტიკა, როგორც ერთიანობა სტილისა, საყოველთაო მხატვრული ხერხებისა და პრინციპებისა, თავისთავად შედეგია, საბოლოო სახეა და არა მიზეზი შემოქმედებითი პროცესისა. ვფიქრობ, არანაკლებ საინტერესოა ის იმპულსები, რომლებმაც განსაზღვრა თანამედროვე პოეტური კულტურის არსებითი თავისებურებანი. ამას გ. ასათიანიც აღიარებს: „...მთავარი ისაა, რომ ეს ცვლილება ქართულს პოეტიკაში მოხდა, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ გამოიცვალა, ვართულდა და გამდიდრდა თვით თანამედროვე ქართველი ადამიანის სულიერი სამყარო“. პოეტური აზროვნების ახლებური ხერხებიც, რა თქმა უნდა, ახალი ადამიანის ფსიქოლოგიისა და ესთეტიკური კულტურის შესაბამისად განვითარდა.

გადავიხედოთ XX საუკუნის პირველ წლებში. რევოლუციური მასების საერთო მიდრეკილება დრომოჭმული სოციალური წყობის გარდაქმნისაკენ იწვევდა კანონზომიერ გამოძახილს ხელოვნებაში, კერძოდ პოეზიაში. მაგრამ ინდივიდუალისტური ფილოსოფიის მკვეთრი ზეგავლენის შედეგად [illegible] დიდი ნაწილი კონსერვატულ [illegible] რჩებოდა. მართალია, ამ დროს ღონიერდებოდა პროლეტარული მწერლობა, ღრმავდებოდა რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები, მაქსიმ გორკი ქმნიდა თავის ღირსშესანიშნავ ქმნილებებს, რუსეთმა უკვე გაიგონა „ქარიშხალას“ სიმღერა და იყნოსა ახალი გრიგალის მოახლოება, მაგრამ პოეტების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სალონების კედლებს არ გასცილებოდა. პოეტის გული ისტორიის ბარომეტრია, — თქვა ოდესღაც ჰაინრიხ ჰაინემ. და ეს გული ქუთაისის გიმნაზიის კედლებში გრძნობდა 1905 წელს უდიდესი ქარტეხილის სიახლოვეს. ვლადიმერ მაიაკოვსკის პირველსავე ლექსებში გაისმა ახალი პოეზიის ხმები. საქართველოში ამ დროს უკანასკნელად გალობდა „ბრძენი ბულბული“, გენიალურ პოემებს ასრულებდა ჩარგლის ღამეებში ვაჟა-ფშაველა.

ამ დროს საზოგადოებრივი ცხოვრების ფერისცვალებასთან ერთად იწყება პოეზიის ფორმების ძიება-განახლება. ცხრაასხუთიან წლებში გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას ამჩნევია კლასიკური ლირიკის ძლიერი გავლენა, სამშობლოს, ერის სიყვარული აქ ინერციის ძალით კვლავ ასაზრდოებს პოეტის შთაგონებას. მაგრამ გაიარა ცხრაასხუთმა წელმა. ბარიკადებიდან ლტოლვილმა ხელოვნებამ სალონების მყუდროებას შეაფარა თავი. შემზადდა ნიადაგი მოდერნიზმისათვის ჩვენშიც და რუსეთშიც. ესაა პოეზიის სფეროს უჩვეულო დავიწროების, სუბიექტური განცდა-განწყობილებების გამოხატვის პერიოდი, ესაა ჟამი საკუთარ თავში ჩაძირვისა, როდესაც პოეტი ამბობს: „მე ვარ სამყარო“ (ბალმონტი). ამ დროს ბოდლერის „ბოროტების ყვავილების“ შხამიანმა სურნელებამ გაჟღინთა პოეზიის ატმოსფერო, ქუთაისის ბულვარსა თუ თბილისის რესტორანებში თავშეყრილი „ცისფერყანწელები“ პოლ ვერლენის, არტურ რემბოსა და მალარმეს ძმებად აცხადებენ თავს. თანდათანობით ღრმავდება ნაპრალი რევოლუციურ მასებსა და ხელოვნებას შორის. პოეზია მოწყდა სინამდვილეს და ფორმის თვითმიზნურ ძიებაში ჩაეშვა.

როდი ვივიწყებთ იმასაც, რომ ამ პერიოდში რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის გამოჩენილი წარმომადგენლებიც იყვნენ, რომელთა პათეტიკური სიმღერების ხმა ბარიკადების შემდეგ საკატორღო გზებიდან და ციმბირის მაღაროებიდან დაგუბებული მოისმოდა. საქართველოშიც ახსოვდათ ი. ევდოშვილისა და ნ. ჩხიკვაძის მგზნებარე ლექსები, მაგრამ ამ პო-

ეტთა ლირიკა არსებითად პირდაპირი გაგრძელება იყო მეცხრამეტე საუკუნის პოეზიისა. თუ მანამდე ჩვენი პოეზიის ხასიათს უმთავრესად ხალხსნური ტენდენციები განსაზღვრავდნენ, მოვიდნენ ლიტერატურაში მუშათა კლასის ახალი ხელოვნების შემოქმედნიც. ამ მხრივ ძალზე თავისებური მოვლენა იყო ქართულ პოეზიაში გიორგი ქუჩიშვილის პოეტური ფიგურა. პროლეტარულ მწერლობაში ამ პოეტს ყველაზე რელიეფურად ემჩნეოდა რევოლუციური მოძრაობის პათოსიც და განსხვავებული მხატვრული ფორმაც. ამ პოეტთა, მათი სოციალური თუ ესთეტიკური პრინციპების ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებდა ბიოგრაფიული მომენტიც. დათრგუნულ ადამიანთა მწარე ხვედრის გაზიარებამ ასაზრდოვა მათი რევოლუციური ჰუმანიზმი. იგი ცხოვრების შესწავლისა და გაცნობის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

რევოლუციურ ხელოვნებას ჰყავდა მტრებიც და მაყურებლებიც. იყვნენ თეთრხელთათმანიანი პოეტებიც, იყვნენ დაბნეულნიც. XX საუკუნის გარიჟრაჟზე ჩნდება პოეტების ერთი ნაწილი, მოქცეული ინდივიდუალისტური ფილოსოფიის ზეგავლენაში. უპერსპექტიობისა და უიმედობის ბურუსში გახვეულნი, ისინი ვერ პოულობენ სინამდვილესთან მისასვლელ გზებს. გორკის გამოთქმით, ესენი არიან საუკუნის „ცდომილი შვილნი“, რომელთა დარღვეული სულისათვის უცხოა ახალი დროის ჟრიამული.

მეორენი კი ორგანულად არ არიან დაკავშირებული დეკადენტურ მწერლობასთან, მაგრამ დროებით მაინც მიკედლებიან მას. ესაა დიდი უმრავლესობა შემდგომში ცნობილი საბჭოთა პოეტებისა რუსეთშიც და საქართველოშიც. დეკადენტური გავლენანი მათი შემოქმედების ადრეულ პერიოდში **ლიტერატურაშინულ ხასიათს უფრო ატარებს,** მწიგნობრული უფროა, ვიდრე ცხოვრებისეული. ლიტერატურულ გავლენებთან ერთად მათს პოეზიაში იმთავითვე შეინიშნება ხალხურ საწყისებთან სიახლოე, კლასიკური პოეზიის ტრადიციებთან თუმცა შორეული, მაგრამ მაინც საგრძნობი კავშირი. ერთი მხრივ, ინდივიდუალისტური მსოფლშეგრძნება, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური და ეროვნული პრობლემებით ცხოველი დაინტერესება ქმნის ამ პოეტთა შემოქმედების წინააღმდეგობრივ ხასიათს. ამგვარი პოეტები იყვნენ რუსეთში ალ. ბლოკი და ს. ესენინი.

მეოცე საუკუნესთან ერთად იბადება ახალი ადამიანი. იგი ხდება რევოლუციის შემოქმედი, წარსულის კულტურულ ღირსებათა შემფასებელი. ახალი ადამიანი მკაცრად მიჯნავს პოზიციებს ცხოვრებაში. ცხრაასხუთ წლიან ბურუსში ცდილობს განჭვრიტოს ცხრაასჩვიდმეტი წელი. ამ ადამიანის გარშემო ბობოქრობს რევოლუციის დიდი ეპოქა. ჩნდებიან მისი პირველი მომღერლებიც. და ამ ახალი პოეზიის გოლიათი იყო ვლადიმერ მაიაკოვსკი, მომავალში უდიდესი პოეტი რევოლუციისა. იგი ამაყად ეკამათება ღმერთს, ფაუსტის ფილოსოფიას, დასცინის ინტელიგენტის ფილისტერულ თვითდამშვიდებას. ამჯობინებს სიმღერების ქუჩაში გატანას, ჭირისდღესავით ეჯავრება ფსევდორომანტიკულ ტონზე ამღერებული პოეტები — „ადამიანის ზომის ჩიტები“, გაწუწული საკუთარი ცრემლების ფრქვევით. ახალი ეპოქის გიგანტურ ძვრებს ვეღარ დაიტევს ტკბილხმოვანი ჩანგი ლირიკისა, ახალი სიმღერების დაკვრა ძნელად თუ მოხერხდება ძველ საკრავზე. ამიტომ თვითონ პოეზიის ინსტრუმენტი საჭიროებს შეცვლას ახალი მრავალფეროვანი ორკესტრის შესაქმნელად.

და მაიაკოვსკი ქმნის კიდეც ახალ პოეზიას. ლირიკული მეტყველების ახალ ფორმებს. იშვიათად თუ ახსოვს ისტორიას მსგავსი რევოლუცია პოეტურ აზროვნებაში. ეს იყო სრულიად ახალი ლირიკის დასაბამიც და მაღალი ტრადიციებისადმი უანგარო ერთგულებაც.

ეს მებრძოლი პოეზია, პოეზია შემტევი კლასისა არყევდა კამერული, არისტოკრატიული ლირიკის ნესტიან კედლებს. იგი მომავლის სახელით არბევდა მოჩვენებითს ეგზოტიკას, „ორტისტულ ყვავილებს“, ვეღარ ეგუებოდა ნაღსონის მელანქოლიას, ბალმონტის ეფემერულ სამყაროს. ფუტურიზმთან დროებით დააკავშირა მაიაკოვსკი დახავსებული წარსულის სიძულვილმა. მაგრამ იგი შორს იყო ხლებნიკოვის მისტიციზმისაგან. იგი მოდიოდა გოლიათივით გაკლავებგაშლილი და მღეროდა ახალ სიმღერას. და ეს იყო სიმღერა, რომელიც ათასეულ კილომეტრზე უნდა წაეღო რადიოტალღებს, მილიონიანი ტირაჟის წიგნებად შეჭრილიყო ბიბლიოთეკებში, სტადიონებზე, მრავალათასიან ეტრადაზე, ხალხით გაჭედილი თეატრების სცენიდან ამეტყველებულიყო. კაცი, რომელიც ქმნიდა ამ ახალ პოეზიას, არ მერყეობდა ეპოქის წინაშე. „ჩემი რევოლუციაა. წავედი სმოლნში“, — თქვა მან 1917 წელს.

მაგრამ ყველა პოეტი რევოლუციის პირველი დღეებიდანვე როდი მისულა ბარიკადებამდე. ზოგჯერ ეს გზა არისტოკრატიულ სალონებში ან ბოჰემურ კაბარეებზე გადიოდა. ეს იყო მერყეობა ადამიანთა, რომელთაც იმთავითვე არ ეყოთ ძალა მებრძოლნი გამხდარიყვნენ. ამ მე-

რეობასა და შინაგან წინააღმდეგობებში მეჟღავნდებოდა ხელოვანის დრამა. ასეთი დრამა განიცადეს რევოლუციამდე ესენინმა და ბლოკმა რუსეთში, ტიციან ტაბიძემ და სხვებმა საქართველოში.

ამრიგად, რევოლუციის წინა წლებში მკაფიოდ იგრძნობოდა გემოვნებათა მრავალნაირობაც. და ამ მრავალნაირობაში **იყო მთავარი მდინარება** რევოლუციური აზროვნებისა, რომელიც თანდათანობით თავისკენ იზიდავდა ყოველივე მზარდსა და მშვენიერს, ხალხის ნებისყოფას უმორჩილებდა პოეზიის გაქანებას. ესენი იყვნენ ადამიანები, რომელთათვისაც რევოლუცია აღმოჩნდა სასურველი სტიქია, როგორც ზღვა მეზღვაურისათვის. თანდათანობით ისტორიას ბარდებოდა ფუტურიზმი და სიმბოლიზმი, იწმინდებოდა მღვრიე ნაკადები, მძლავრდებოდა სოციალისტური ლირიკის მთავარი მდინარება.

ახალი ეპოქა დაიბადა მკაცრ ბრძოლებში დიდი ტკივილებისა და მღელვარებათა შედეგად. ამ დიდმა ტკივილებმა და მღელვარებამ განსაზღვრა თანამედროვე პოეზიის ხასიათიც. თვით დროის დაძაბულობა ამძაფრებდა ლექსებს, საუკუნის ჟრუანტელი და ყიჟინი გადადიოდა ლირიკაში. ახალი იდეები და განწყობილებანი ახლებურ ფორმას მოითხოვდნენ და ბუნებრივად დგებოდა საკითხი მხატვრული კულტურის განახლებისა. ამ გაქანებას ჰქონდა ნეგატიური მხარეც: ფუტურისტების ანარქისტული მიდგომა ფორმისადმი, სიმბოლისტების ირრაციონალობა და მისტიციზმის ათასნაირი უცნაურობანი, გართულებული ასოციაციები. მაგრამ თვით ამ ტენდენციებში გამოიკვეთა რეალისტური მხატვრული ხერხებიც, წარსულის ტრადიციებზე აღმოცენებული პოეტური ფორმები. თვითონ თემატიკის შეცვლამ, პოეზიის შინაარსობლივმა განახლებამ განსაზღვრა საერთო სტილი თანამედროვე პოეზიისა მისი დაბადების პირველი წლებიდანვე.

* * *

უმთავრესად სოფლური ყოფა, სოფლის პეიზაჟები დამკვიდრდა მეცხრამეტე საუკუნის ლირიკაში. მართალია, აკაკი წერეთლის უბრწყინვალესი ლექსი „განთიადი" და ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური ლირიკა მთაწმინდისა და მტკვრის ნაპირებით იყო შთაგონებული, მაგრამ არსებითად მაინც ქალაქური ცხოვრების ხმები და ფერები მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში შეიჭრა პოეზიაში.

ქალაქური გარემოს გამოხატვა ლირიკულ სურათებში ძირითადად ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის თემას დაუკავშირდა.

გ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, ა. აბაშელის, ტ. ტაბიძის ლირიკულ შედევრებში ვხედავთ ახალ გარემოს, ვგრძნობთ ახალ [illegible] სულს. მღელვარე ქუჩების, პროსპექტების ფონზე ახლებურ პოზაში ჩანან ადამიანები: ხიდზე მოსიარულენი, ტრამვაის გაჩერებებთან მდგომნი, მატარებლის ფანჯრებიდან მზირალნი, ბარიკადებთან მისულნი თუ კაფეშანტანებსა და რესტორანებში თავდავიწყების ზაძიებელნი. და ეს ყველაფერი დანახულია იმ ადამიანის თვალით, რომელიც გულდაგულ უსმენს ეპოქის მაჯისცემას, თვითონაა იმ დღეთა მღელვარე მონაწილე, როცა ჩვენ გავიარეთ ლაბირინთები და ქაოსიდან გზებზე გავედით.

შემთხვევითი არაა გ. ტაბიძის ცნობილ ლექსში „ისევ ეფემერა" ემილ ვერჰარნის — ევროპული ქალაქის ამ დიდი მომღერლის — გახსენება; მანქანების ბორბლების ხმაური, ქარხნების საყვირების კივილი, გვირაბებში დაძრული ვაგონეტების ხმები შეიჭრა პოეზიის შინაგან მუსიკაში, როგორც ბრძოლისა და შრომის გმირული სიმფონიის გამოხატულება. გ. ტაბიძის „დაჰკა წერაქვისა" და ა. მირცხულავას „დამკვრელი ბრიგადების" შინაგანი რიტმი სწორედ ეპოქის გაქანებამ წარმოშვა.

უბრალო ყოფითი ჩანახატები, ახლებური მელოდიები ქმნიან ახალი გარემოს სრულ შთაბეჭდილებას. ამ ლირიკულ შედევრებში შევხვდებით სიტყვებს: ტელეფონი, რენტგენი, რადიო. და ეს მოხდენილად ზის ლირიკულ ქარგაში, როგორც ოდესღაც ბუნებრივად ჟღერდა ლექსებში სიტყვები ეტლი ან კარეტა. პოეტის მხედველობის არეში რაღაც სათუთ მოგონებასთან თუ განწყობილებასთან ერთად ჩნდება დღევანდელი სოფლებისა თუ ქალაქების ხედები. თანამედროვე ქუჩების ფონზე სიონის ტაძარი, ქაშუეთი, ნარიყალა და ახალი ხიდების ფეხქვეშ გართხმული მტკვარი დანახულია დღევანდელი მგზნებარე რომანტიკის თვალით. თანაც ეს არაა ქალაქის ურბანისტული აღქმა. თანამედროვე ქალაქის პოეტურ სურათებში მოჩანს ბურუსიანი შემოდგომის დღეები, აფორიაქებულ ფოთლებში თუ ხიდზე თოვლის ცვენაში მოსიარულე პოეტის ლანდი. ზოგჯერ ამ სურათებში არის ბუნდოვნება, უპერსპექტიობისა და მელანქოლიის განწყობილება. ახალი თბილისის პეიზაჟებში კი მხიარული ფერებია ამეტყველებული და გამარჯვებული კაცის ფრთაშესხმული სიხარულითაა ამღერებული ყოველი სურათი. თანამედროვე ქალაქის მსგავს სურათებს არ იცნობდა მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზია. ეს მთლიანად ჩვენი ცხოვრების პირდაპირი ნაყოფია, სრულიად ახალი

სახეების, ფერებისა და ხმების მომცველი ლირიკაა.

ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქალაქი ქართველ პოეტებში ერთნაირ გამოძახილს არ პოულობდა და ყველა პოეტი თავისებურად გამოხატავდა მას. გ. ტაბიძის მაგალითზე ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ გვეჩვენებინა ის შინაარსობლივი და ფორმისეული სიახლე, რაც ქალაქის თემამ შეიტანა ახალ პოეზიაში. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ თავისებური რომანტიკული აღქმა წარმავალი გარდასული საუკუნისა და ეროგვარი სკეპტიკური მიდგომა ქალაქური ცივილიზაციისადმი. ზოგი პოეტის შემოქმედებაში ქალაქური ყოფა ნეგატიურად აისახა. ვინ არ იცის, რომ ი. გრიშაშვილმა თავის ლექსებში უმღერა ძველ თბილისს, რომანტიკული სევდიანობით გამოიტირა ყარაჩოხელების, ცისფერი სუფრის, დაფა-ზურნის, ჩარდახიანი სახლების, მოჭიდავე ყოჩებისა და ელამი მიკიტნების დროინდელი თბილისი. ძველი თბილისის კოლორიტულ სურათებში, რომლებიც ასე მოგვაგონებს ლ. გუდიაშვილის ოციანი წლების ნამუშევრებს, რომანტიკულ ფერებში გაცოცხლებული ყოფა, ეგზოტიკური ფერადოვნება აზიური ქალაქისა იყო ერთგვარი კონტრასტი ახალი თბილისისა, რომელიც აშკარად ატარებდა დიდი სოციალური გარდაქმნის დაღს. აქ არ შევუდგებით იმის განსჯას, თუ რამდენად პროგრესული იყო მსოფლმხედველობრივად ძველი თბილისის რომანტიკა ჩვენს პოეზიაში. მაგრამ უცილოა ის, რომ ძველი და ახალი თბილისის კონტრასტულმა სურათებმა, მანამდე უცნობი განწყობილებითა და განცდებით აღბეჭდილმა ლირიკულმა ეტიუდებმა სრულიად ახლებური ჟღერადობა და ფერადოვნება შემოიტანეს ქართულ პოეზიაში.

ნ. ბარათაშვილის პოეზიიდან მოდის ინტელიგენტური განწყობილებების მქონე მოაზროვნე ადამიანის ლირიკულ-ფილოსოფიური ტონი, რომელიც შემდეგ არაჩვეულებრივი სიმძლავრით თავს იჩენს თანამედროვე პოეზიაში. დიდი ემოციური ძალის შემცველი ფილოსოფიური მსჯელობაა დამახასიათებელი ამ ინტონაციისათვის და მკითხველთან საუბრის ელეგიური კილო და ინტელიგენტური თავდაჭერილობა ქმნის მის თავისებურ ჟღერადობას. ეს ხაზი პოეტური შემოქმედებისა ხან იკარგებოდა მეცხრამეტე საუკუნის მხატვრულ სამყაროში, ხან გამოჩნდებოდა ხოლმე. მეოცე საუკუნის დამდეგს კი ქალაქური ცხოვრების უჩვეულო განვითარებასთან ერთად იგი დამკვიდრდა ქართველი პოეტების ერთ ნაწილში. ამ ინტონაციის ბრწყინვალე ნიმუშია ჩვენში გალაკტიონ ტაბიძე, რომლის პოეზიაში ... ქტუალიზებული ლირიკის იშვიათი ნიმუშებია წარმოდგენილი და დიდ ემოციურ ძალასთან ერთად საგრძნობია ფილოსოფიური სიღრმეც.

ასევე პირობითად შეიძლება ვალიაროთ მეორე ინტონაციური ხაზის არსებობაც ჩვენს პოეზიაში. ესაა სოფლური ყოფის, სოფლელი ადამიანის შეუფერავი მგზნებარებისა და უშუალობის გამომხატველი ვაჟკაცური კილო, გლეხკაცური გულახდილობისა და ამღერების პოეზია, რომლის შორეული სათავეები უთუოდ ფოლკლორში უნდა ვეძიოთ. ტონი ამ ახალი, თავისებური ლირიკისა უფრო აქეთ ფესვებს იდგამს გრ. ორბელიანის საოცარი ექსპრესიის შემცველ ლექსებში, ხოლო ჩვენ დროში თავის სრულყოფას გ. ლეონიძისა და ტ. ტაბიძის პოეზიაში აღწევს. მასში ქართული ლანდშაფტით შთაგონებული შეუკავებელი აღტყინება, ადამიანის სულის უჩვეულო ბობოქრობაა საგრძნობი. „თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“. თავისებური საწყისია ამ ომახიანი ამღერებისა. თუ პირველი ინტონაცია შედარებით მშვიდი მდინარებით, მაგრამ რთული ინტელექტუალური სიღრმეებით ხასიათდება, მეორე გამჭვირვალე და არაჩვეულებრივად ექსპრესიული ხასიათისაა. ქართველი ხალხის სულიერი აღნაგობის გამოსახატავად კანონზომიერია ერთიც და მეორეც. აქვე უნდა დაეძინოთ, რომ ეს ორი მთავარი ინტონაციური შენაკადი ქართული პოეზიისა როდია გაუვალი მთაგრეხილით გათიშული ერთმანეთისაგან. სრულიადაც არა! ისინი ხშირად ერთი და იგივე პოეტის შემოქმედებაშიც შერწყმულნი არიან ხოლმე.

ახალი, საბჭოთა ხელოვნების შექმნა — ეს იყო საერთო პროცესი და პოეზიაც მხარს უსწორებდა სხვა დარგებს. ამ საერთო ფერხულში მონაწილეობდა კოტე მარჯანიშვილის სინთეტური თეატრიც, ახალშობილი ქართული კინემატოგრაფიაც, ზაქარია ფალიაშვილის გენიალური მუსიკაც და ლადო გუდიაშვილის იშვიათი ფერწერაც. ქართული პოეზია ყოველივე ამაშიც პოულობდა შთაგონებას და ქართული სტუდიის ეშხიანობა რომანტიკული აღტაცებით გვიხატავდა ვანო სარაჯიშვილის მომხიბლავ პიროვნებას, ვერიკო ანჯაფარიძისა თუ უშანგი ჩხეიძის საყვარელ სახეებს. ჯერ კიდევ ქართველმა სიმბოლისტებმა „გაალმერთეს“ პრიმიტივისტი მხატვარი ნიკო ფიროსმანი. ტიციან ტაბიძე ფიროსმანის პიროვნებაში, მის თავისებურ ბოჰემაში ხედავდა თავგანწირული ხელოვანის ეროვნულ სულს, ნიჭის მშვენიერებასა

და ალალმართლობის იდეალს. ნიკო ფიროსმანის კოლორიტული ფერწერა გაჟღენთილი იყო იმ მოტივებითა და ინტონაციებით, რომელთაც ქართული პოეზია ეძიებდა მეოცე საუკუნიდან მოკიდებული. ამიტომაც აიტაცეს მისი სახელი ქართველმა მოდერნისტებმა. ამიტომაც ასე ორგანულად შეიჭრა იგი ტიციან ტაბიძის ლირიკაში, ლ. გუდიაშვილის ფერწერაში. უფრო გვიან იგი არაერთგზის ქცეულა ლადო ასათიანის ეშხიანი ამღერების საგნად. ისიც უნდა ითქვას: ნიკო ფიროსმანის ცხოვრება და შემოქმედება იყო დასტური დიდი ადამიანური სიმართლისა და გულწრფელობისა. მოდერნისტების მიერ შემოტანილი ბუტაფორიულობის, პოზიორობის საპირისპიროდ გულმართალი მხატვრის რომანტიკული ცხოვრება დასაბამს აძლევდა ახალ პათოსს, დიდი შინაგანი სიმართლის, გულითადობის პათოსს, რაც განუყოფელი თვისებაა რეალისტური პოეზიისა. პირდაპირ შეიძლება ითქვას: ხელოვნების სხვადასხვა დარგის (მუსიკა, ფერწერა, პოეზია) ასეთ ურთიერთშეჭრას, დანათესავებას არ იცნობდა მეცხრამეტე საუკუნის მწერლობა.

პირადი ცხოვრების თემატიკამ გააღრმავა პოეზიის ყოფაცხოვრებითი შინაარსი. ბუნების ეგზოტიკური დეკორაციები იცვლება ოთახებში მოქცეული ცხოვრების პოეტურ სურათთა ჩვენებით. ამან საგრძნობლად გააფართოვა ლირიკის სფერო, გაამძაფრა რეალიზმის გრძნობა. აქამდე უმეტესად ქუჩებიდან დანახულ ქალაქში იდუმალებით მოსილი ფანჯრების ფარდები გადასწია პოეტის მთრთოლვარე ხელმა და ადამიანთა ყოფის დაფარულ კუნჭულებში შეგვახედა. ყველაზე მეტად ქართულ პოეზიაში ეს გალაკტიონ ტაბიძის ლირიკას ემჩნევა. მისი ლექსების ლირიკულ გმირს ხშირად ვხედავთ ოთახში როიალზე დაღვენთილი სანთლის გვერდით, ვხედავთ კაფეში, თეატრის ლოჟაში.

თანამედროვე პოეზიას ახასიათებს მოგზაურობის მრავალფეროვან შთაბეჭდილებათა გამოხატვა. ვენეციის ქუჩებზე, რომანტიკულ პარიზსა და პეტერბურგის თეთრ ღამეებზე, შორეული იაპონელი ქალის სიყვარულზე, ყირიმის მშვენიერებასა თუ ვოლგის ნაპირებზე წერდა ა. ბლოკი. სპარსელ ქალს შაგანეტს და რიაზანის ველებს თანაბარი მღელვარებით უმღეროდა ს. ესენინი, ხოლო ვ. მაიაკოვსკის პოეზიაში ორიგინალური ფერებით ცოცხლდებოდა ბაღდადის ზეცა, ვლადიკავკაზ-თბილისის, იალტის, ევპატორიის პანორამები. მის ლექსებში ვხედავთ პოეტ-მოგზაურს, რომელიც პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს და ვერსალის ძეგლებს ათვალიერებს, ლუდოვიკეს ბურბონებს დასცინის, უბრალო პარიზელი ქალის ბედზე წუხს, საზღვარგარეთის წვიმის ქვეშ უჩვეულო მოწყენა იპყრობს სამშობლოს მონატრებულს, საბჭოთა მოქალაქის პასპორტით ამაყად დააბიჯებს ბრუკლინის ხიდზე თუ ბროდვეიზე. და ამიტომ ამ მასშტაბებს შეეფერება მისი მეტყველების კილოც, ტემბრიც. რკინიგზის სადგურებზე, გემის ბაქანზე, მატარებლის კუპეში ჩანს მისი ლირიკული გმირი, საზოგადოებრივი ყოფით დაინტერესებული, რევოლუციურად განწყობილი ახალი ტიპის პიროვნება. უიტმენისებური შეგრძნობა სამყაროსი, მილიონობით ადამიანის ამაღელვებელი ცხოვრებით ცხოვრება პოეზიაში, მეზღვაურის რომანტიზმი და მოგზაურის დაუცხრომლობა ქმნის თანამედროვე პოეზიის დამახასიათებელ ფორმებს. და მთავარი თემა, რომელიც აერთიანებს ყოველივე ამას, ეს არის თემა რევოლუციისა, რომლის ერთ-ერთი პირველი მომღერალი იყო მაიაკოვსკი.

დღევანდელი პოეტიც თავისუფლად მოგზაურობს ევროპისა და აზიის ქვეყნებში. იგი საკუთარი თვალით ხედავს ძველი საბერძნეთისა თუ რომის ისტორიულ ძეგლებს, პარიზისა თუ დელის ქუჩებს, უცხო ქალაქებისა და სოფლების თავისებურ ყოფას. ასე შეიქმნა, მაგალითად, ჩვენში უკანასკნელ დროს ლექსები დემოკრატიულ გერმანიაზე, პოლონეთზე, უნგრეთზე, ინდოეთზე, ჩეხოსლოვაკიაზე. ასეთი ვრცელი აღქმა სინამდვილისა მხოლოდ მეოცე საუკუნის ადამიანს შეუძლია, როდესაც თვითმფრინავი, ავტომანქანა, მატარებელი საათებში ფარავს უწინდელ დროში თვეობით გასავლელ მანძილებს.

რატომ უნდა გაგვიკვირდეს პოეტური ფორმების ეს სიახლე ჩვენს ეპოქაში? რატომ უნდა გავიოცოთ ახალი პოეტური ფერებისა და მელოდიების შექმნა რეაქტიული ძრავებისა და ატომის ენერგიის საუკუნეში? განა ტექნიკის უჩვეულო პროგრესი, შეცვლილი გარემო პირდაპირ გავლენას არ ახდენს ადამიანთა ფსიქოლოგიაზე, ხოლო ეს ახლებური ფსიქიკა თანამედროვე კაცისა არ არის ფუძეთაფუძე ახალი პოეზიისა? თავისი დროის უდიდესი მოვლენა იყო ფულტონის ორთქლის მანქანა, მაგრამ ვინ ამჯობინებს მას თანამედროვე ურთულეს ძრავებს? ვინ იტყვის რუსთაველზე, რომ ლექსის ჯადოქარი არ არის, მაგრამ დღეს რომ რუსთაველის მანერით წეროს კაცმა, განა წარმატება ექნებოდა? რატომ უნდა ვაქციოთ რომელიმე კლასიკოსი ფეტიშად და გვეშინოდეს

ᲘᲛᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ?

* * *

„ᲠᲘᲗᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐᲡ. ᲠᲘᲗᲛᲘᲡ ᲤᲐᲜᲐᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲐᲓ ᲒᲕᲔᲕᲚᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲚᲝᲙᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ“, ᲬᲔᲠᲡ Გ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ. ᲐᲛᲐᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲣᲛᲐᲢᲝᲗ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲝᲔᲢᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ. ᲔᲡ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲐ ᲓᲐ, ᲨᲝᲠᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲗ, Გ. ᲢᲐᲑᲘᲫᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲗᲪᲔᲪ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲠᲝᲓᲘᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ. ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲣᲡᲣᲚ, ᲘᲡᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲕᲔᲠᲚᲔᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲔᲕᲘᲖᲘ: „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ“ ᲞᲝᲔᲚᲝᲑᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲮᲘᲚᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲚᲝᲙᲘᲡ, ᲘᲡᲔ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲢᲝᲛ? ᲠᲐ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲛᲘᲡᲐ? ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲢᲔᲮᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ ᲠᲘᲛᲑᲠᲐᲜᲓᲢᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲨᲣᲒ-ᲩᲠᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲛ ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲐᲨᲘ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲒᲐᲠᲓᲐᲢᲔᲮᲐ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲐ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲐᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲜᲐᲘᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲔᲑᲐᲛ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.

ᲘᲡᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ: ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲥᲛᲜᲘᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲣᲚᲘ ᲠᲘᲗᲛᲣᲚᲘ ᲥᲔᲠᲐᲓᲝᲑᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲥ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲖᲝᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝᲗ. ᲐᲑᲐ, ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲔᲗ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ — ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲘ ᲥᲐᲚᲘᲗ ᲠᲝᲓᲘ ᲥᲛᲜᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲣᲚᲐᲓ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲐᲓ, ᲢᲘᲪᲘᲐᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲐᲗᲛᲐᲠᲪᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲐ ᲒᲐᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲐᲓ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲗᲣ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲗᲛᲐᲠᲪᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲧᲐᲚᲘᲑᲨᲘ ᲘᲒᲘ ᲐᲦᲬᲔᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲐᲜᲘᲡᲛᲝᲑᲐᲡ. ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐᲐ Გ. ᲢᲐᲑᲘᲫᲔ ᲐᲜ Გ. ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘᲪ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲝᲪᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲐᲛᲗᲐᲠᲪᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲜᲢᲝᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲐ ᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ: ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲞᲝᲔᲢᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲥᲛᲜᲘᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲘᲡᲔ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲔᲛ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲗ, ᲛᲔᲝᲪᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲐ ᲐᲗᲛᲐᲠᲪᲚᲘᲐᲜᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐᲡ ᲐᲛ ᲛᲔᲢᲠᲛᲐ. ᲐᲗᲛᲐᲠᲪᲚᲘᲐᲜᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲗ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲬᲔᲠᲓᲜᲔᲚᲘ ᲘᲚᲘᲐᲛ, ᲐᲙᲐᲙᲘᲛ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲛᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲕᲔᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲔᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲓᲐ, ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲘᲠᲘᲠ. ᲨᲔᲘᲠᲖᲔ ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲐᲠ ᲘᲗᲘᲛᲕᲘᲡ ᲐᲥᲐᲝ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡᲝ. ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐᲜ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲛ ᲤᲝᲠᲛᲐᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐᲡ. ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲠᲛᲐ ᲮᲝᲛ ᲕᲐᲟᲐᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲐ! ᲛᲗᲘᲡ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲛᲐᲡᲚᲐᲡ ᲕᲐᲟᲐᲛ ᲡᲬᲠᲝᲠᲔᲓ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲘᲠᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲙᲘᲚᲝ ᲛᲘᲣᲡᲐᲓᲐᲒᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲮᲐᲚᲮᲣᲠ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲔᲑᲡ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘᲕᲔ ᲛᲔᲢᲠᲘ ᲛᲝᲣᲜᲐᲮᲐ. ᲔᲡ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲐᲓ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲛᲔᲢᲠᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠ ᲠᲘᲗᲛᲡ. ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲪ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲔᲪᲔᲡ ᲣᲗᲕᲐᲚᲐᲕᲘ ᲠᲘᲗᲛᲣᲚᲘ ᲜᲐᲘᲠᲝᲑᲜᲔᲑᲘ. ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ, ᲠᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲡ ᲛᲔᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲔᲡᲐᲐ ᲠᲘᲗᲛᲣᲚ-ᲘᲜᲢᲝᲜᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐ. ᲞᲝᲔᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ, ᲠᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ. ᲔᲡᲐᲐ „ᲨᲘᲜᲐᲒᲜᲘ ᲠᲘᲗᲛᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲥᲛᲜᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲧᲐᲚᲘᲑᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲚᲔᲥᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲝᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲨᲘ, ᲛᲘᲡ ᲜᲐᲐᲠᲖᲠᲔᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲤᲘᲥᲠᲨᲘᲐ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲘ „ᲨᲘᲜᲐᲒᲜᲘ ᲠᲘᲗᲛᲘᲡ“, ᲝᲠᲘ�გᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲝᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲑᲐ. ᲣᲜᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲙᲘ ᲘᲡᲔᲕᲔ ᲗᲐᲜᲓᲐᲧᲝᲚᲘᲚᲘᲐ ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲛᲐ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲔᲮᲓᲝᲗ, ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲔᲠᲗᲝᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲝᲢᲝᲜᲣᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲔᲩᲕᲔᲜᲝᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲩᲐᲠᲩᲝᲔᲑᲨᲘ Გ. ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲕᲓᲐ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲝᲠᲘ�გᲘᲜᲐᲚᲝᲑᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲮᲔᲑᲘᲗ. ᲛᲐᲡᲘ ᲓᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲙᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ, ᲮᲛᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲕᲓᲐᲦᲬᲔᲕᲐ ᲚᲔᲥᲡᲨᲘ. ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲬᲧᲝᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲤᲝᲜᲘᲣᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ

ერთ პოეტს ჯერ არ ამოუწურავს მისი მელოდიური შესაძლებლობანი. აიღეთ, თუნდაც, იგივე ათმარცვლიანი ლექსი, რამდენად სახეშეცვლილი გამოიყურება იგი გ. ტაბიძის პოეზიაში. ერთი და იგივე მეტრული წყობის ლექსში რიტმული მრავალფეროვნება განწყობილებათა სხვადასხვაობითაა მიღწეული:

„იქ ტრანშეების ლაბირინტებში
ნუ გაგიტაცებს ძველი წუხილი.
ხევიდან ხევზე იკიბლებს მეხი,
ხევიდან ხევზე წავა ქუხილი“.
(„ჩვენ პოეტები საქართველოსი“)

„უდგა თეთრ წვიმას, ქროდენ ეტლები
და ტრამვაების მძიმე ტივები.
ნისლში სახლები და გამვლელები
მოსჩანდნენ, როგორც ნეგატივები“.
(„ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი“)

„გავცქეროდი კაფეებს და კინოს,
მივყვებოდი მოგონებათ ნაკადს.
როცა ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს
და ხელგაშლით ვთამაშობდით ქაღალდს“.
(„ერთხელ საღამოთი“)

აქ მიღწეულია თანამედროვე ადამიანის მუსიკალური სმენისა და ლირიკული ფერების აღქმის მაღალი ხელოვნება. ამ კეთილხმოვანებას ქმნის, ერთი მხრივ, მუსიკალურად შეხამებული რითმები, მეორე მხრივ, სტრიქონების ალიტერაციული წყობა, რაც უბრალო ფორმალისტური ვარჯიშის შედეგი კი არ არის, არამედ ორგანულად ერწყმის ლექსის მთლიან განწყობასა და აზრს. ანალოგიური რამ მეცხრამეტე საუკუნის პოეზიაშიც იპოვება (თუნდაც ბარათაშვილის „მერანში“), მაგრამ არსებითად ეს თავისებური ჟღერადობა ქართული ლექსისა (რაც მხატვრული აზროვნების გართულება როდია, როგორც ზოგიერთს ჰგონია) თანამედროვე პოეზიისათვის საერთოდ დამახასიათებელია.

ასეთივე სიახლეა მიღწეული ქართულ ლექსში ჯვარედინი და შინაგანი რითმების მეშვეობით. ბრმაც კი დაინახავს ამ მხრივ თანამედროვე ლექსის სხვაობას მეცხრამეტე საუკუნის ტრადიციული ლექსისაგან. აქ როდი ვგულისხმობთ რითმების თვითმიზნურ, ფორმალისტურ ძიებას. იგივე გ. ტაბიძის პოეზიაში მიღწეულია რითმების მაქსიმალური სიახლე და კეთილხმოვანება. ცნობილია, რომ ქართველი რომანტიკოსები და ნაწილობრივ ილია და აკაკიც რუსული პოეზიიდან მექანიკურად ნერგავდნენ ქორეასა და დაქტილის შერითმვის ტრადიციას. ისინი აშკარად არ ითვალისწინებდნენ იმ ამბავს, რომ რუსულ ლექსში უმეტესად მახვილი სიტყვების ბოლოში ეცემა, ქართულში კი, პირიქით, თავში ან შუაში. გარდა ამისა, ერთსადაიმავე ბრუნვაში ან „სა“-ზე დაბოლოებული რითმები ხშირად ქმნიდნენ ლექსში ერთგვაროვანურ ჟღერადობას, რაც საკმაოდ „აუტანელად“ ადიოდა ლექსის მუსიკალობას. მაგრამ თავისთავად მეცხრამეტე საუკუნის პოეტიკაც იყო სიახლე უწინდელთან შედარებით. სავსებით ბუნებრივია, რომ მეოცე საუკუნის პოეზიის განვითარება ტექნიკური სრულყოფისკენაც წარიმართა და სრული რითმების კარგი ტრადიცია უკვე შეიქმნა. ასეთივე ნოვატორი რუსული ლექსისა იყვნენ ვ. მაიაკოვსკი და ა. ბლოკი. ქართული ლექსის დღევანდელი სახე შეცვალა ჩვეულებრივი ყოფითი მეტყველების, სასაუბრო ენის შეცვლამაც. უფრო მეტიც, ახალმა ტექნიკურმა გარემომ, ადამიანთა ყოფაში ახალი საგნებისა და ნივთების შემოჭრამ, ტელეფონების, რადიოსა და ტელევიზორის ეპოქამ ლექსიც თავისებურად აახმიანა.

მარტო გ. ტაბიძის პოეზია იტევს უთვალავ მელოდიას. შინაგანი რითმების სირთულე ბესიკსაც ახასიათებდა („ტანო ტატნო, გულწამტანო, უცხოდ მარებო“...), მაგრამ სწორედ სახოტბო პოეზიაში ან სატრფიალო ლირიკაში ეს იყო „ენამზეობის“ ნიმუში, ხოლო თვით ლექსის აზრობრივ მხარეს ორგანულად ზოგჯერ არ ერწყმოდა. რაოდენ დიდი სხვაობაა ამ მხრივ გ. ტაბიძის ლექსში! აიღეთ, თუნდაც, მისი „ატმის ყვავილები“, სადაც სტრიქონთა მუსიკა გადმოსცემს ქარის მოძრაობას, ქმნის განწყობილების შესაფერის რაღაც თავისებურ მელოდიურ ტონს:

„რტოებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს,
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს“.

ან:

„ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,
ფოთლები მიქრიან ქარდაქარ.
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის.
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ...
შენი მე სახება დამდევს თან,
ყოველთვის, ყოველ ჟამს, ყოველგან...
შორი ცა ნისლიან ფიქრებს ცრის,
ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის“.

პოეზიის ტექნიკასაც აქვს თავისი უკიდურესობანი. ინერცია ლირიკის დაყვანისა მშრალ ტექნიციზმამდე მეტნაკლებად ყველა მოდერნისტს ახასიათებდა. რემბოს „ფერადი სონეტი“ ამის კლასიკური ნიმუშია. ხლებნიკოვი ისე წერდა ლექსებს, რომ მისი წაკითხვა შეიძლებოდა უკუღმა, როგორც არაბული ან სპარსული ნაწერებისა. ამგვარი რამ გ. ტაბიძესაც აქვს აქა-იქ („აი დროშა აშორდია, აერების სიბერეა“), საბედნიეროდ, არც ერთი ქართველი

პოეტის შემოქმედება არ არის სერიოზულად დამძიმებული ამნაირი ცოდვებით. სიტყვა თანამედროვე პოეზიაში იჭერს ფერის ან სახის ფუნქციას. როგორ ახარებს პოეტს ლექსში ნოყიერი, ხატოვანი სიტყვის პოვნა! ეს ჭეშმარიტი სიხარულია ხელოვანისა, რომელიც ოქრომჭედელივით არჩევს სიტყვების მტვერში მხოლოდ კეთილშობილ, მშვენიერ სიტყვას. ეს ესთეტიზმი როდია. კარგად მიგნებული სიტყვა იგივეა ლექსში, როგორც ტილოზე მხატვრის მიერ ნაპოვნი ბედნიერი ფერი. დააკვირდით გ. ტაბიძის ერთ ლექსს:

„ეზოში ყეფდა ბამბურა მურა,
ეზოში მწვანე ყვაოდა ბალ.
ვაზის ბარდებში ცურავდა სურა,
შენც ბანცალებდი, ბურულო ცალ.
ბობრი ბელავდა კახამბალს, ბჟოლას,
ბირკვილს ბატები ქარმა მორეკა.
ცა წამოიწყებს მსხვილ წვიმის სროლას
და ამლაბუდებს კრეფს ბობორიკა“.

ვირტუოზულად დახატულ ამ პეიზაჟს ემატება კიდევ ორიოდე დეტალი: ქალი, რომელიც საღამოისას „დოი, დოის“ იძახის, და ქარი, რომელიც აშფოთებს ჩელტებს, და ესეც სოფლის კოლორიტული სურათი! ყოველივე ამას მოსდევს ოდესღაც ნაცნობი გარემოსადმი უზადო სიყვარულისა და ოდნავი სინანულის გამოხატვა ფინალურ სტრიქონებში: „ო, სიყმაწვილე! აწი არასდროს იმგვარად აღარ ამეტყველდები“.

თანამედროვე პოეზიას თავისებურებათა ჩამოყალიბების პირველ წლებში მკაფიოდ დაეჩნდა ლიტერატურულ-მწიგნობრული ასოციაციები. საერთოდ, ლიტერატურულობა ახასიათებდა მოდერნისტულ სკოლებს. პოეზიაში ხელოვანთა სახელებისა და გვარების გამოჩენა, რაც იშვიათად ახასიათებდა კლასიკურ პოეზიას (აქ არ ვგულისხმობთ მიძღვნილ ლექსებს რომელიმე ცნობილი პიროვნებისადმი) თავისთავად მრავალნაირი მიზეზით შეიძლება ავხსნათ. მოდერნისტებს ჰყავდათ საკუთარი „კერპები“, რომელთაც ისინი თავიანთი პოეზიისა და მხატვრული პრინციპების წინაპრებად მიიჩნევდნენ. ხელოვანთა ცხოვრებით დაინტერესება, პოეტების, კომპოზიტორების, მხატვრების ხშირად ხსენება ლექსებში, ერთი მხრივ, იყო გარკვეული მხატვრული კონცეფციის გამოხატვა პოეზიაში, მეორე მხრივ, კი მხატვრული სახის, პოეტური ასოციაციების შექმნის ახლებური წყარო. საერთოდ, ხელოვანთა ცხოვრებაზე ყურადღების გამახვილება, თვითონ ხელოვანის ცხოვრების თემა ახალი მოვლენა იყო თანამედროვე პოეზიაში. შორს რომ არ წავიდეთ, გ. ტაბიძის ლექსებში ხშირად ახსენებდა მიქელ-ანჯელო, ბოტიჩელი, ერენბერგი, გოია, ბაირონი, ბარათაშვილი, ალექსანდრე ბლოკი, დოსტოევსკი, მოცარტი, ბაგანინი, ბეთჰოვენი, ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოებების გმირები — მანონ ლესკო, მეფე ლირი, ლედი მაკბეტი, ჰამლეტი, ჩაილდ ჰაროლდი და სხვ.

ყოველივე ეს ქმნიდა თანამედროვე პოეზიის ახალ ყღერადობას, ამდიდრებდა მის მხატვრულ არსენალს. როგორც აღვნიშნეთ, ხელოვანთა ცხოვრების თემის მოქცევა მოდერნისტული სკოლების ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, იყო ერთგვარი გადახვევა მხატვრული აზროვნების დემოკრატიული ტრადიციებიდან, მაგრამ ბევრი პოეტის შემოქმედებაში ეს თემა სცილდებოდა ვიწრო ლიტერატურულ ჩარჩოებს.

ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ყოველ დროს თავისი შესატყვისი პოეტური ფორმა ახასიათებდა და, რა თქმა უნდა, ასეა ჩვენს დროშიც. მართალია ისიც, რომ მათ დაპირისპირებას (ძველი და ახალი მხატვრული ფორმებისას), აქაო და გავარკვიოთ რომელი სჯობიაო, გამართლება არა აქვს. ვფიქრობ, არც გ. ასათიანს არ უცდია ეს და ვ. გაბესკირიაც უსაფუძვლოდ გამოესარჩლა ილიასა და აკაკის (ვ. გაბესკირია, „ერთი წერილის გამო“, „ლიტ. გაზეთი“, 1957 წ.). გ. ასათიანმა, ჩვენი აზრით, ცადა შედარება და არა დაპირისპირება ძველი და ახალი მხატვრული ფორმებისა. თუ აქ რაიმე შეცდომა დაუშვა, ეს, უპირველეს ყოვლისა, საილუსტრაციო მასალას შეეხება. გ. ლეონიძის ლექსის ის ორი ტაეპი, რომელიც გ. ასათიანს მოჰყავს თავის წერილში, თავისთავად არ გამოდგება საილუსტრაციოდ, როგორც დღევანდელი ლირიკული ლექსის ნიმუში. უფრო მეტიც, მასში ის მხატვრული ღირსებები კი არ არის, რაც ახალ პოეზიას ახასიათებს ჩვენს დროში, არამედ, პირიქით, საგრძნობია ლოგიკურობა, რაც მოდერნისტული პოეზიიდან შემორჩა. ამაში ვ. გაბესკირია უდავოდ მართალია.

ვ. გაბესკირიას წერილში, ერთი შეხედვით, თითქოს ცოტა რამაა სადავო. პატივცემული პოეტის მიერ ილიასა და აკაკის პოეტიკის დაცვაც კლასიკური მემკვიდრეობისადმი კეთილშობილურ სიყვარულს უნდა მივაწეროთ. მაგრამ მისი წერილი, ჩვენი აზრით, თავისი სულისკვეთებით ეპიგონობის დაღს ატარებს. თუ ვ. გაბესკირია გ. ასათიანს უკიჟინებს ნიჰილიზმს კლასიკოსებისადმი, თვითონ არანაკლებ ნიჰილიზმს ამჟღავნებს თანამედროვე პოეზიისადმი. საერთოდ ცნობილია, როგორ სავალალო

შედეგებამდე მიგვიყვანს ხოლმე ფორმისა და იდეის დაცილება ერთმანეთისაგან მხატვრული ანალიზის დროს. ჯერ იდეა კი არ ჩნდება პოეტის ფანტაზიაში და შემდეგ შესაბამისი სიტყვები და სახეები კი არ მოსდის მას, არამედ ესაა **მთლიანი პროცესი**, რომელსაც საფუძვლად უდევს პოეტის სულიერი მდგომარეობა. იდეისა და ფორმის განცალკევება პოეზიის სქემამდე დაყვანაა და სხვა არაფერი. ამიტომაც ცოტა არ იყოს ბუნდოვანია ამა თუ იმ იდეის პოეზიად „გარდაქმნის“ ის სურათი, რომელსაც ვ. გაბესკირია ასე გვიხატავს: „ლექსში სათქმელი ღელესავით, მდინარესავით უნდა მიედინებოდეს; ამ მდინარებას სათავესა და ბოლოში უნდა ვხედავდეთ. ეს ყველაფერი: რითმები, სახეები, მეტაფორები გარშემო ყვავილებივით, თუ ატეხილი ჭალებივით უნდა ჩანდნენ. როგორც მდინარე აძლევს მის გარშემო შემომსხდარ ლამაზ მცენარეთ, ისევე მეტაფორებს, სახეებს თუ ეპითეტებს ლექსში სიცოცხლეს ის სათქმელი ანიჭებს, რომელიც მასში მდინარესავით მიღელავს“. კიდევ უფრო გაუგებარია ასეთი დებულება: ... „რა საკვალდებულოა, რომ ყოველ ლექსში სახეები იყოს? წინასწარ დამზადებული სახეები კი არ ჰქმნიან ლექსს, არამედ ლექსები აღმოაჩენენ მათ და ეს იწვევს სიხარულს“. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, აქ პოეტური შემოქმედების მექანიკურ ახსნასთან უნდა გვქონდეს საქმე. ხელოვანს თითქოს ჯერ მოსდის აზრი და მერე პოეტურ ფორმაში როგორც სამოსელში „გაახვევს“ მას.

ვ. გაბესკირიას არასწორად მიაჩნია გ. ასათიანის დებულება იმის შესახებ, რომ თანამედროვე მკითხველი დაეუფლა დღევანდელი ლექსის გაგების საიდუმლოებას, რომ იგი უკვე ახლებურად კითხულობს ქართულ ლექსს. რა არის ამაში ცუდი და მიუღებელი? არ მესმის. სამწუხარო ის კი არაა, როდესაც რიგითი მკითხველი თვითონ მაღლდება პოეზიის გაგებამდე, პირიქით: სამწუხარო ისაა, როდესაც პოეზიის მხატვრული დონე, თვითონ პოეტის ესთეტიკური კულტურა უფრო დაბალია, ვიდრე მკითხველისა. ამიტომაც არ მიგვაჩნია სწორად ვ. გაბესკირიას ასეთი კატეგორიული განცხადება: „არავითარი საიდუმლოება მკითხველისათვის ჭეშმარიტ ლექსებს არა აქვს. მის გამოცნობას მხოლოდ სპეციალისტები ცდილობენ. ხალხი კი მათ ისე შეჰხარის, როგორც ბუნების სურათებს; მათ ისე მიენდობიან, როგორც მათ საამებლად გაჩენილ ბალიებს, ბალნარეებს, ზღვის ტალღებს“. მთლად [illegible] როდია საქმე. მკითხველთა შორისაც მრავლად იპოვება მეშჩანური გემოვნების ადამიანი, რომელსაც პროვინციულად შეფერილი პრიმიტიული ლექსები უფრო მოსწონს, ვიდრე ნამდვილი პოეზია. დავეშვათ ასეთი მკითხველის გემოვნების დონემდე? ამასთან საქმე ისაა, რა აზრს ჩავდებთ პოეზიის საიდუმლოების ცნებაში. თუ აქ ვიგულისხმებთ იმ აუცილებელ მხატვრულ კულტურას, გარკვეულ ესთეტიკურ დონეს, რომელიც ყველა ეპოქას თავისი შესაფერისი აქვს, მაშინ სადავოც არაფერი იქნება. ვფიქრობ, გ. ასათიანიც სხვა არაფერს გულისხმობს, როდესაც დღევანდელი პოეზიის საიდუმლოებაზე წერს: „თუ დღეს ქართულ ლექსში პოეტურ ენას შესწევს ძალა, იყოს ბევრად უფრო ლაკონიური, უფრო ეკონომიური ამა თუ იმ აზრობრივი ან ემოციური ნიუანსის გადმოცემისას, თუ იგი ამ მხრივ მკითხველისაგან მოითხოვს გამჭრიახობასა და გემოვნების გარკვეულ დონეს, ეს იმიტომ, რომ ამისათვის მომზადებულია შესაფერისი ნიადაგი მთელი ჩვენი მწერლობის მიერ. ქართველ მკითხველს, რომელმაც შეძლო შეეთვისებინა „ვეფხისტყაოსნის“ რთული და მაღალი ხელოვნება, არ გაუჭირდება იმ კანონზომიერ სირთულესთან შეგუება, რომელიც ახალი პოეზიისათვის არის ნიშანდობლივი, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ უკანასკნელი გამართლებული იქნება პოეტური ჩანაფიქრის არა მოჩვენებითი სიღრმით და გრძნობათა ჭეშმარიტი სიმდიდრით“. სავსებით სწორი მოსაზრებაა. აბა სად არის აქ ნიშანწყალი რაღაც ახირებული საიდუმლოებისა?

ჩვენი იდეალი ისაა, ყოველ მშრომელს ისე ავუმაღლოთ გემოვნება, რომ თავისუფლად გაიგოს ბეთჰოვენი და რუბინშტეინი, ლეონარდო და ვინჩი და მიქელ-ანჯელო, ველასკეზი და გოია, ჩარლი ჩაპლინი და ჰემინგუეი. მაგრამ ვ. გაბესკირია, ვფიქრობ, აუბრალოებს საკითხს. მოწოდება ადვილად გასაგები პოეზიისაკენ უნდობლობაა ჩვენი მკითხველისადმი. იგი კი გაიზარდა, და საკმაოდ ამ ორმოცი წლის განმავლობაში და, ერთი რუსი მწერლის მოსწრებული თქმისა არ იყოს, არ უნდა მივაწოდოთ ფაფა იმ გოლიათს, რომელმაც ფაშისტური სამხედრო მანქანა კბილებით დაღრღნა.

ნაღიმ ნიქარაძე

ბუნების საუნჯე და ჩვენ

აჭარის ბუნება იშვიათი მრავალფეროვნებითა და საოცარი სილამაზით ხასიათდება. აქ სრულიად მცირე მანძილზეც კი ისეთ ნაირსახეობას და კონტრასტებს შეხვდებით, რომ თვალწინ ბუნების ცოცხალი მუზეუმი წარმოგიდგებათ. ზამთარში, როცა მთის ფერდობები თოვლითაა დაფარული, იქვე, მთისძირას, სითბო იგრძნობა, ჰაერი აყვავებულ მცენარეთა სურნელებითაა გაჟღენთილი.

ადამიანს ხიბლავს მთიანი აჭარის სილამაზე, მაგრამ ზღვისპირა მხარე სულ სხვა და განსაკუთრებულია. ივი წარმტაცია ლაჟვარდოვანი მოლივლივე ზღვისა და მწვანე მთების ფონზე. აქაური ბუნება მომაჯადოებელია წლის ყველა დროს, მაგრამ ზაფხული მაინც გამოირჩევა. წელიწადის ეს დრო მეტად კეკლუცი და საამოა. აქ გვხიბლავს ვარდ-ყვავილების სამეფო — უთვალავი ფერების ნამდვილი სიმფონია.

ამ საარაკო სილამაზესთან ერთად აჭარის ბუნება მდიდარ და მრავალნაირ რესურსებს შეიცავს. ეს ჩვენი ხალხის საუნჯე და დოვლათია. ზღვის სანაპირო მხარეში ისეთი ჰავა და ნიადაგია, რომ საუცხოოდ ხარობს ნარინჯები, ჩაი, ტუნგო, დაფნა და თითქმის ყველა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურა, რომლებითაც ამაყობს ფლორიდა და კალიფორნია, იავა და სუმატრა, ჩინეთი და იაპონია, ინდოეთი და ცეილონი, იტალია და ალჟირი, მსოფლიოს სხვა სუბტროპიკული მხარეები.

მთიანი აჭარის ბუნება განთქმულია ქართული ვაზის საუკეთესო ჯიშებით, მრავალნაირი ხეხილით და სურნელოვანი თამბაქოთი. რომელ ძვირფას ხეს დასახელებთ, რომ არ იზრდებოდეს აჭარის ტყეებში! ნაირფერებით თვალისმომჭრელ, ხასხასა ალპურ მინდორ-ველებზე ბალახობს პირუტყვი. აჭარის მჩქეფარე და ჩანჩქეროვანი მდინარეები თეთრი ნახშირის დიდ მარაგს იძლევიან. არემარეს აცოცხლებენ აქაური მოჩუხჩუხე, ანკარა, ცივი და ფრიად გემრიელი წყაროები. ჩვენი მხარე მდიდარია სამკურნალო და მინერალური წყლებითაც.

ზურმუხტოვანი აჭარის ზღვისპირი უხვი და ცხოველმყოფელი მზის სხივებით, კრისტალურად სუფთა გამაჯანსაღებელი ზღვის ჰაერით, საუცხოო პლაჟით მკურნალობის, დასვენებისა და ტურიზმის კერას წარმოადგენს. მთიანი აჭარის ჯანსაღი, საამო ჰავა და მთის თვალწარმტაცი მიდამოებიც მოკლებული არ არიან საკურორტო მნიშვნელობას.

თევზით, გარეული ცხოველითა და ფრინველითაც მდიდარია ჩვენი კუთხე. შეიძლება კიდევ სხვა ბევრი რესურსის დასახელება, რომელიც მდიდარ ბაზას უქმნის სახალხო მეურნეობის მრავალ დარგს. ბუნების ამ სიმდიდრეთა საგანძურში ტყე ფასდაუდებელი საუნჯე და მშვენებაა.

ბუნების სიმდიდრეთა გამოყენება, იქნება ეს ნიადაგები თუ მცენარეული კულტურები, ჰავა თუ წყალი, გარეული ცხოველები თუ ფრინველები და სხვა, დიდადაა დამოკიდებული ტყეზე. ამიტომაა, რომ ტყის მნიშვნელობა ადამიანისათვის განუსაზღვრელია. აჭარის ტერიტორიის ნახევარზე მეტი ტყეს უჭირავს. აქაურ ტყეებში ხარობენ ისეთი ძვირფასი ჯიშები, როგორიცაა წიფელი, წაბლი, მუხა, ნაძვი, თელა, ნეკერჩხალი, უხრავი, ბზა და სხვ. ისინი მდიდარია სამკურნალო და დეკორაციული მთის ჯიშებითაც. აჭარის ტყეში უხვად მოიბოვება გარეული ხილი: წაბლი, წიწიბო, მოცვი, წყავი, ჰანტა და ა. შ. მაგრამ აჭარის მეტისმეტად დაქანებული, დასერილი რელიეფის პირო-

მარეგულირებელ და ჰავაზე მოქმედ ფაქტორს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც ცნობილია, ტყე მთლიანად სპობს ან დიდად ანელებს ეროზიულ მოვლენებს, ნიადაგს იცავს ჩამორეცხისაგან, დასახლებულ ადგილებს, გზებსა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაფარულ ფართობებს — ზვავ-მეწყერებისა და ღვარებისაგან. იქ, სადაც მთის ფერდობებზე ტყეს სპობენ, ძლიერდება ეროზიული პროცესები, ქანების დაშლა, ნიადაგის ჩამორეცხა. თუ ფერდობებს დიდი დაქანება აქვთ, ხშირია ღვარცოფები.

ტყის გაჩანაგება იწვევს კლიმატური პირობების ცვალებადობას, შიშველ ფერდობებზე მატულობს ტემპერატურის რყევადობა, სწრაფად ხურდება და ცივდება იგი; კლებულობს ჰაერის ტენი, ჰავა უფრო მშრალი და კონტინენტური ხდება. ამის გამო ადვილად იკიდებს ფეხს მშრალი, ხრიოკი ადგილების მცენარეულობა და ა. შ.

მთის ტყეები აწესრიგებენ ნიადაგის სიღრმეში ნალექების წყლის ჩაჟონვას, რაც ხელს უწყობს წყაროების დებიტის დაცვას, მდინარეებისათვის წყლის თანაზომიერ მიწოდებას, გვაცილებს წყალდიდობასა და მასთან დაკავშირებულ უბედურებას; მთის ტყეები კურორტების არსებობისა და განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ადამიანები ებრძვიან ბუნებას, განუწყვეტლივ სახეს უცვლიან ბუნებრივ ლანდშაფტს თავიანთი საჭიროების მიხედვით და ქმნიან ე. წ. კულტურულ ლანდშაფტებს. არც ისე შორეულ წარსულში აჭარის ზღვისპირეთის ბუნებრივი ლანდშაფტისათვის დამახასიათებელი იყო კოლხეთის გაუვალი ლეშამბოიანი ტყე, აყროლებული ჭაობები, გვიმრები და ეკალ-ბარდები. იმ დროს აქ ჰაერიც მძიმე და სულის შემხუთავი იყო, განსაკუთრებით აუტანელი იყო იგი სანაპიროზე ახლად დასახლებულთათვის. მთელი სანაპირო მალარიის კერას წარმოადგენდა, მძვინვარე ციებ-ცხელება მუსრს ავლებდა მოსახლეობას. ისმოდა ბაყაყების განუწყვეტელი ყიყინი და ტურების კივილი. ასეთი ლანდშაფტი გარდაქმნა აქ ადამიანმა, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, და იგი მაღალ კულტურულ ლანდშაფტად აქცია. ამას მოჰყვა ჰაერის გაჯანსაღებაც. იგი ადამიანისათვის საამო და მარგებელი შეიქნა.

თუ ბუნებას ადამიანთა ძირითადი და შეგნებული ნაწილი გეგმაზომიერად გარდაქმნის საზოგადოების კეთილდღეობისათვის, შეუგნებელი ადამიანი ეწევა ბუნების მხეცურ ექსპლოატაციას, ვერაგულად იტაცებს ბუნების სიმდიდრეს, სახალხო დოვლათს, იმ მაგნე შედეგების შესახებ, რასაც იწვევს ბუნებაზე ადამიანის წინასწარ გაუთვალისწინებელი და არაგონივრული მოქმედება, თავის დროზე ფრ. ენგელსი წერდა: „იმ ადამიანებს, რომელთაც მესოპოტამიაში, საბერძნეთში, მცირე აზიასა და სხვაგან ტყეები ძირფესვიანად ამოაგდეს, რათა ამ გზით სახნავი მიწა ეშოვნათ, არც კი დასიზმრებიათ, რომ ამით საფუძველი ჩაუყარეს ამ ქვეყნების ახლანდელ გაუდაბნოებას და ტყეებთან ერთად ამ ქვეყნებს ტენიანობის შეგროვებისა და დაცვის ცენტრები გამოაცალეს. როცა ალპელი იტალიელები მთების ჩრდილოეთ კალთებზე ესოდენ მზრუნველობით დაცულ ხეძვის ტყეებს საძრეთ კალთებზე სჩეხდნენ, ისინი გუმანსაც კი ვერ მოდიოდნენ, რომ ამით ძირს უთხრიდნენ ალპიური მთის მეცხოველეობას თავიანთ მხარეში“.[1]

ტყეების უგეგმო ჩეხვა, მისი მხეცური ექსპლოატაცია განსაკუთრებით გავრცელებულია კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ტყეების გაჩანაგებასთან დაკავშირებით წარმოშობილი უარყოფითი მოვლენები — ეროზია, წყალდიდობა და სხვ. ხალხის უბედურებად იქცა. უცებად წყალდიდობას მრავალი ქალაქი და სოფელი წაულეკავს, მილიონობით ადამიანი უმსხვერპლია. ტყეების სრულიად არასწორ ექსპლოატაციას ეწეოდნენ ჩვენს ქვეყანაშიც. რევოლუციამდელ აჭარაში, მაგალითად, უგეგმოდ და მოუწიდებლად იჩეხებოდა ტყის მასივები. რუსი არქეოლოგი და მოგზაური პ. ს. უვაროვი, რომელმაც გასული საუკუნის მიწურულს აჭარაში იმოგზაურა, აღნიშნავდა, რომ „მოსახლეობა... მთელ ფერდობებს წმენდს ტყისაგან, მაგრამ ეს სამწუხაროდ ბარბაროსული წესით ხდება: ტყეებს წვავენ, რაც აქაური ჰავის პირობებში ძალიან ხშირად აჩენს დიდ ხანძარს, რომლის ჩაქრობა აქ უფრო ძნელია, ვიდრე რუსეთში. ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა მეტი ეზრუნათ აჭარის ტყეების მომავალზე, უმჯობესია ტყეებს კაფავდნენ პატარა ახოებად და არ ღუპავდნენ ვეებერთელა ტყის მასივებს“.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ტყის უგეგმო ჩეხვა, მართალია, შეწყდა, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე განადგურებული იყო.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება შეუნელებლად ზრუნავენ ტყის მოვლა-მოშენებისათვის, სასტიკად კრძალავენ ტყის უგეგმო ექსპლოატაციას და მისდამი უდიერ

1. ფრ. ენგელსი, „ბუნების დიალექტიკა“. გვ. 115.

დამოკიდებულებას. მაგრამ, სამწუხაროდ, წარსულის გადმონაშთები ზოგიერთი ადამიანის შეგნებაში ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი. ამიტომაა, რომ ტყეების უყაირათოდ ჩეხვის, მისი უწესო ექსპლოატაციის შემთხვევები ჩვენს დროშიც შემორჩა. ტყეებს ჩეხავენ ისეთ ადგილებსა და ისეთ პირობებში, რომ მოსალოდნელია მათი გადაშენება. ასე იქცევიან არა მარტო კერძო პირები, არამედ ცალკეული უწყებებიც. ეს დიდი დანაშაულია.

იქ, სადაც ტყეები უთავბოლოდ და უყაირათოდ გაუჩეხავთ, დიდძალი ფართობები უკვე გატიტვლებულია. მდინარე აჭარისწყლის, კინტრიშის, მათი შენაკადებისა და სხვა მდინარეების ხეობებს რომ ათვალიერებთ, ზოგან თქვენს წინ დამაღონებელი სურათი იშლება. უტყეო ზედაპირი დასერილია უამრავი ხევებითა და ხრამებით, ზოგჯერ შეხვდებით სრულიად ჩამორეცხილ ფერდობებს, სადაც მცირე წვიმების დროსაც რამდენიმე წუთში ღვარები ჩნდება, ძლიერი წვიმების დროს კი ეს ნამდვილ კატასტროფად იქცევა. უტყეობა აქაური რელიეფის პირობებში ხელს უწყობს ზვავ-მეწყერების წარმოშობას. აჭარაში ხშირია ეს მოვლენები. შემჩნეულია, რომ აჭარისწყლისა და ჭოროხის, განსაკუთრებით მათი შენაკადების უცაბედი ადიდება ტყეების დიდი რაოდენობით გაჩეხვითაა გამოწვეული; ისიც შეიმჩნევა, რომ ზოგიერთი მდინარის დონე საგრძნობლად კლებულობს, ბევრგან წყაროები შემცირდა ან სავსებით დაშრა. შორს რომ არ წავიდეთ, დავაკვირდეთ ხულოს ან ქობულეთის მიმართულებით გზისპირა წყაროებს. მათ წინათ უთუოდ დიდი დებიტი ჰქონდათ. ამას მოწმობს ამ წყაროებისათვის გაკეთებული აუზები და ღარები. ახლა კი ამ ადგილებში წყაროს წყალი მცირე რაოდენობით გამოდის, ან ძლივს მოჟონავს, ხოლო ზოგან სავსებით გამქრალა და აუზები ამომშრალან. რას უნდა მივაწეროთ ეს, თუ არა ფერდობებზე ტყის შემცირებას ან სრულიად მოსპობას?

გამოჩენილი საბჭოთა გეოგრაფი, საბჭოთა ლანდშაფტმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი ლ. ს. ბერგი ბუნებრივ ლანდშაფტებს ადარებს ისეთ ცოცხალ ორგანიზმს, რომელშიაც ნაწილები (ბუნებრივი ლანდშაფტის შემადგენელი ელემენტებია რელიეფი, ჰავა, ნიადაგები, წყლები, ორგანული სამყარო) აპირობებენ მთელს, ხოლო მთელი მოქმედებს ყველა ნაწილზე. ერთი რომელიმე მათგანის ცვლილება იწვევს მთლიანად მთელი ლანდშაფტის თანდათანობით შეცვლას. ამის შედეგად, თუ ეს ცვლილება დადებითი არაა, ცხადია, ლანდშაფტს ეკარგება მისი პირვანდელი სამეურნეო მნიშვნელობაც. ჩვენს პირობებში სუბტროპიკული ლანდშაფტის თავისებურების ნაწილობრივი შეცვლაც საფრთხის წინაშე დაუყენებს სუბტროპიკული კულტურების გახარებასა და განვითარებას.

ბუნების ცნობილი მკვლევარი აკადემიკოსი ნ. კეცხოველი საქართველოს მცენარეთა საფარის — კოლხეთის ტყეების განხილვისას, ამ უკანასკნელის უწესო გაჩეხვასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ „სრულიად შესაძლებელი ყოფილა დღეს ნესტიან სუბტროპიკულ ზოლში ნახევრად უდაბნოს ტიპის მცენარეულობა დასახლდეს, მით უმეტეს, თანამედროვე ჰავა ნაწილობრივ მას ხელს უწყობს (ნალექების სიმცირე გაზაფხულის თვეებში), შემდეგ კი თვით ეს ტიპი ხელს შეუწყობს ჰავის ცვალებადობას მისი გაკონტინენტების გზით და ნესტიანი სუბტროპიკები სწრაფად დაკარგავს თავის იერს. იმისათვის, რომ ეს ნესტიანი სუბტროპიკების მაგვარი ჰავა შევინახოთ, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ მცენარეულობას“.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ტყეებს მოვლა-პატრონობას არ გავაძლიერებთ და გავაჩანაგებთ მათ, ჩვენს მიწა-წყალსაც ის ბედი მოელის, რაც სხვა ადგილებს ეწია ტყეების მოსპობის გამო. მაშინ ჩვენს მობიბინე ნარინჯების პლანტაციებს, ბაღებსა და ვენახებს, ყანებსა და ბოსტნებს ნიაღვარი წალეკავს. მომოჩუხჩუხე წყაროები დენას შეწყვეტენ, მდინარეები დაშრებიან, ვეღარ გავიგონებთ ფრინველთა ჟრიამულსა და გალობას, ვეღარ დაეტკბებით ჩვენი ბუნების სილამაზით.

* * *

აჭარის ტყეები და მინდორ-ველები მდიდარია სარეწაო სანადირო ცხოველებით და ფრინველებით. გარეულ ცხოველთაგან უფრო მეტად გვხვდება შველი, ღორი, კურდღელი, მელა, კვერნა, წავი, ციყვი და დედოფალა, ადგილობრივ ფრინველთაგან — შაშვი, ჩხიკვი, ჩიჩხინაკი, ბოლოშავი და სხვ. მაღალმთიან ზონაში დიდი რაოდენობითაა გავრცელებული კავკასიური როჭო. გადამფრენ ფრინველთაგან აჭარის სტუმრები არიან მწყერი, წინტალები (ტყის ქათამი, გაჭო, ჩიბუხა, კრონშნეპები და სხვ.), მტრედისებრი ფრინველები (მტრედი, გვრიტი, ქედანი), იხვი, ბატი, იშვიათად — გედი, სარსარაკი და სავათი.

უგეგმო და მტაცებლური ნადირობის გამო სანადირო ცხოველები და ფრინველები ძლიერ მცირდება. ზოგი ამოწყდა ან გადაშენების გზაზეა. ხოხობი, მაგალითად, სრულებით აღარ გვხვდება, გადაშენების საფრთხე მოელის შა-

შვსა და სხვა ფრინველებს. არანაკლებ საკალალო მდგომარეობაშია გარეული ცხოველები.

აჭარის ტყეებში დღემდე შემორჩენილია ევროპული შველი. ეს ლამაზი და საყვარელი ცხოველი ჩვენი ტყეების ნამდვილი მშვენება და სიამაყეა. ადამიანი მის დანახვასაც კი ნატრობს. შველს ერჩის მტაცებელი ნადირი, მაგრამ იშვიათად ვარდება მის კლანჭებში. იგი თავს შველის მარდი ნახტომით და სწრაფი რბენით. შველი უფრო ხშირად ადამიანის მსხვერპლი ხდება, ისიც ისეთი ადამიანისა, რომელსაც დაკარგული აქვს ჭეშმარიტი მონადირისა და ბუნების მოტრფიალის გრძნობები. ნამდვილ მონადირეს უჭირს შვლის მოკვლა. მაგრამ ასეთები ცოტანი არიან. სპეციალური ნებართვით შეიძლება მხოლოდ მამალ შველზე ნადირობა, მაგრამ ამას როდი დაგიდევენ და უგნური მონადირეები უმოწყალოდ სპობენ ბუნების ამ მშვენებას და ამაყობენ კიდევაც ამით.

უკეთესი დღე არც ფრინველებს ადგიათ. გამოჩნდება თუ არა მწყერი, გვრიტი ან იხვი, მონადირენი თუ მოხალისენი შეიარაღდებიან საანადირო თოფებით და შეესევიან ხოლმე კახაბრის, გონიოს, ახალშენის, ქობულეთის მინდორველებს, აზიანებენ ნარგავებს და ნათესებს, მთელი დღე ნადირობენ და განუკითხავად ანადგურებენ გარეულ ფრინველებს, განსაკუთრებით — მწყერებს. ზოგიერთი „მონადირე“ როდი ჯერდება იმ რაოდენობას, რაც საანადირო წესებითაა დაშვებული, 100-200 და მეტ ფრინველსაც კი კლავს და ბაზარში გამოაქვს გასაყიდად.

საანადირო ცხოველთა და ფრინველთა მასობრივ მოსპობას არაორგანული სასუქების უწესო გამოყენებაც იწვევს. პლანტაციებში, ბაღებსა და ყანებში დაყრილ არაორგანულ სასუქს მიწას არ აყრიან, ღიად დატოვებულ მინერალურ მარილებს ცხოველები და განსაკუთრებით ფრინველნი ხარბად ეტანებიან და იწამლებიან.

ხშირად ირღვევა აგრეთვე თევზზე ნადირობის წესები. თევზს სპობენ ფეთქადი და მომწამლავი ნივთიერებებით, წყალში ელექტრონის გაშვებით და სხვა საშუალებებით. მდინარეს ხშირად წამლავენ მის ზემო წელში და შესართავამდე სპობენ თევზებს. ეს დიდ საშიშროებას უქმნის ადამიანისა და პირუტყვის სიცოცხლესაც.

ზაფხულობით ქვირითის დასაყრელად ჩვენს მდინარეებში ზღვიდან შემოდის სამრეწველო ჯიშის თევზები. მდინარის მოწამვლისას ქვირითთან ერთად ისპობა ეს თევზებიც. ამის გამო ფერხდება სახელმწიფო და საკოლმეურნეო თევზჭერა. ჭოროხში, აჭარისწყალში, კინტრიშში და სხვ. გავრცელებულია თევზის ძვირფასი სახეობები, უმთავრესად წვერა, მურწა, ქაშაყი, კეფალი და სხვანი, ხოლო მთის მტკნარ და ცივ მდინარეებში შემორჩენილია კალმახი. საჭიროა მათი დაცვა და შენარჩუნება.

ზაფხულის ცხელ დღეებში ბუნების ველური სილამაზის ფონზე მთის ჩუხჩუხა, ანკარა ცივ მდინარეში კალმახის დაჭერა, განსაკუთრებულ სიამოვნებას გვრის ადამიანს. მაგრამ რამდენადაც სასიხარულო და მიმზიდველია მდინარეში თევზობა, იმდენად გულსაკლავია მდინარე უთევზოდ. სწორედ ასეთად გადაიქცევა ჩვენი მდინარეები, თუ თევზჭერის ბარბაროსული მეთოდები დაუყოვნებლივ და სასტიკად არ აღკვეთეთ.

* * *

აშკარაა, რომ მონადირეთა კავშირი, სატყეო მეურნეობა და სხვა უწყება-ორგანიზაციები, რომელთაც უშუალოდ ევალებათ ბუნებრივი რესურსების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, ზოგჯერ უდარდელობას იჩენენ, ვერ იყენებენ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებებსა და მითითებებს, რაც ბუნების გონივრულ ექსპლოატაციას ეხება. აბა რით ავხსნათ, რომ ამ საქმეში სავალალო, ზოგან საგანგაშო მდგომარეობაც გვაქვს? ისიც უნდა ითქვას, რომ მარტო ზემოთ დასახელებული ორგანიზაციები ვერაფერს გახდებიან, თუ მათ მთელი საზოგადოებრიობა არ დაეხმარა, პირველ რიგში სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა, კომკავშირული ორგანიზაციები, თვითეული პატიოსანი მოქალაქე.

უნდა შევძლოთ და კიდევაც შევძლებთ თვალისჩინივით დავიცვათ ჩვენი ულამაზესი კუთხის ბუნების საუნჯე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იური სიხარულიძე

თურქ-სელჩუკთა შემოსევები აჭარაში

თურქული მოდგმის ტომების თავდაპირველი სამკვიდრებელი ცენტრალური აზია იყო. აქედან ისინი ჯერ შუა აზიაში მოვიდნენ, შემდეგ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში შემოიჭრნენ. მათ სათავეში ედგა სელჩუკთა საგვარეულო, საიდანაც წარმოსდგა წინა აზიისაკენ დაძრულ თურქმანთა სახელი სელჩუკიანი.

თურქი-სელჩუკები არც ერთ ძველ დამპყრობელ-მოძალადეს არ ჰგვანდნენ. არც არაბები და არც ბიზანტიელები წინა აზია-კავკასიაში გადმოსახლებით არ მოდიოდნენ. დასახლების მიზნით მოსული თურქები კი ძნელი მოსათმენი იყვნენ. სელჩუკთა ურდოების მოსვლა ადგილობრივი მოსახლეობის აყრას გულისხმობდა. მოძალადე საუკეთესო მიწებს ეუფლებოდა, პირველყოფილი მომთაბარეობა გადაშენებით ემუქრებოდა მაღალგანვითარებულ სამიწათმოქმედო მეურნეობას. ამის გამო თურქებთან ბრძოლამ იმთავითვე მწვავე ხასიათი მიიღო.

სელჩუკთა შემოსევები XI საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. 1040 წელს თურქ-სელჩუკებმა ბოლო მოუღეს ღაზნევიანთა სამეფოს და მალე მთელ ირანს დაეპატრონენ. მაგრამ აქ როდი შედგნენ. ერთსა და იმავე დროს ისინი სწვდნენ ბაღდადის სახალიფოს და სერიოზული დარტყმები აგებეს ბიზანტიასაც. 1055 წელს ე. წ. „დიდ სელჩუკთა“ სახელმწიფოს ფუძემდებელმა თოღრილ-ბეგმა (1037-1063) სასტიკად დაამარცხა ბუვეიდები, ბაღდადში სულთნად დაილოცა და თავი ორრქიანი გვირგვინით დაიმშვენა. ასეთი გვირგვინი იმის სიმბოლური გამოხატულება იყო, რომ ამიერიდან ეს „ფეხშიშველი მწყემსი“ ორი სამყაროს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბატონ-პატრონად აცხადებდა თავს.

თურქ-სელჩუკებს ვერც ამიერკავკასიის ქვეყნები გადაურჩნენ. ნომადებმა სულ მალე წალეკეს სომხეთი და ალბანეთი და საქართველოს მოადგნენ.

სელჩუკები და ქართველები პირველად ერთმანეთს 1048 წელს შეხვდნენ ბასიანის ბრძოლაში. ქართველები იქ ბერძენთა დასახმარებლად მივიდნენ ლიპარიტ ბაღვაშის სარდლობით. ბრძოლა მოხდა ორდროსა და უკუმიას ქვემოთ. მოკავშირენი დამარცხდნენ. ლიპარიტი ტყვედ ჩავარდა და ხორასანში წაიყვანეს სულთანთან[1].

თურქთა პირველი დიდი და მომსვრელი შემოსევა საქართველოში აღინიშნა 1065 წელს.

„გამოვიდა სულტანი არფასარან... დასხმის გუარად, უგრძნეულად... შემუსრა კანგარი და თრიალეთი“, — გვაუწყებს მემატიანე.[2] აქედან ალფ-არსლანმა (1063-1072) მარბიელი ჯარები შეუსია სამხრეთ საქართველოს — „ღღესა ერთსა მარბიელმან მისმან მიუწია ყუელის ყურსა, გარდავიდა შავშეთსა, კლარჯეთს, ტაოს ვიდრე ფანასკერტამდე, და მასვე ღღესა ჩამოუწია თორს და ღვისხევს“.[3]

თრიალეთს სამი ღღის დგომის შემდეგ ალფ-არსლანი თავისი ლაშქრით ჯავახეთში გადავიდა და ახალქალაქს მიადგა. მტერს ქართველები მედგრად დაუხვდნენ და რამდენიმე ღღეს იცავდნენ ქალაქს, მაგრამ მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ ბოლოსდაბოლოს მაინც თავისი გაიტანა, თურქებმა ახალქალაქი აიღეს და გაჟლიტეს მისი მოსახლეობა.

1. ვ. გაბაშვილი, თურქ-სელჩუკთა შემოსევა და ბატონობა, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, თბილისი, 1957 წ., გვ. 124.

2. „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბილისი, 1955 წ., ტ. I, გვ. 302.

3. იქვე, გვ. 306.

ველურმა მოძალადეებმა დაძარცვეს საქართველოს ქალაქები და სოფლები, ტყვედ წაიყვანეს მრავალი ქართველი და ირანს დაბრუნდნენ.

სამი წლის შემდეგ თურქები კვლავ „უგრძნეულად“ შემოესივნენ საქართველოს, საშინლად აიკლეს ქვეყანა და უმოწყალოდ ამოჟლიტეს ხალხი.[1]

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველო XI საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც თურქთაგან სასომიხდილი ბიზანტია იძულებული გახდა ამიერკავკასიიდან გასულიყო და მტრისთვის დაეთმო თავისი სამფლობელოები აღმოსავლეთში. ამიერიდან საქართველო მარტოდმარტო რჩებოდა თურქთა პირისპირ. გარდა ამისა, თურქებთან ომს ემატებოდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლა. სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციური ძალები თურქებს მოკავშირეებად სახავდნენ და მათ მხარეზე დგებოდნენ. ქვეყანას შინაშლილობა და გამცემლობა-ღალატი ღუპავდა. კარის ციხის აღების შემდეგ „შინა განცემითა“ ქრისტიანეთათა, როგორც გადმოგვცემს მემატიანე, თურქები სრულიად მოულოდნელად ყველის[2] სანახებში გამოჩნდნენ, სადაც გიორგი II (1072-1089) იდგა. საქართველოს მეფე ძლივს გადაურჩა ტყვეობას და აჭარაზე გავლით აფხაზეთისაკენ უკუიქცა.[3]

ამ წარმატებამ თურქებს ბრძოლის განგრძობის სურვილი გაუღვიძა. და „ი საქართველოსაკენ დაიძრა თურქ ბარბაროსთა ახალი ურდოები ვინმე იასისა და ბუჟღუშ ამირთა წინამძღოლობით. თურქებით აივსო „ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდინ, შავშეთი, აჭარა, სმცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი.“[4] სელჩუკებმა გაჟლიტეს ამ მხარეთა მცხოვრებლები, გადაბუგეს ქალაქები და სოფლები. მომხვდურნი საქართველოში დაზამთრებამდე დარჩნენ და „მოსჭამეს ქვეყანა და მოსწყუიდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა ქუაბთა და ხურელთა ქვეყანასათა“.[5]

თურქთა თარეში დიდხანს გრძელდებოდა საქართველოში და „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქვეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცულად კაცთა ქუეყანა და ნადირი ველისანი დამკუიდრნეს მას შინა.“[1]

გარეშე და შინაური მტრებისაგან გატეხილი გიორგი მეფე იძულებული იყო თავი დამარცხებულად ეღიარებინა და ზავი თურქთა სულთანთან მორჩილებისა და ხარკის აღთქმით მოეპოვებინა, თუმცა ამას მდგომარეობის რაიმე არსებითი გაუმჯობესება არ მოჰყოლია. ზავის ვითარებაშიც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ მომთაბარენი და საუკეთესო ადგილებს იპყრობდნენ. მოსულთა და დამხვდურთა შორის უსასტიკესი ბრძოლა წარმოებდა. მდგომარეობა უაღრესად კრიტიკული იყო. ხალხს მოსისხარი მტრის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის ნიჭიერი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ესაჭიროებოდა, გიორგი მეორეს კი ამ დიდი საქმის შემართების ძალა არ შესწევდა. ამიტომ პატრიოტ ქართველთა გავლენიანმა წრემ სამეფო კარზე გადატრიალება მოაწყო: გიორგი გადადგა, ტახტზე ავიდა მისი შვილი, ახალგაზრდა დავითი.

ეს იყო 1089 წელს.

დავით მეფე თავის უახლოეს თანაგამზრახთა დახმარებით ენერგიულად შეუდგა თურქთა წინააღმდეგ ბრძოლის სამზადისს. თავდაპირველად მან ერთგული ლაშქრის შექმნას მიჰყო ხელი და წარმატებითაც განახორციელა ეს ამოცანა. შემდეგ მოღალატე დიდგვარიან აზნაურებს სწვდა და მტკიცე დაკვრით ბოლო მოუღო რეაქციული ოპოზიციის პარპაშს.

თურქებიც თავიანთი ძლიერების ზენიტიდან მალე დაეშვნენ. მალიქ-შაჰის (1072-1092) გარდაცვალების შემდეგ სელჩუკებში საშინელი შინაომი ატყდა, პარტიკულარისტულმა ელემენტებმა საწადელი აისრულეს და მალე ქვეყანა ერთიმეორისადმი მტრულად განწყობილ წვრილ-წვრილ პოლიტიკურ ერთეულებად დანაწილდა. ამასვე დაემთხვა დასავლეთევროპელი რაინდების ე. წ. „ჯვაროსნული ლაშქრობანი“ აღმოსავლეთში. ჯვაროსნებმა სერიოზულად დაჰკრეს თურქებს და 1099 წელს ხელიდან გამოგლიჯეს პალესტინა-იერუსალიმი.

ამით გამხნევებულმა ბიზანტიამაც მახვილი იშიშვლა და თურქებს ეკვეთა.

ყოველივე ამან ქართველთა ბრძოლას კიდევ უფრო ფართო პერსპექტივები შეუქმნა.

დავით აღმაშენებელმაც ისარგებლა ხელსაყრელი ვითარებით: ხარკი შეუწყვიტა სულთანს და საქართველოს მიწა-წყალზე ჩამომსხდარ მომთაბარეებს სწვდა.

XII საუკუნის ათიან წლებში ქართველებმა

1. „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბილისი, 1955 წ., გვ. 303.

2. ყველის ციხე ჯავახეთ-აჭარა-შავშეთის საზღვარზე მდებარეობდა (გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 276, შენიშვნა 1).

3. „ქართლის ცხოვრება“, გვ. 319.

4. იქვე.

5. იქვე.

1. „ქართლის ცხოვრება,“ გვ. 320.

თურქთაგან გასწმინდეს ქვემო ქართლი, ჰერეთი და სამხრეთ საქართველო. მაგრამ ვიდრე თურქებს შარვან-რანიდან და სომხეთიდან ამ ამოეკვეთებოდათ ფეხი, მანამ ქვეყნის უშიშროებას ყოველ წუთს საფრთხე ელოდა. ამიტომაც ქართველები ომით გავიდნენ სომხეთსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. თურქებისაგან მიმძლავრებული სომხეთისა და ალბანეთის მოსახლეობა განმათავისუფლებელ ქართველთა ლაშქარს აღფრთოვანებით ხვდებოდა და აქტიურადაც გამოდიოდა კავკასიის პროგრესისათვის გაჩაღებულ ამ საერთო-სახალხო ბრძოლაში.

საქართველომ განსაკუთრებით მწარე დამარცხებანი აგემა თურქებს 20-იან წლებში. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდგორის ბრძოლა (1121).

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში თურქები განიდევნენ შამახიაყაბალისა და ანისის მიდამოებიდან. ამ ოლქების დაკარგვა თურქთა დიდ მარცხს მოასწავებდა. დავითი უკვე განძას უმიზნებდა, რომელიც სელჩუკთა მთავარ საყრდენს წარმოადგენდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მაგრამ ნაადრევმა სიკვდილმა (1125 წ.) განაზრახის აღსრულება არ დააცალა.

ეს საქმე მისმა მემკვიდრეებმა განაგრძეს. ამ მხრივ განსაკუთრებით ენერგიულად იღვწოდა გიორგი მესამე (1156-1184).

თურქ-სელჩუკებთან სერიოზული ბრძოლები მოუხდა საქართველოს თამარის (1184-1213) დროსაც. ფრიად საინტერესოა, რომ მტრის შემოსევა ჩვენს ქვეყანას XII საუკუნის 90-იან წლებშიც კი განუცდია, როდესაც იგი წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო იყო. საყურადღებოა, რომ ამ დროს მტერს მნიშვნელოვნად შეუღწევია ქვეყნის სიღრმეში და აჭარასაც მოსწვდომია.

აბუსერიძე ტბელის ცნობით, მომხდურნი „შინაგამცემლობის“ წყალობით ხიხათა ციხეს დაუფლებიან. ხიხანიდან მტერი განუდევნია მემატიანის პაპა აბუსერსა და მის ძმას სანანოს „ბრძანებითა ღმერთისა სწორთა პატრონთაითა“.[1] ვინ იყო ეს მტერი, ან კონკრეტულად როდის მოხდა ეს ამბავი, ამის შესახებ აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანეში არაფერია ნათქვამი. მსგავსი ცნობა არც ერთ სხვა იმდროინდელ წყაროში არ გვხვდება.

ლ. მუსხელიშვილის ვარაუდით, აბუსერიძე ტბელი ამ შემთხვევაში თამარ მეფეს უნდა გულისხმობდეს. განსვენებულ მ[illegible] გორც ჩანს, უნებლიეთ მხედველ[illegible] ჩა ის გარემოება, რომ მემატიანე „პატრონს“ მრავლობითი რიცხვით („პატრონთაითა“) წარმოგვიდგენს. ცხადია, ტბელს რომ აქ მარტოოდენ თამარ მეფე ჰყოლოდა მხედველობაში, მაშინ ამ ტერმინს ასეთი ფორმით არ იხმარდა. ეტყობა, იგი სახელოვან თამართან ერთად მის მეუღლეს, პატრონ დავით სოსლანსაც გულისხმობდა.

ისმება კითხვა, რომელ მტერს შეეძლო საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების პერიოდში ასე ღრმად შემოჭრილიყო ჩვენს მიწა-წყალზე, რომ აჭარაშიც დაედგა ფეხი? სათანადო ცნობების უქონლობა მკვლევართა შორის ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობას ქმნის.

თედო ჟორდანიას აზრით, აქ ელდიგუზ ათაბაგის შემოსევასთან უნდა გვქონდეს საქმე. თურქთა ლაშქრობას საქართველოში ელდიგუზის მეთაურობით მართლაც ჰქონდა ადგილი, თუმცა არა 1172-73 წლებში, როგორც ამას თედო ჟორდანია მიუთითებს,[1] არამედ უფრო ადრე, 1163 წელს.[2] მაგრამ მტერს რომ ამ დროს აჭარამდე მოეღწია, არ დასტურდება.[3]

ლ. მუსხელიშვილი ყურადღებას აქცევს აბუსერიძე ტბელის თხზულების ერთ დამახასიათებელ გამონათქვამს („მტერთა ზედა გაცემულნი“) და ხიხათა ციხის მტრის ხელში გადასვლის ფაქტს გუზან აბულასანიძის განდგომილებას უკავშირებს.[4]

კლარჯეთისა და შავშეთის პატრონი მეორედ 1191 წელს განუდგა საქართველოს მეფეს, ჩამოაცილა ქვეყანას ტაოსკარი, ვაშლოვანი და სხვა მრავალი ციხე და შაჰარმენს მიუვიდა.[5] გუზანს რამდენიმე სხვა აზნაურმაც აუბა მხარი. განდგომილები კოლას მთაზე გავიდნენ.

აქ მათ შემოხვდათ თამარ მეფის ერთგულები ზაქარია ფანასკერტელი, ძიძიელნი და კალმახელნი.[6] მათ უმალვე იცნეს გუზანის შვილი, რომელიც გუზანის ოჯახის წასაყვანად და ციხე-

---

[1] აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე, ლ. მუსხელიშვილის გამ., თბ., 1941 წ. გვ. 67.

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 120, შენიშვნა 3.

[2] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1948 წ., გვ. 236-237,

[3] ლ. მუსხელიშვილი, აბუსერიძე ტბელი, შესავალი, გვ. 17, შენიშვნა 1.

[4] იქვე.

[5] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის გამოც, თბ., 1941 წ., გვ. 96.

[6] იქვე.

ებში თურქთა გარნიზონების ჩასაყენებლად მოსულიყო შაჰარმენის ლაშქრით. მიუხედავად იმისა, რომ მეფის ერთგულ ყმებს მცირე ძალებით მოუხდათ მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან შებმა და „დიდად დაჭირვებული ომი გარდაიხადეს“, მაინც წარმატებას მიაღწიეს, გააქციეს მოღალატეთა ლაშქარი და შეიპყრეს გუზანის ცოლ-შვილი. შემდეგ უკან შემობრუნდნენ, აიღეს თურქთაგან დაკავებული ციხეები და კვლავ საქართველოს შემოუმტკიცეს.

ლ. მუსხელიშვილის აზრით, ამ განდგომილების დროს უნდა მომხდარიყო ხიხათა ციხეში თურქთა ჩადგომა, „სადაც ისინი ეგებ ცოტა მეტ ხანსაც დარჩნენ, ვიდრე სხვაგან“.[1]

ეს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო. ზაქარია ფანასკერტელსა და მის თანამესაგრეებს რომ თურქებისაგან დაკავებული ყველა ციხე აეღოთ, მაშინ აბუსერ და სანანო აბუსერიძეებს აღარ დაავალებდა საქართველოს სამეფო ხელისუფლება ხიხათა ციხის განთავისუფლებას.

აჭარლები მედგრად შებმიან მტერს და მალე განუდევნიათ კიდევაც აჭარის ერისთავთა სარეზიდენციო ციხე-ქალაქიდან.

1. აბუსერიძე ტბელი, გვ. 19, შენიშვნა 1.

თამარის დროს ქართველებმა ზედიზედ დაამარცხეს თურქთა კოალიციური ჯარები, შემდეგ: სა (1195 წ.) და ბასიანში (1205 წ.). გასაგებია ბით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბასიანში რუქნადინის უზარმაზარ ლაშქარზე გამარჯვებას. ამ ომმა შორს გასტყორცნა საქართველოს ძლიერების ხმა და განუზომლად აამაღლა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

თურქ-სელჩუკთა მრავალი სასულთანო და საამირო საქართველოს ყმადნაფიც და მოხარკე ქვეყნად იქცა.

თურქები, თუმცა ჯერ კიდევ არ ყრიდნენ იარაღს და ბრძოლას განაგრძობდნენ, მაგრამ ამიერიდან უკვე ფეოდალურად დაშლილ თურქულ-სელჩუკურ აღმოსავლეთს გაერთიანებული საქართველოსათვის სერიოზული საფრთხის შექმნა აღარ შეეძლო.

ამრიგად, კავკასიის ხალხებმა საქართველოს ჰეგემონიით შეძლეს თურქ-სელჩუკთა მოძალების უკუქცევა და დიდი მსხვერპლის ფასად მოიპოვეს გამარჯვება. ისტორიული თვალთახედვით ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო და პროგრესის გამარჯვებას ნიშნავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ისტორიული რომანის მამამთავარი

ვასილ ბარნოვის დაბადების 100 წლისთავის გამო

როდესაც ვასილ ბარნოვს ვახსენებთ, თვალწინ წარმოგვიდგება გაზეთ „ივერიის“ რედაქცია, საწერ მაგიდასთან კი დიდი ილია. მაგიდაზე ორივე მხრიდან წიგნები და ქაღალდები აწყვია, ხოლო პატარა მარმარილოს ვაზაში — კალმისტრები. რედაქტორი ჩიბუხის კვამლშია გახვეული და სიტყვის რაინდი კვლავ სიტყვას ეჭიდება. რედაქციის თანამშრომლები მოკრძალებით აღებენ კაბინეტის კარებს და აზრის ქურუმს რაღაცას ეკითხებიან, „ივერიის“ მორიგ ნომერს ამზადებენ. გვერდით კი, დიმიტრი ბაქრაძის კაბინეტში, მყუდროება სუფევს. დიმიტრიც სადღაც წასულა და ახალგაზრდა ვასილ ბარნოვი მარტოდ დარჩენილა. იგი ფართო შუბლით მარცხენა ხელს დაყრდნობია, მშვიდი და წყნარი გამომეტყველებით მისჩერებია ოთახის ერთ კუთხეს, სადაც უთვალავი წიგნები და ისტორიული აქტები აწყვია. აზრთა განუწყვეტელ ჯაჭვს შორს, ისტორიულ წარსულში გაუტყორცნია მომავალი დიდი მწერალი. მის თვალწინ გაიელვა გრიგოლ ხანძთელისა და აშოტ კურაპალატის ცხოვრების სურათებმა, გაცოცხლდნენ ბანა, ოპიზა, ხანძთა, შატბერდი; თვალწინ გადაიშალა ძველი მცხეთა და არმაზი, მამია გურიელის ალამბრის სასახლე და ძველი თბილისის აჩრდილები. მწერალს ეჩვენება თითქოს პირქუში მონასტრების უშველებელი სასაფლაოებიდან წამოდგნენ მისი რომანების გმირები და მოდიმარ მწერალს თავიანთი ცხოვრების შესახებ ესაუბრებიან, დაფერფლილი სიყვარულის გრძნობებს უმხელენ. „სურათები თვალწინ მიდგას, პერსონაჟებს ისე შევყურებ, თითქო სცენაზე დადიანო და ვხედავ ვინ რა უნდა მოიმოქმედოს, ვინ რა ხასიათისა და ბუნებისაა“, — ეუბნება ვასილ ბარნოვი ოთახში შემოსულ გრიგოლ ყიფშიძეს.

ყველა გრძნობდა, რომ ვასილ ბარნოვის მზერა და გულისყური უმთავრესად მიქცეული იყო საქართველოს შორეული წარსულისაკენ. იგი ალაპარაკებდა ფრესკებს, ადამიანთა აჩრდილებს.

ვასილ ბარნოვი სამართლიანად ითვლება ქართულ ლიტერატურაში ისტორიული რომანის მამამთავრად. იგი ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა რევოლუციის წინადროინდელი ქართული პროზისა. ბარნოვი თავისი მოთხრობებისა და რომანებისათვის მასალას იღებდა საქართველოს ისტორიის ყველა ღირსშესანიშნავი პერიოდიდან. მისი რომანების მოქმედი პირები მირიან მეფე, აშოტ კურაპალატი, დავით აღმაშენებელი, გრიგოლ ხანძთელი, თამარ მეფე, ლუარსაბ მეფე, მამია გურიელი და სხვები ისტორიული პიროვნებები არიან. მწერალი კარგად იცნობდა ძველ ზნე-ჩვეულებებს და თავისი ნაწარმოებების გეოგრაფიულ გარემოს.

ვასილ ბარნოვი დაიბადა სოფელ კოდაში 1857 წლის 3 ივნისს. ის წარმოდგებოდა მესხეთიდან ქვემო ქართლში გადასახლებულ ბარნაველთა გვარიდან. ვ. ბარნოვის ოჯახი გამოირჩეოდა მწიგნობრობით. წერა-კითხვა მომავალ მწერალს დედამ შეასწავლა. შემდეგ იგი მიაბარეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც გამეფებული იყო სასტიკი რეჟიმი. საბედნიეროდ, ამ სასწავლებელში მაშინ ზედამხედველად დანიშნეს დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი, რომელმაც ერთბაშად მოსპო ფიზიკური დასჯა. როგორც წისქვილს წყალი გადაუგდო და ბორბალი შედგესო, ისე გადააგდო ი. გოგებაშვილმა მკაცრი წესებიო, იგონებს ვ. ბარნოვი.

შემდეგ ვ. ბარნოვმა სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო მერე მოსკოვის სასულიერო აკადემიაში.

1882 წელს ვასილ ბარნოვმა დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია და იმავე წლიდან შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას, რომელიც თითქმის ორმოც წელზე მეტს გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე ვ. ბარნოვი იყო ძველი სენაკის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორი, თელავის სასულიერო სასწავლებლის, თბილისის სასულიერო სემინარიის ქართული ლიტერატურისა და სიტყვიერების მასწავლებელი და მუშათა ფაკულტეტების ლექტორიც.

როგორც პედაგოგს, ვასილ ბარნოვს დიდი ღვაწლი მიუძღვის. მის რჩევა-დარიგებებს და გულისხმიერებას ბევრი ქართველი ახალგაზრდა დაუყენებია ცხოვრების სწორ გზაზე.

სამწერლო ასპარეზზე ვასილ ბარნოვი გამოვიდა პატრიოტული ლექსებით „ქართველ ქალს“, „თამარ მეფეს“ და „შოთა რუსთაველის სურათზე“, რომლებიც გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა.

1879 წელს ვასილ ბარნოვმა გამოაქვეყნა თავისი პირველი პროზაული ნაწარმოები სათაურით „პირველი სკრიპკა“ (გადმოკეთებული მოთხრობა), ხოლო 1893 წელს — ორიგინალური ისტორიული მოთხრობა „პატარა ლევანი“. მოთხრობაში ასახულია სამეგრელოს მთავრის ლევანის ტრაგიკული დაღუპვა ტახტის დაუფლებისათვის ბრძოლაში.

ამ ნაწარმოებს მოჰყვა ისტორიული რომანები.

ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში განახლდა ფართო მხატვრული ტილოები. მისი წერის მანერაც განსაკუთრებული იყო. მწერალი შესანიშნავად იყენებდა მდიდარ ქართულ ენას, დარბაისლურ ინტონაციებს, მჩქეფარე რიტმს. იგი ჭეშმარიტ ტკბილქართულით გვიამბობდა მრავალტანჯული საქართველოს თავგადასავალს.

ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა სამართლიანად აღნიშნავს, რომ მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ისტორიული რომანის, როგორც სპეციფიკური პოეტური ჟანრის, განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია ვასილ ბარნოვის სახელთან. მან ისტორიული რომანის ჟანრი რეალისტური თანმიმდევრობის დაცვით, ცხოვრებაში ნამდვილად მომხდარი კონფლიქტების ასახვით სათანადო სიმაღლეზე აიყვანა.

ვ. ბარნოვის შემოქმედება განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ მან ისტორიული ფაქტები გამოიყენა მისი თანამედროვე პრობლემების გადასაწყვეტად.

„არმაზის მსხვრევაში“ წარმოგვიდგება მომაკვდავი კერპთაყვანისმცემლობისა და აღმავალი ქრისტიანობის ეპოქა. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება იბერთა მეფე მირიანი, რომლის ძველი რწმენა საბოლოოდ მოდრიკა ქრისტიანულმა რელიგიამ და მეფე ღრმად დაარწმუნა, თუ რა მიზანი ჰქონდა რომსა და ირანს ქვეყნიერ ქმნობას. რომანში ორიგინალურად [illegible] ამბავი ამზაილისა და ხვარამზეს სიყვარულისა, რომელიც ყველა რელიგიურ გრძნობაზე ძლიერი და უკვდავია.

ვ. ბარნოვი დიდი დამაჯერებლობითა და მხატვრული ოსტატობით გვიხატავს შემოსეულ ურიცხვ მტერთა სისასტიკეს. მაგალითად, „ხაზართა სასძლო“ ეხება არაბთა შემოსევას, რომელმაც იმსხვერპლა შეუდრეკელი მებრძოლი ქართველი მეფე არჩილი. „ტრფობა წამებულში“ ვასილ ბარნოვი წარმოგვიდგენს სამცხე-საათაბაგოს, აშოტ კურაპალატის და გრიგოლ ხანძთელის ურთიერთობას. ტრფიალებით შეპყრობილ მეფე აშოტ კურაპალატს წინ აღუდგა ხანძთისა და შატბერდის მონასტრების ამშენებელი, კულტურის დიდი მქადაგებელი გრიგოლ ხანძთელი თავისი დიდსულოვნებითა და საეკლესიო კანონებით.

„პირიმზეში“ ვ. ბარნოვი შეუდარებელი ხელოვნებით გვიხატავს შოთა რუსთაველისა და თამარის ეპოქას, წარმოგვიდგენს თამარს, მის სიმშვენიერეს, გონიერებას, შორსმჭვრეტელობასა და ქვეყნის მართვის უდიდეს ნიჭს.

ვასილ ბარნოვის მადლიან კალამს აუსახველი არ დარჩენია მე-17 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური უკუღმართობისა და უბედურების წლები, საქართველოს ბედკრული მდგომარეობა და იმ დროის უდიდესი მხედართმთავრის გიორგი საკაძის შეუპოვარი ბრძოლები საქართველოს გაერთიანებისათვის.

დიდი ხელოვანი ვასილ ბარნოვი ისტორიული ფაქტების სიზუსტით ცდილობს გაფანტოს გიორგი საკაძის გარშემო შექმნილი ბურუსი.

„ისნის ცისკარში“ ვასილ ბარნოვმა მკაფიოდ წარმოგვიდგინა ერეკლესდროინდელი საქართველო, მისი დედაქალაქი თბილისი დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებებით. ავტორმა ისტორიული დეტალების ღრმა ცოდნით დახატა აღამაჰმად-ხანის შემოსევა, მეფე ერეკლეს მეთაურობით ქართველი ხალხის გმირული ბრძოლები თბილისის დასაცავად, ერეკლეს გახიზნვა მთებში და კვლავ სამზადისი მტრის დასამარცხებლად.

თავის უკვდავ რომანებში ვასილ ბარნოვი შეეხო საქართველოს ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს, დაწყებული მეოთხე საუკუნიდან მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის ჩათვლით. მწერალი დაწვრილებით იცნობდა საქართველოს ყველა კუთხეს. „ივერიის“ რედაქციაში ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძესთან მუშაობით ახალგაზრდა ვასილ ბარნოვმა ღრმად შეისწავლა ჩვენი ქვეყნის წარსული ცხოვრების ყოველი დეტალი, ნიჭიერად გადაამუშავა იგი თავის შემო-

ქმედებითს ლაბორატორიაში და შექმნა შესანიშნავი ნაწარმოებები.

დიდმა შემოქმედმა თავის შესანიშნავ რომანში „მიმქრალი შარავანდედი“ მოხდენილად დაგვიხატა გურია და აჭარა, გურიელთა სამთავრო... რომანში აისახა ის ეპოქა, როცა საქართველოს არ ჰყავდა ერთი მეფე და ცალკე სამთავროებს შორის განუწყვეტელი შუღლი და მტრობა სუფევდა.

ვ. ბარნოვი ბუნების შეუდარებელი მხატვარია. „მიმქრალ შარავანდედში“ ვკითხულობთ: „მდინარე ხინოსი და შავი ზღვის შუა ფართე ბორცვია ამართული. ბორცვს ერთის მხრივ შემორტყმული აქვს გრეხილი ხევი მდინარისა, ხოლო მეორე მხრივ ამ მაღლობის კალთები ჩაფენილია ზღვაში... წყნარ გუნებაზეა დღეს მძლავრი ზღვა, იგი შესტრფის ამწვანებულ გორაკ-ეალერსება ლამაზს, კალთებს უკოცნიდ-ერს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ბარნოვი იყო ღრმა ფსიქოლოგი და მოაზროვნე. ამიტომაა, რომ ყველა მის ნაწარმოებს ფილოსოფიური საფუძველი აქვს. იგი დიდი დიალექტიკოსი მწერალია. მას, როგორც შემოქმედს, შემუშავებული ჰქონდა განსაზღვრული შეხედულებანი მოვლენებსა, საგნებსა და საზოგადოდ ცხოვრებაზე.

მადლიერი ქართველი ხალხი დაბადების ასი წლის თავზე სიყვარულით იგონებს ვასილ ბარნოვს, რომელსაც მკერდზე ბიბლიური წვერი ეფინა, ხოლო თვალებიდან საქართველოს სიყვარული გამოუკრთოდა.

დავით ნაცვალაძე.

მოკრძალებული მწერალი და მგზნებარე პატრიოტი

მემედ აბაშიძის დაბადების 85 წლისთავის გამო

იმ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც სერიოზული წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის განვითარებასა და ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში, ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს მოკრძალებულ მწერალსა და მგზნებარე პატრიოტს მემედ აბაშიძეს.

მ. აბაშიძე დაიბადა 1873 წელს ბათუმში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო აქვე გახსნილ პირველ ქართულ სკოლაში. შემდგომ დაუახლოვდა ბათუმში მყოფ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს დავით კლდიაშვილს, ივანე მესხს, გრიგოლ ვოლსკის, ლუკა ასათიანს და სხვებს. მათი დახმარებით მ. აბაშიძემ აჭარის რაიონებსა და სოფლებში ფართოდ გაშალა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. იგი შეუდგა სკოლების გახსნას, ქართველი მაჰმადიანების მიზიდვას ქართულ სკოლებში და ა. შ.

მ. აბაშიძე მჭიდროდ დაუკავშირდა ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, იაკობ გოგებაშვილს, ზაქარია ჭიჭინაძეს, აპოლონ წულაძეს, იოსებ იმედაშვილს, ვალერიან გუნიას და სხვებს. თანამშრომლობდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში მ. აბაშიძე შეუპოვრად იბრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რისთვისაც მას სასტიკად სდევნიდნენ.

წიწამურის ტრაგედიამ განუსაზღვრელი მწუხარება მიაყენა მემედ აბაშიძეს, მან დიდი მწუხარებით დაიტირა პირადი მეგობარი, აჭარის მზრუნველი მოამაგე, ქართველი ერის წინამძღოლი დიდი ილია. წყევლა-კრულვით მიმართა მან ილიას მკვლელებს: „თქვენ მოჰკალით საუნჯე ჩემის ცხოვრებისა!.. თქვენ დამიბნელეთ სინათლე ჩემის არე-მარისა!.. თქვენ დაჰგმეთ ჩემი ვინაობა!.. თქვენ უარჰყავით ჩემი წარსული, რომელიც იწყება შორეული ისტორიის საზღვარს იქითა!.. თქვენ დამასახიჩრეთ!.. თქვენ დამამახინჯეთ!.. ამომთხარეთ შანთებით ორთავ თვალები! ამომგლიჯეთ ენა, გულღვიძლი ისე, როგორც ულმობელმა ჯალათმა!..“ დიდი ილიას სიკვდილით თქვენ გაახარეთ სამშობლოს მტრები, თქვა შემდეგ მან, შეარცხვინეთ ქართველი ერიო და განაგრძო: „ვინმე ვარდის კონითაც რომ შეხებოდა ილიას, ესეც არ ეპატიებოდა!.. მტრებზე შესატევი იარაღი იხმარებოდა განა სამშობლოს საუკეთესო შვილზედ?.. სირცხვილი თქვენს მამულიშვილობას, თქვენს ადამიანობას..“

ასე გამოხატა მ. აბაშიძემ მთელი აჭარის მშრომელთა გოდება დიდი ილიას ვერაგულად მოკვლის გამო.

რეაქციის გამარჯვების შემდეგ მ. აბაშიძეს ლაუწყეს დევნა, როგორც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლს. ამიტომ იგი იძულებული გახდა თურქეთში გადახვწილიყო. მაგრამ თურქეთის მთავრობამ დაუპატიმრა, როგორც საქართველოს გაერთიანებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი და რუსეთის ორიენტაციის მომხრე. მაგრამ ამ დროს თურქეთში მომხდარი აჯანყებისა და ამნისტიის შედეგად განთავისუფლდა და სამშობლოში დაბრუნდა; 1913 წელს მეფის მთავრობამ იგი კვლავ დააპატიმრა და ნოვოჩერკასკში გადაასახლა. შვიდი თვის შემდეგ მ. აბაშიძემ მოახერხა სამშობლოში დაბრუნება, თბილისში დასახლდა და ისევ საყვარელ საქმეს — მწერლობას მიჰყო ხელი.

1917 წელს მ. აბაშიძე დაბრუნდა ბათუმში, სადაც მანამდე აკრძალული ჰქონდა ცხოვრება. იგი მაშინვე ჩაება საზოგადოებრივ მუშაობაში. 1918 წელს, როდესაც თურქეთმა ბათუმი დაიპყრო, მ. აბაშიძე შეურიგებლად ებრძოდა ოკუპანტებს. თურქეთის სამხედრო მინისტრს ენვერ ფაშას მან პირადად განუცხადა, რომ ბათუმი და მისი ოლქი განუყოფელი ნაწილია საქართველოსი, თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ, მიბრძანდით ბათუმიდანო! განრისხებულმა ენვერ ფაშამ იმდღესვე დააპატიმრა მ. აბაშიძე და გემით ტრაპიზონის ციხეში გაგზავნა. არის ასეთი ფოტოსურათი: ფოთში ზღვისპირად შეჯგუფებულ ხალხში ცნობილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია გადახვევია მ. აბაშიძეს. სურათზე სწორედ მ. აბაშიძის ტრაპიზონის ციხიდან გამოქცევისა და სამშვიდობოზე გამოსვლის მომენტია გადაღებული. ეს შემთხვევა ასე მოხდა: ადგილობრივი ლაზების მოხერხებით აბაშიძე ტრაპიზონის ციხის მეორე სართულის საკნიდან თოკით დაეშვა ძირს, ნავში (ტრაპიზონის ციხის ერთი კედელი ზღვას გადაჰყურებს). ლაზმა მენავეებმა იგი ფოთში გამოაპარეს, ფოთიდან თბილისში დაბრუნდა და შექმნა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ და გააჩაღა მუშაობა აჭარიდან თურქი ოკუპანტების განდევნისათვის.

1919 წელს მ. აბაშიძემ დააარსა ყოველდღიური გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, რომელიც მისი რედაქტორობით გამოდიოდა 1921 წლამდე. გაზეთი იბრძოდა ერთიანი საქართველოს შექმნისათვის, სასტიკი ბრძოლა [illegible] ხადა პარტია „სედაი მილეთისა“ [illegible] ბანდების თარეშსა და პანისლამისტურ გავლენას აჭარის მოსახლეობაში.

1921 წლის მარტში, როდესაც ბათუმსა და მის ოლქში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და შეიქმნა პირველი რევოლუციური კომიტეტი, მ. აბაშიძე იყო რევოლუციური კომიტეტის წევრი. შემდეგ ეჭირა სხვადასხვა თანამდებობა, მაგრამ ძირითადად სამწერლო მოღვაწეობას განაგრძობდა. მან ზედმიწევნით კარგად იცოდა არაბული და თურქული ენები. ქართულად თარგმნა ნამუკ ქემალის, სეფეთ ნეზიჰის, გუზიიდე საბრის და სხვა მწერალთა ნაწარმოებები. მანვე აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა ს. შანშიაშვილის ცნობილი პიესა „ანზორი“, დაიწყო აგრეთვე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა.

მ. აბაშიძე დაუღალავად ზრუნავდა ადგილობრივი ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარებისათვის. როდესაც სანდრო ახმეტელმა ახალგაზრდობის ჯგუფი წაიყვანა ბათუმიდან რუსთაველის სახელობის თეატრში აღსაზრდელად, მ. აბაშიძე ხშირად ჩადიოდა თბილისში, თეატრში შეივლიდა, სანდრო ახმეტელს ეტყოდა — აბა შენ იცი, საშა, ჩემი შვილებია შენთან და კარგად მოუარეო. ერთხელ სანდრო ახმეტელმა გამოიძახა. მასთან მ. აბაშიძე იჯდა.

— თუ იცნობ? — მკითხა ახმეტელმა. შორიდან ვიცნობდი. შესახედაობით ძალზე მიმზიდველი იყო: მომაღლო ტანის, ფართო მხარბეჭიანი და ჩაფსკვნილი, დარდიმანდული მიხვრა-მოხვრა ჰქონდა და დარბაისლურად მოქართულე იყო. მამაშვილურად დამარიგა: თქვენ იცით, კარგად ისწავლეთ, სამშობლო გაახარეთ, იცოდეთ სირცხვილი არ მაჭამოთო. ახმეტელს მიუბრუნდა და უთხრა: გვეყო გასტროლიორები, ახლა საკუთარი თეატრი დაგვიარსე, მაგრამ იცოდე პირველად აჭარის ცხოვრებიდან უნდა დადგა პიესაო.

მეორედ მას ვახტანგ კოტეტიშვილთან შევხვდი. თავის თარგმანებს უკითხავდა.

მ. აბაშიძე 1941 წელს, სამოცდარვა წლისა გარდაიცვალა. ახლახან შესრულდა მისი დაბადების ოთხმოცდახუთი წელი.

ქართველი ხალხი დიდი პატივისცემითა და მოწიწებით იგონებს უანგარო მოღვაწესა და სამშობლოს ერთგულ შვილს მემედ აბაშიძეს.

მერაბ ხინიკაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა გვარიშვილის საბავშვო წიგნები

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა პოეტ ნანა გვარიშვილის საბავშვო ლექსების წიგნი „მელია და წიწილა“. იგი მოცულობით პატარაა, მასში სულ დაბეჭდილია რვა ლექსი და რამდენიმე ლექსად თქმული ზღაპარი. მაგრამ მიუხედავად ამისა, კარგად გადმოგვცემს ბავშვთა სულიერ სამყაროს.

სარეცენზიო წიგნი იხსნება პატარებისადმი მიძღვნილი ლექსით, რომელშიც პოეტი გულწრფელად უმღერის საბჭოთა ბავშვების ბედნიერ და საამურ ცხოვრებას.

მომავალი თაობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვას გამოხატავს ლექსი „პატარების ბაღი“. ლექსში პოეტი აღწერს შავი ზღვის სანაპიროზე გაშენებულ ზღაპრული სილამაზის ბაღს, სადაც ისვენებენ და დროს ატარებენ ბედნიერი ბავშვები.

საყურადღებოა სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილი დიდაქტიკური ზღაპრების ციკლი — „პატარა ლალის ზღაპრები“, რომელთა სიუჟეტური ქარგა ასეთია: დედა პატარა ლალის მოუთხრობს ზღაპრებს. პირველი ზღაპარი პატარებს სისუფთავისაკენ მოუწოდებს. კონკრეტული, ნათელი მაგალითებით ლალი რწმუნდება, რომ სისუფთავე ალამაზებს, აკეთილშობილებს ადამიანს, იგი თვით მიდის სასურველ დასკვნამდე და ამბობს:

„დედი, აწი არ ვიტირებ,
როცა მაბანავებ.
არც საპონზე ვიტყვი უარს,
გოგო სუფთა უნდა.
კოხტა ხელებდაბანილი
გეყოლები მუდამ“.

ზღაპარი „პატარებო, მოუსმინეთ ბაჭიას და ფისუნიას“ ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგაა მიმართული. ცრუმორწმუნეობის გამო საბრალო და უწყინარმა ბაჭიამ ვერსად იპოვა მყუდრო ბინა, რადგან „არის დავიდარაბა: თარსია და თარსია“. ხოლო ფისუნიებს მოსწავლეები არ ასვენებენ კატის „ცუდბედობის“ გამო.

როცა დაჩაგრულმა და შევიწროებულმა ბაჭიამ და ფისუნიებმა მოსწავლეთა აღმზრდელს საჩივრით მიმართეს, სკოლაში კრება მოიწვიეს, გაჰკიცხეს დამნაშავე გოგონები, ბაჭიას კი ცოცხალ კუთხეში მიუჩინეს ბინა.

სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილი ლექსების უმრავლესობა გამოირჩევა სასიამოვნო მუსიკალობით, რითმების სიმდიდრითა და ელეგანტურობით. აი, მაგალითად, ერთი ზღაპარი ასე იწყება:

„სკუპ,
სკუპ,
სკუპ,
გამოსკუპდა ბაჭია —
თოვლის ქულა პაწია,
ტუჩცმაცუნა ყურცქვიტამ
მზეს შესცინა, სთქვა: — „ჭიტა!“

სამწუხაროდ, ზოგიერთი ლექსი არ დგას მაღალ მხატვრულ დონეზე. აი როგორ გადმოგვცემს პოეტი ერთ-ერთ ლექსში გმირის განცდას:

„აბა როგორ იძინოს
ცივი ქუჩის უბეში?
ცივა, შია საბრალოს
ვის ასმინოს ჩივილი?“

ზღაპარი „წიწილა და მელია“ იდეურად გამართლებულია, მაგრამ მისი პრინციპი ღალატობს ქართული ხალხური ზღაპრების ტრადიციას მელას მოხერხებულობის შესახებ. „საბრალო“ მელა იმდენად ბრიყვდება, რომ მას წიწილაც კი ატყუებს (განა ინკუბატორში ჩვეულებრივზე უფრო ჭკვიანი წიწილები იჩეკებიან?).

სასურველი იქნებოდა წიგნში წარმოდგენილი ყოფილიყო აგრეთვე ნაწარმოებები კაპიტალისტური სამყაროს ბავშვთა ცხოვრების შესახებ, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ გამოაჩენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საბჭოთა ბავშვების ბედნიერ და საამურ ყოფას.

კიდევ უფრო საინტერესოა ნანა გვარიშვილის საბავშვო ლექსების მეორე წიგნი „ორი კიჟი“, რომელიც ცხადყოფს, რომ პოეტმა კარგად იცის ბავშვის ბუნება, მისი ფსიქოლოგია. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევიან ლექსები „ბაბუას სიხარული“, „ვეღარ იცნო“, „სათამაშო კურდღელი“. „წინსაფარი“ და სხვ. ხოლო ლექსში „ასეთია ჩვენი ბიჭი“ ბავშვის ბუნება იმდენად რეალურად არის წარმოდგენილი, რომ თითქოს კიდეც ხედავ მას.

„ხან გაჩუქებს
ღიმილს ბალღურს,
თან ტიტინებს, აღუ, აღუს,
ხან აჯავრებს გულჩოელ ჩიტებს,
ხან უეცრად მოიღრუბლებს
და ცრემლების მარგალიტებს
წამწამებზე დაიკიდებს“.

მაგრამ სწრაფად გაივლის მოწყენილობის განწყობილება და

„...შემოგვცინებს კიდევ, კიდევ
და დაიწყებს ტიტინს ბალღურს“...

ასევე დიდი განცდა ჩანს ლექსში „სტუმრობანა“, რომელიც არათუ ბავშვებს გაიტაცებს და მიიზიდავს, არამედ მოზრდილებსაც კი მოაგონებს თავის მხიარულ ბავშვობას.

სარეცენზიო წიგნში ბევრია სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გამომხატველი ლექსებიც. ლექსში „ბიჭი მიტომ გვიხარია“, რომელშიც სამშობლოს სიყვარული დედის სიყვარულს ერწყმის, პოეტი ასე მიმართავს ყრმას:

„...დედის მკერდში მიყუჟულხარ,
სიხარულო, იცი რატომ?
მის სიტკბოში იგრძნო გინდა
შენი ქვეყნის სიხარული“.

წიგნში მოთავსებულია აგრეთვე ორი პოემა-ზღაპარი. ორივე ეს ნაწარმოები როგორც ფორმით, ისე შინაარსით მაღალ დონეზე დგას და დიდ სამსახურს გაუწევს ბავშვთა აღზრდას.

პირველი პოემა-ზღაპარის „ნუგეშას“ სიუჟეტური ქარგა უბრალოა. იგი მოგვითხრობს თოჯინებთან გამოთხოვებისა და სწავლის დაწყების შესახებ, ხოლო მეორე პოემა-ზღაპარი „თითისტოლა“ სიუჟეტურად უფრო რთულია. სოფლის ბოლოს განმარტოებით ცხოვრობდა ქვრივი გლეხის ქალი, რომელსაც ქალ-ვაჟი მოუკვდა; ამ დიდ დარდთან ერთად უშვილობასაც უჩიოდა. სასწაულმოქმედმა მოხუცმა შეისმინა მისი ჩივილი, გადასცა ვაშლი და... ქალს შეეძინა ცეროდენა ლამაზი გოგონა, რომელიც გველეშაპმა მოსტაცა. ქალის გლოვას საზღვარი არა აქვს. მისმა გლოვამ დაამწუხრა მერცხალი, ვარდი, ბულბული, წყარო, კრავი, მწყემსი ქალი და მისი ქმარი. ეს უკანასკნელი გედისა და ცისარტყელას დახმარებით დაიხსნის თითისტოლას და გამარჯვებული ბრუნდება. ზღაპრის იდეისათვის (მეგობრობისა და შეერთებული ძალის უძლეველობა) პოეტს შესაფერისი მხატვრული ფორმა გამოუნახავს.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პოეტი კარგად იცნობს საბავშვო ფოლკლორს.

თუ საბავშვო ზეპირსიტყვიერებას გადავხედავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ პატარებს ძლიერ უყვართ ალიტერაცია და ერთნაირ ხმოვანთა განმეორება. ამ უკანასკნელ მეთოდს უთუოდ უნარიანად იყენებს პოეტი: აი ზოგიერთი მაგალითი.

„...ბაკა-ბაკა, პაკა-პაკა —
კიბეებზე მორბის ბავშკი...
— ტუკ-ტუკ, ტუკ-ტუკ,
— ჩიქ-ჩირიქ-ჩიქ,
და გაიღო თითქოს კარი.
— ვინ მოსულა?
— პაკი-პუკი
და გაიბა საუბარი.“

დასასრულ უნდა აღინიშნოს წიგნში მოთავსებული ლექსების ერთგვარი თემატიკური შეზღუდულობა. ჩვენის აზრით, წიგნი გაცილებით მოიგებდა, რომ ბავშვთა სამყაროს გადმოგვცემდეს არა მარტო ოჯახში, არამედ სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებებშიც, ყველგან, სადაც იზრდება ბავშვების უმრავლესობა.

ნაზი ნოღაიდელი.

ნაშრომი სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში

ხ. ა. ახვლედიანის ნაშრომი „სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით გვამცნობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს. ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ სამხრეთ საქართველოს ისტორიული წარსულის შესახებ საკმაო ლიტერატურა არ მოგვეპოვება. როგორც ცნობილია, 1878 წელს ოსმალებმა ბათუმიდან გაიტაცეს მატერია-

ლური კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები და საარქივო დოკუმენტები.

მიუხედავად სერიოზული სიძნელეებისა, სარეცენზიო ნაშრომის ავტორმა საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევა მოგვცა. იგი ამჟამად ხელმისაწვდომ ყველა ფაქტობრივ მასალას იცნობს.

მკვლევარი აკეთებს ისტორიულ ექსკურსს და ყოველმხრივ აცნობს მკითხველს საკვლევ თემას, გვიჩვენებს, რომ ქართველი ხალხი ისტორიულად არასოდეს არ გამოდიოდა აგრესორის როლში.

ნაშრომი გვაცნობს ძველი კოლხეთისა და ეგრისის სამეფოს ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას, ფეოდალიზმის განვითარების შედეგად ლაზთა ძლიერი სახელმწიფოს დაშლის პროცესს. შემდეგ ავტორი გადმოგვცემს საქართველოს, მათ შორის სამხრეთ საქართველოს ვითარებას მომდევნო საუკუნეებში და ცხადყოფს, რომ XIII საუკუნიდან საქართველოს ეკონომიურ და პოლიტიკურ დაცემას შინაშლილობასთან ერთად დიდად შეუწყო ხელი გარეშე მტრების თარეშმა. მას ჯერ შემოესივნენ ხვარაზმელები, რომლებიც მალე მონღოლთა ურდოებმა შესცვალეს. ქრისტიანული საქართველო მარტოდმარტო აღმოჩნდა უკულტურო მომთაბარე დამპყრობლების პირისპირ. მონღოლების ხანაში საფუძვლიანად შეირყა ქართული სახელმწიფოებრივი სისტემა.

1386 წლიდან დაიწყო თემურ-ლენგის მრისხანე შემოსევები საქართველოში. აღვირახსნილი თავადების ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. ისინი ხშირად მხარს უჭერდნენ დამპყრობლებს, გამუდმებით ებრძოდნენ ერთმანეთს. მრავალი ღონისძიების მიუხედავად, საქართველოს დაცემა-დაქვეითების პროცესის შეჩერება შეუძლებელი გახდა.

საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა, როცა XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე შუა აზიიდან მცირე აზიაში გადმოსახლებულმა თურქ-ოსმალებმა სახელმწიფო შექმნეს და ბიზანტიის ტერიტორიის ხარჯზე თანდათანობით იწყეს თავიანთი სამფლობელოების გაფართოება. განსაკუთრებით სავალალო აღმოჩნდა საქართველოსათვის 1453 წელს ოსმალოთა მიერ ბიზანტიის დედაქალაქის კონსტანტინოპოლის დაპყრობა და ბიზანტიის დაშლა.

ავტორი ითვალისწინებს ისტორიული პროცესების კანონზომიერებაა, აღნიშნავს, რომ საქართველოს საზღვარზე ოსმალოთა დასახლება სამხრეთ საქართველოს უდიდეს განსაცდელს უმზადებდა.

თავში „სამხრეთ საქართველოს დაპყრობა ოსმალოთა მიერ“ ნაჩვენებია, რომ თურქები დასავლეთ საქართველოს უმთავრესად სამი მიმართულებით უტევდნენ: აფხაზეთის, ჩოქეზეთის, ბათუმ-ჭოროხისა და ტრაპიზონის მიმართულებით და სამცხის მხრიდან ზეკარის გზით. მკვლევარი თანმიმდევრულად გვიჩვენებს (XVI საუკუნიდან XVIII საუკუნემდე) ოსმალოთაგან სამხრეთ საქართველოს დაპყრობის პროცესს. დამპყრობლები ცდილობდნენ სამხრეთელი ქართველებისათვის წაერთმიათ ეროვნული დამოუკიდებლობა, მოესპოთ მათი ზნე-ჩვეულებანი, ენა, მაგრამ ამაოდ. სავსებით სწორია ავტორის მოსაზრება, რომ დედაენის შენარჩუნებაში დიდი როლი შეასრულეს ქართველმა დედებმა, აჭარელმა ქალებმა.

სამხრეთ საქართველოს ბრძოლა ოსმალოთაგან განთავისუფლებისათვის განსაკუთრებით პერსპექტიული გახდა რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ (1801 წ.). ამის შემდეგ სამხრეთელმა ქართველებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ბრძოლა სულთნის ტირანიის წინააღმდეგ. იმ დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი აჭარაში სელიმ ხიმშიაშვილი იყო. იგი გაბედულად ჩაება უთანასწორო ბრძოლაში თურქეთის წინააღმდეგ. მრავალ თავდადებულ მამულიშვილთან ერთად ეს დაუღალავი მებრძოლი 1815 წელს მსხვერპლად შეეწირა თავისუფლებისათვის ბრძოლას.

სამხრეთ საქართველოს მშრომელთა ბრძოლა სულთნის ტირანიის წინააღმდეგ მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა. ოსმალეთი და ევროპის სახელმწიფოები ცდილობდნენ მოესყიდათ აჭარის მოსახლეობა, მაგრამ ეს ბნელი ზრახვები მიუღწეველი დარჩა. 1878 წელს სამხრეთ საქართველო დაუბრუნდა დედა-სამშობლოს.

დიდი ინტერესით იკითხება ნაშრომის სპეციალური თავი, რომელიც მიეძღვნა აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიას. აჭარის მშრომელები, რომლებმაც თავი დააღწიეს სულთნის ტირანიას, მთელ ქართველ ხალხთან ერთად აქტიურად ჩაებნენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში. მართალია, მეფის რუსეთის მოხელეები და უცხოელი სახელმწიფოების აგენტები ქართველი ხალხის ეროვნულ გათიშვაზე იცნებობდნენ, მაგრამ ქართველი თავკაცები ვაჟკაცურად ებრძოდნენ ასეთ ბოროტ ძალებს და მშრომელებს ეროვნული ერთიანობისაკენ მოუწოდებდნენ.

აჭარაში ქართველ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ჰაიდარ აბაშიძე. იგი მუდამ თავგამოდებით იცავდა ქართული კულტურის ტრადიციებს, ესარჩლებოდა ხალხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ ინტერესებს და თავს ესხმოდა იმ კალმოსნებს, რომლებიც ბათუმში თურქული „საგანმანათლებლო“ დაწესებულების, ე. წ. „თათრული თეატრის“ დაარსებას და „ეროვნული წიგნების“ გამოცემას მოითხოვდნენ. წიგნში ნაჩვენებია მსოფლიო ომისა და მეშვიდეთა ბატონობის პერიოდში ჰაიდარ აბაშიძის მეთაურობით აჭარის თავკაცების პროგრესული მოღვაწეობა, აგრეთვე გადმოცემულია აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის სახელოვანი ისტორია.

ყველა ამ ღირსებასთან ერთად სარეცენზიო წიგნში არის ზოგიერთი ნაკლი და უზუსტობა.

ნაშრომში ჩამოთვლილია ოსმალოთა ბატონობის დროს აჭარის მოსახლეობისათვის დაწესებული გადასახადები ფულის ერთეულები — ყურუში, შილინგი და სხვ. საჭირო იყო მონეტების ეკვივალენტის დადგენა და მისი ყიდვის-უნარიანობის გამორკვევა.

მკვლევარი ზოგჯერ ისტორიული მოვლენების თარიღად ასახელებს ჰიჯრას (მაჰმადიანური წელთაღრიცხვა, გვ. 26, 34, 36 და ა. შ.). სასურველი კი იყო წიგნში „ჰიჯრის“ შესაბამისი, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თარიღი დაგვესახელებინა.

ავტორი ეყრდნობა 896 წელს შამსსიდდინ სამი-ბეის მიერ სტამბოლში გამოცემულ ლექსიკონს „კამუსელ ალემის“ და ჩამოთვლის ათამდე ქართველს, რომლებმაც ოსმალეთის სახელმწიფოში მაღალ სახელმწიფო თანამდებობამდე მიაღწიეს. ცხადია, რომ ცნობა თავისთავად საყურადღებოა, მაგრამ მასობრივი მკითხველებისა და მეტადრე მკვლევართა ინტერესი სავსებით დაკმაყოფილებულად მხოლოდ შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ, თუ მკვლევარი ახალი დამატებითი მასალების წარმოჩენით ცხადყოფს ოსმალეთში მოღვაწე ქართველთა ორიენტაციას და ეროვნულ მრწამსს.

ზ. ჭიჭინაძისა და მ. ჯანაშვილის მოსაზრებაზე დაყრდნობით ავტორი გვარწმუნებს, რომ „სამხრეთ საქართველოდან ძალით გადასახლებულთა რაოდენობა ნახევარ მილიონს აღემატებოდა“ (გვ. 49). წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ეს ცნობა გაზვიადებულია. სასურველი იყო მკვლევარს მსგავსი ფაქტები სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე დაეზუსტებინა და ისე მოეწოდებინა.

ავტორი აყენებს დებულებას, რომ „ქართლ-კახეთის სამეფომ რუსეთ-ოსმალეთის 1768-1776 წლების ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიები ვერ დაიბრუნა, მაგრამ ამ ომში რუსთა და ქართველთა ჯარების გაერთიანებულ გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“ (გვ. 58). საჭირო იყო შრომაში ამ საყურადღებო დებულების უფრო ვრცლად გაშუქება.

ნაშრომი უსათუოდ მოიგებდა, ჰაიდარ აბაშიძის თანამებრძოლები უფრო ვრცლად რომ იყვნენ დახასიათებულნი.

საერთოდ სარეცენზიო ნაშრომი მაღალ შეფასებას იმსახურებს და იგი ძვირფასი საჩუქარია მკითხველებისათვის.

ნ. ჭეიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ვლ. სიჭინავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VII—58 წ. საბეჭდ ფორმათა რაოდენობა 6. შეკვეთის № 3234-
ემ 00703 ქაღალდის ზომა 70X108. ტირაჟი 3000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის
სტამბა-ლითოგრაფია (ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми, ул. Р. Люксембург, 22.

6

ᲔᲑᲑ.
Ір. 37/206

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературули Аджара“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ